

თამარ ათეაპა, მირაპ კალანდაპა

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ახალი და უახლესი
ისტორიის კათედრის ისტორია



გამომცემლობა არტაცენი
თბილისი 2014

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და
მიზნად ისახავს გააშუქოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოფა, მისი ნარსული,
ისტორია. ხაზი გავუსვით ცალკეული პერსონალიების წვლილს
დარგის განვითარების საქმეში. წიგნი დააინტერესებულ ფართო
საზოგადოებასა და სტუდენტებს.

რედაქტორი

პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

რეცენზენტები:

პროფ. გ. მანჯგალაძე

პროფ. ვ. ჩოჩია

ISBN 978-9941-445-79-8

© თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე, 2014.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2014.

ავტორეპისაგან

ყველა დარგს გააჩნია თავისი ისტორია. ეს ელემენტარული ამბავია. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ისტორია, როგორც დარგი, ცხადია, გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის მდიდარი ტრადიცია არსებობს, რომლითაც ქართული ისტორიოგრაფია უნდა ამაყობდეს. მიუხედავად ძნელბედობისა, პოლიტიკური ქარტეხილებისა, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ სფეროში შეძლო თავისი სიტყვა ეთქვა, რაც პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების შესწავლის, პოპულარიზაციის და სწავლების საქმეში თავისი მოკრძალებული წელილი შეიტანა, რომელიც ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის წვლილს თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება. პროფ. გრიგოლ ნათაძის, პროფ. ალექსანდრე ნამორაძის, პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის, პროფ. ვარლამ დონაძის, პროფ. გივი კილურაძის, პროფ. კონსტანტინე ანთაძის, პროფ. გივი ჟორდანიას, პროფ. კუკური ლილუაშვილის, პროფ. ილია ტაბაღუას, პროფ. ალექსანდრე ჩიკვაძის, პროფ. ლევან სვანაძის, პროფ. არჩილ ჩხეიძის, პროფ. გურამ მანჯგალაძის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ილუსტრაცია უნდა იყოს და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

ჩვენ წლების განმავლობაში ვცდილობდით საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლას. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ამ მიმართულებით გაკეთებული ძალიან ცოტა იყო. ამიტომ მიზანშენონილად მივიჩნიეთ

შეგვევსო ეს ხარვეზი და აღნიშნული საკითხი საგანგებო შესწავლის საგანი გაგვეხადა, უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიაში ასეთი პრაქტიკა არსებობს. ჩვენ შევეცადეთ ის ქართული რეალობისათვის მიგვესადაგებინა. ასე, მაგალითად, ჩვენს მეზობელ რუსეთში, უკვე გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდა ცნობილი ისტორიკოსის ვ. ბუზსკულის საინტერესო წიგნი „მსოფლიო ისტორიის წარმომადგენლები რუსეთში“. ჩვენც ხომ არ გაგვეკეთებინა ამის მსგავსი ნაშრომი საქართველოს მაგალითზე? ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ის ხარვეზი, რომელიც ამ დარგში არსებობს. წინამდებარე წიგნი ამ ვაკუუმის შევსების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვივლინება.

შესავალი

1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს XX საუკუნის ისტორიაში. სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი მიღწევა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება. უნივერსიტეტს საკმაოდ გრძელი გზის გავლა მოუხდა. უნივერსიტეტის ისტორიის ორგანული შემადგენელი ნაწილია ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო ისტორიის ფაკულტეტში, ცხადია, შედის მსოფლიო ისტორია, კონკრეტულად კი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. თავდაპირველად ის მსოფლიო ისტორიის კათედრის სახელით ფუნქციონირებდა, რაც მნიშვნელოვანნილად კვალიფიცირებული კადრების დეფიციტით გახლდათ გამოწვეული, შემდეგ მას ეწოდებოდა დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრა, ხოლო 30-იანი წლების შუა ხანებიდან ყალიბდება ახალი ისტორიის კათედრა. 1943 წლიდან, პროფ. ნიკოლოზ დუბრივსკის გარდაცვალების შემდეგ, კათედრას შეუერთდა კოლონიური ქვეყნების კათედრა, რომელსაც განაგებდა პროფ. ნ. დუბრივსკი. კათედრაზე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალ და უახლეს ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა აზიისა და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია. ასე იყო 1980 წლამდე, ვიდრე დღის წესრიგში არ დადგა კათედრის გაყოფის საკითხი. ჩამოყალიბდა ორი კათედრა. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა და აზიისა და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა ასე იყო 2006 წლამდე. ამ წელს პირველი კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი, რომელსაც 2013 წელს ისევ კათედრა ეწოდა. თავდაპირველად მსოფლიო ისტორიის კათედრას განაგებდა ცნობილი ისტორიკოსი, პროფ. გრიგოლ ნათაძე, რომელიც 30-იანი წლებიდან სათავეში

ჩაუდგა დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრას. 1934 წელს ის დაინიშნა ახლად დაარსებული ახალი ისტორიის პირველი კათედრის გამგედ, ხოლო მომდევნო 1935 წლიდან კი კათედრას სათავეში ედგა პროფ. ალექსანდრე ნამორაძე. ის ახალი ისტორიის კათედრას განაგებდა გარდაცვალებამდე – 1958 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კათედრას 1959-1969 წლებში ხელმძღვანელობდა პროფ. გივი უორდანია. 1969 წელს ის გადაიყვანეს შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგედ, ხოლო ახალი ისტორიის კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. გივი კილურაძე. ის ახალი ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა 1969 წლიდან გარდაცვალებამდე – 1978 წლამდე. 1978-1980 წლებში კათედრას სათავეში ედგა პროფ. ა. მენთეშაშვილი. 1980 წლიდან 2003 წლამდე კათედრას განაგებდა პროფ. კონსტანტინე (კოტე) ანთაძე, 2003 წლიდან 2006 წლამდე კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. გივი ბოლოთაშვილი. 2006 წლიდან დღემდე კი ამ კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. თეომურაზ ჰაპასქირი.

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია გამოწვლილვით დღემდე არ ყოფილა შესწავლილი, თუმცა ამ თემას გაკვრით ეხებოდნენ ის მკვლევრები, რომლებიც მოკლედ მიმოიხილავდნენ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლას საქართველოში. აქ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ პროფ. გ. კილურაძის წიგნს „ახალი ისტორია“, სადაც ამ თემას მთელი ერთი თავი აქვს დათმობილი – „ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში“ და პროფ. ი. ტაბაღუას და პროფ. ვ. ჩოჩიას ნარკვეეს „მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში“. ახალი ისტორიის კათედრის ისტორიის გაშუქება მათ მიზანს არ წარმოადგენდა. კონკრეტულად ახალი ისტორიის კათედრის ისტორიას შეეხო და ძალზე ლაკონურად, საერთო ხაზებში მიმოიხილა დოც. ლალი ფირცხალავამ თავის სტატიაში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“. არსებითად, ეს იყო საკითხის დასმა და ამიტომ ჩვენ უშუალო წინამორბედად დოც. ლალი ფირცხალავა გვევლინება. წინამდებარე ნაშრომი ამ საქმის გაგრძელების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

თავი |

ზოგი რამ ისტორიიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ქართული სულიერების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საქმეში ერთ-ერთი საეტაპო მოვლენაა. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადამიურიდებელ საქართველოში დაირნა. ის 1918-1921 წლების სუვერენული საქართველოს პირმშოა. დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ სხვა რომ არაფერი გაეკეთებინათ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაც იქმარებდა. მოსაზრება თითქოსდა დამოუკიდებელ საქართველოში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა, რასაც ფართოდ ნერგავდა საბჭოთა ხელისუფლება, კარგად გამოხატავდა მათ პოლიტიკურ ნებას. რეალობა კი, როგორც ხედავთ, სულ სხვაგვარი იყო. არც ცარიზმის და არც ბოლშევკიურის მიზანს საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება არ შეადგენდა. თუ არა საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“, ალბათ, ქართული უნივერსიტეტი არ გვექნებოდა.

სიმბოლურად მიგვაჩინა, რომ 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით თბილისში, გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. ეს გრანდიოზული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო. მისი მნიშვნელობის გადაჭარბება ძალიან ძნელი იქნებოდა. მისი დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი, რომლის დეკანიც თვით დიდი ივანე

ჯავახიშვილი ბრძანდებოდა. ცხადია, ესეც სიმბოლური იყო. აბა, სხვა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლად დაარსებული ფაულ-ტეტის ერთ-ერთი განხრა ისტორია იყო. აღნიშნული ფაულტეტის პროგრამაში, უმთავრესად ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, შეტანილი იყო „მსოფლიო ისტორია“, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველ სემესტრში ეს კურსი არ წაკითხულა. საქმე ის იყო, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატდოცენტმა, სიმონ ავალიანმა (1881-1922), რომელსაც უნდა წაეყვანა ეს კურსი, თბილისში დროულად ჩამოსვლა ვერ შეძლო. მსოფლიო ისტორიის კურსის პირველი ლექტორი უნივერსიტეტში არაჩვეულებრივად განათლებული პიროვნება, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ეკონომისტი და სოციოლოგი, ბატონი სიმონ ავალიანი იყო [1, 363; 2, 9]. ამიტომ, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალ. ნამორაძის მოსაზრება, თითქოსდა „ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველმა წაიკითხა მსოფლიო ისტორიის კურსი და სათანადო გეზი და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“ [3, 366]. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაკინებთ პროფ. გრ. ნათაძის ღვაწლს ამ დარგის განვითარების საქმეში და ამაში პროფ. ალ. ნამორაძე საგსებით მართალი იყო, მაგრამ, ეტყობა, მას უნებლიერ მხედველობიდან გამორჩა სიმონ ავალიანის კოლორიტული ფიგურა. ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ ბ-ნ სიმონ ავალიანს. რაში მდგომარეობდა მისი დამსახურება? „მას არ აქვს მეცნიერული გამოკვლევები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის სფეროში, ამდენად, მისი დამსახურება შემოიფარგლა იმით, რომ იგი პირველი ლექტორია თბილისის უნივერსიტეტში, რომელმაც წაიკითხა ლექციები ამ დისციპლინაში“ [2, 9]. ვერ ვიტყვით, რომ სიმონ ავალიანის წვლილი ამ სფეროში ამით შემოიფარგლა. საქმე ისაა, რომ მან მოასწრო ერთი კარგი საქმის გაკეთება, რაც, როგორც ჩანს, უნებლიერ გაეპარა მხედველობიდან პატივცემულ მკვლევარს. ესაა მისი ჩართულობა ახალი ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში. ეს არ იყო პატარა საქმე [4, 5].

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მსოფლიო ისტორიის კათედრა, რომელსაც პირველი დღეებიდანვე სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფ. გრიგოლ (გიგო) ნათაძე (1878-1951). ის ასწავლიდა ანტიკურ ისტორიას, შუა საუკუნეების ისტორიას, ახალ ისტორიას, წყაროთმცოდნეობას, ისტორიოგრაფიას, ისტორიის სწავლების მეთოდიკასა და სხვადასხვა სპეციურსებს. ჭეშმარიტად ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი უნდა ყოფილიყავი, რომ ეს საგნები სტუდენტებისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე გესწავლებინა. პროფ. გრ. ნათაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად, მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ამ დარგის მეცნიერულ დონეზე სწავლებას. „უაღრესად დიდია გრიგოლ ნათაძის ლვანლი და დამსახურება სამშობლოსა და ჩეგნი უნივერსიტეტის წინაშე, რომლის პირველ მშენებლებთან ერთად მან მძიმე ტვირთი ზიდა მისი ზრდისა და წინსვლისათვის“ [3, 358].

აღსანიშნავია, რომ პროფ. გრ. ნათაძე იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველი პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი. მან 1924 წლის 8 ივნისს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „უძველესი საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანყების საფუძველი“.

თავდაპირველად მსოფლიო ისტორიის კათედრა აერთიანებდა რამდენიმე დისციპლინას: ანტიკური ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია და ახალი დროის ისტორია. აღსანიშნავია, რომ იმხანად რუსეთის ისტორია არ ისწავლებოდა ცალკე საგნად და მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი იყო. ახლად დაარსებული მსოფლიო ისტორიის კათედრა მწვავედ განიცდიდა კვალიფიციური კადრების დეფიციტს. ამიტომ მისი მთავარი მიზანი, მსოფლიო ისტორიის მაღალ მეცნიერულ დონეზე სწავლებასთან ერთად, ახალი კვალიფიცირებული კადრების მომზადება იყო. მთელი ძალისხმევა ამ მიმართულებით წარიმართა. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარის და შესანიშნავი ლექტორის სიმონ ავალიანის გარდაცვალება. ის

სრულიად ახლაგაზრდა გარდაიცვალა. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ახლა ამ დარგში არსებული მთელი სიმძიმე გრ. ნათაძეს დააწვა მხრებზე. ერთი ადამიანისთვის, თუნდაც ისეთი ფართო დიაპაზონის ისტორიკოსისათვის, როგორიც ბ-ნი გრიგოლ ნათაძე გახლდათ, ეს მეტად მძიმე ტვირთი იყო. ამიტომ, 20-იან წლებში მსოფლიო ისტორიის კათედრისთვის და, ალბათ, არა მარტო მისთვის, მთავარ პრიორიტეტად სწორედ კვალიფიციური კადრების შემოკრება იქცა. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია პროფ. გრ. ნათაძის თანადგომა ალექსანდრე ნამორაძისადმი. მისი რეკომენდაციით, ალ. ნამორაძე დატოვეს უნივერსიტეტში ჯერ საპროფესოროდ მოსამზადებლად – ასპირანტურაში (ახლანდელი დოქტორანტურა), ხოლო შემდეგ კი აიყვანეს უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის კათედრაზე [6, 132].

1930 წელს მსოფლიო ისტორიის კათედრის ბაზაზე საძირკველი ჩაეყარა სამ დამოუკიდებელ კათედრას. ესენია: ძველი მსოფლიო ისტორიის, რუსეთის (სსრკ ხალხთა) ისტორიისა და დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრები. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა დაევალა პროფ. გრ. ნათაძეს. კათედრის მდივნად დაინიშნა ალ. ნამორაძე. 1930-1933 წლებში ასწავლიდნენ ორ საგანს. ეს იყო დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად, მზადდება წანამძღვრები ცალკე კათედრების შექმნისათვის. ეს იყო სწორი ნაბიჯი. 1934 წელს დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრა ორ ნაწილად გაიყო: შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი, ხოლო ახალი ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა გრიგოლ (გიგო) ნათაძე. ასე იყო ერთი წელი. 1935 წლიდან კი ახალი ისტორიის კათედრას განაგებდა დოც. ალ. ნამორაძე, ხოლო პროფ. გრ. ნათაძე ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას [7, 6].

ახლად ჩამოყალიბებული კათედრის წევრები იყვნენ: კათედრის გამგე, დოც. ალ. ნამორაძე, პროფ. გრიგოლ ნათაძე

(შეთავსებით იგი ამ დროს უკვე სათავეში ედგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას), დოც. სევ. ყალიჩავა და ლექტ. ერმ. ბურჭულაძე.

1935-1958 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრას ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალექსანდრე ნამორაძე (1890-1958) განაგებდა. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მან გააგრძელა პროფ. გრიგოლ ნათაძის მიერ დაწყებული საქმე და დიდ ყურადღებას აქცევდა მსოფლიო ისტორიის კვალიფიცირებული კადრების აღზრდას. მისი აღზრდილია დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების თუ ახალი და უახლესი ისტორიის არაერთი შესანიშნავი ლექტორი და ცნობილი მკვლევარი. ალბათ, გადაჭარბებული იქნებოდა გვეთქვა, თითქოსდა ალ. ნამორაძემ საძირკველი ჩაუყარა სკოლას [1, 365]. არც იმის თქმა ღირს, თითქოსდა მან შექმნა მიმართულება, მიმდინარეობა. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ მან შეძლო ჩამოყეალიბებინა თავისი გუნდი, რომელმაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ღრმა კვალი დატოვა და თავისი სიტყვა თქვა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების თუ ახალი და უახლესი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციისა და მეცნიერული კვლევის საქმეში. პროფ. ალ ნამორაძის, როგორც ნიჭიერი მეცნიერებისა და ლექტორების ახალი თაობის აღმზრდელის მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. აღსანიშნავია, რომ პროფ. ალ. ნამორაძე იყო საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში პირველი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პირველი პროფესორი. მან 1938 წლის 3 ნოემბერს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII-XVIII საუკუნეებში“. ალ. ნამორაძის ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა სახელგანთქმულმა ისტორიკოსმა აკად. ე. ტარლემ.

1932 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო მუშაობა მსოფლიო ისტორიაში უფროსი თაობის წამყვანმა სპეციალისტმა პროფ. ნიკოლოზ დუბრივსკიმ (1874-

1943). თუ გავითვალისწინებთ კადრების მწვავე დეფიციტს, რომელიც ამ დარგში არსებობდა, ეს, უდავოდ, სოლიდური შევსება იყო. ნ. დუბროვსკი 1938 წლამდე ირიცხებოდა ახალი ისტორიის კათედრაზე, ხოლო 1938-1943 წლებში ის სათავეში ედგა კოლონიური ქვეყნების კათედრას. მისი გარდაცვალების შემდეგ 1943 წელს ეს კათედრა გაუქმდა, ხოლო საგნის სწავლება ახალი ისტორიის კათედრას დაევალა. ახლა ის აერთიანებდა რამდენიმე დისციპლინას: დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია, დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია. ეს პროფილი კათედრამ 1980 წლამდე შეინარჩუნა. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ძალიან მცირე დროისა, პროფ. ნ. დუბროვსკიმ ორი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწორო. როგორც მისი ყოფილი სტუდენტები, აკად. მარიამ ლორთქიფანიძე და აკად. ოთარ ჯაფარიძე იხსენებენ, ის იყო ამ საგნის ბრწყინვალე ლექტორი, დახვეწილი ინტელიგენტი და უზადო ერუდიტი [8, 95-98] და მან ყოველმხრივ შეუწყო ხელი ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსის ვარლამ დონაძის დაწინაურებას, რომელმაც მისი გარდაცვალების შემდეგ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე განაგრძო მუშაობა და საქართველოში ამ დარგის ერთ-ერთ კომპეტენტურ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. მან დაწერა სახელმძღვანელოები აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი დამსახურება იყო.

შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ალ. ნამორაძემ დიდად შეუწყო ხელი მოსკოვიდან დაბრუნებულ გივი ჟორდანიას დაწინაურებას. ერთი პერიოდი ბატონი გივი ჟორდანია ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა, რომელსაც პროფ. ალ. ნამორაძე ედგა სათავეში.

მათ შორის, ვინც პროფ. ალ. ნამორაძის გვერდით იდგა, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ დოცენტი ანასტასია (ტასო) კასრაძე. ის შესანიშნავი ბიბლიოგრაფი იყო.

ერთი ხანობა ახალი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა სერგო ბოკუჩავა, მაგრამ შემდეგში მან შეიცვალა პროფილი და პარტიის ისტორიის ხაზით განაცრძო მუშაობა. ასწავლიდა პარტიის ისტორიას კონსერვატორიაში. იგივე გზა გაიარა პროფ. გიორგი გვიშიანმა, რომელიც აღ. ნამორაძის ასპირანტი იყო და ცოტა ხანს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ირიცხებოდა. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზა შემთხვევითი არ გახლდათ. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, რომ ის უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემებით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ პროფ. აღ. ნამორაძე არც ნიჭიერ ახალგაზრდებს ივიწყებდა. მან ხელი შეუწყო გ. კილურაძის, ი. ტაბალუას, კ. ანთაძის დაწინაურებას. მათ მუშაობა დაიწყეს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, რომელსაც პროფ. აღ. ნამორაძე განაცემდა.

1958 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა პროფ. აღ. ნამორაძე. კათედრის გამგის ადგილი ვაკანტური შეიქმნა. მასზე პრეტენზიას ერთბაშად სამი პრეტენდენტი აცხადებდა: დოც. გივი უორდანია, დოც. ილია ტაბალუა და დოც. გივი კილურაძე. მანამ ვითარება გაირკვეოდა, კათედრას მცირე ხნით განაცემდა დავით გვრიტიშვილი, რომელიც იმხანად ისტორიის ფაკულტეტის დეკანი იყო. ცოტა ხნის შემდეგ კათედრის გამგედ აირჩიეს პროფესორი გივი უორდანია, რომელმაც 1960 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში“. ამან მნიშვნელოვანნილად განაპირობა კონკურსში მისი გამარჯვება. ეს პროფ. აღ. ნამორაძის გარდაცვალების შემდეგ კათედრის პირველი დიდი წარმატება იყო. პროფ. აღ. ნამორაძე, როგორც მისი ქალიშვილი ნინო იგონებს, ძალიან დაეხმარა პროფ. გივი უორდანიას სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში და პირობით მის მეცნიერ-კონსულტანტადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ მის დაცვას ვეღარ მოესწრო და გარდაიცვალა. მეორე წარმატება გახლდათ 1962 წელს დოც.

ვარლამ დონაძის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაცია თემაზე „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე“. აღსანიშნავია, რომ ეს თემა მას შეურჩია აკად. ევგენი ტარლემ. მისი გულის მოგება, ცხადია, ადვილი საქმე არ იყო. ბ-ნ ვარლამ დონაძემ ეს მოახერხა. ამ წარმატების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და განსაკუთრებით ფასეული უნდა იყოს დოც. გივი კილურაძის სადოქტორო დისერტაცია „საფრანგეთის არმია დიდი ბურუუაზიული რევოლუციის დროს“. ეს ნაშრომი წმინდა მსოფლიო ისტორიას განეკუთვნება და ამ სახის შრომები XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში თითებზე ჩამოსათვლელი იყო. ამიტომ ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მილწევად მიგვაჩნია.

ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, კვლავ რჩებოდა ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მთავარ პრიორიტეტად, თუმცა უნდა ითქვას, რომ ახლა კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი უკვე ისე მნვავედ აღარ იგრძნობოდა. კათედრის მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს პრობლემა წარმატებით დაძლიეს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დარგის წინსვლის საიმედო გარანტიად გვევლინება. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი ჯგუფი: ნოდარ კიკვაძე, ვლადიმერ (ვოვა) ივანოვი, რევაზ ლასკარი, ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდათ გივი ბოლოთაშვილი და ნინო ნამორაძე. კათედრას დაევალა კიდევ ერთი დისციპლინის წაყვანა. ისტორიის სწავლების მეთოდიკას კითხულობდა ამ დარგის ჩინებული სპეციალისტი, მრავალმხრივ ერუდირებული პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ბ-ნი მიხეილ მამფორია.

1968 წელს გარდაიცვალა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე პროფ. გიორგი ტივაძე. შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. გივი უორდანია, ხოლო ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგედ აირჩიეს პროფ. ალ. ნამორაძის მონაცე პროფ. გივი კილურაძე. ის კათედრას განაგებდა მთელი ათი წლის განმავლობაში – 1969 წლიდან გარდაცვალებამდე – 1978 წლამდე.

პროფ. გივი კილურაძე იყო არა მარტო ნიჭიერი და ერუდირებული მკვლევარი, არამედ სასწავლო პროცესის და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილი და ენერგიული ორგანიზატორი. ის იყო არაერთი კარგი წამონაცემის მოთავე. მან მრავალი საშური საქმე გააკეთა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა არამარტო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, არამედ სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას და ორგანიზებას. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნას. ეს გაუადვილებდა სტუდენტებს ამ საგნის შესწავლას. ჯერ იყო და შეიქმნა სახელმძღვანელოები აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში. ამას მოჰყვა სახელმძღვანელოები დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში. უმთავრესად პროფ. გივი კილურაძის ძალისხმევით შეიქმნა სახელმძღვანელო ახალი ისტორიის მეორე პერიოდში (1870-1918) ორ ნაკვეთად. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაიწერა ქრესტომათია ახალ ისტორიაში. მან დაწერა „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს პირველი წიგნი, რომელიც მთლიანად თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებდა. მას განზრახული ჰქონდა მისი სამ წიგნად გამოცემა. მეორე წიგნში განხილული იქნებოდა და-სავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები – ინგლისის რევოლუციიდან საფრანგეთის რევოლუციამდე (1640-1789 წწ.), ხოლო მესამე წიგნში საუბარი იქნებოდა და-სავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხებზე – საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე (1789-1870 წწ.) დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1974 წლის 10 აპრილს სა-დოქტორო დისერტაცია დაიცვა დოც. კოტე ანთაძემ. მისი ნაშ-რომი ეძღვნებოდა საქართველოს ისტორიას „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“. ასეთი მკვეთრი შემობრუნება, ცხა-დია, შემთხვევითი არ გახლდათ და მნიშვნელოვნად განპირო-ბებული იყო იმ რეალური სირთულეებით, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის, სახელდობრ, საფრანგეთის ახალი ისტორიის, საკვანძო საკითხების კვლევასთან. ეს იყო წმინდა

პრაგმატული ნაბიჯი. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ პროფ. გ. კილურაძე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლო პროცესის მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმართვას. ამ მხრივ-აც ის რამდენიმე საინტერესო წამოწყების ინიციატორად მოგვე-ვლინა. ჯერ იყო და ცნობილი ისტორიკოსი პროფ. უშანგი სიდამონიძე მოიწვია ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ისტორიული მეცნიერების შესავლის კურსის წასაკითხად, ხოლო შემდეგ კი გერმან სიმონიძე კითხულობდა მეტად საინტერესო თეორიულ დისციპლინას „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ისტორიული მეცნიერება“. ცხადია, ესეც მისი დავალებით იყო. მის დროს კათედრას პროფესორ-მასწავლებლების კათედრის იმიჯი ჩამოუყალიბდა. კათედრის წევრები იყვნენ: პროფ. გი-ვი კილურაძე (კათედრის გამგე), პროფ. ვარლამ დონაძე, პროფ. კოტე ანთაძე და მასწავლებლები: მიხეილ მამფორია, ნოდარ კიკვაძე, გერმან სიმონიძე, ვლადიმერ (ვოვა) ივანოვი, რევაზ ლასკარი, გივი ბოლოთაშვილი, ნინო ნამორაძე, ცოტა მოგვიანებით კი – ელენე მეძმარიაშვილი. ბოლოს დავძენთ, რომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოახერხა ახალგაზრდა კვალიფიცირებული კადრების გაზრდის საქმეში. მან მოასწრო თავის გარშემო შემოეკრიბა ახალგაზრდების ერთი ჯგუფი – მერაბ კალანდაძე, ნაირა მამუკელაშვილი, ვასილ კაჭარავა, გიორგი ბეჟუაშვილი, კოტე ბოჭორიშვილის მაგრამ დაწყებული საქმის გასრულება ვეღარ მოასწრო და ამ სამუშაოს გაგრძელება მისი საქმის ერთ-ერთ ღირსეულ გამგრძელებელს, პროფ. კოტე ანთაძეს მოუხდა [9].

1978 წლის 5 აგვისტოს, უეცრად, გულის შეტევით, გარ-დაიცვალა პროფ. გივი კილურაძე. კათედრის გამგის ვაკანსიის დაკავების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი პროფ. ალ. ნამორაძის მონაცე, პროფ. კოტე ანთაძე იყო, მაგრამ ზოგიერთებმა კარგად გამოიყენეს კათედრის ფართო პროფილი, სადაც ისწავლებოდა აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია და შეიტანეს განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე. 1978 წლის

25 დეკემბერს, კანონის უხეში დარღვევით, კათედრის გამგედ აირჩიეს აღმოსავლეთმცოდნე, პროფ. ალბერტ მენთეშაშვილი. დაიწყო დავა. ის არ ატარებდა პირადულ ხასიათს და პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. საკითხი ეხებოდა კათედრის მომავალ სვებედს, პერსპექტივას: შეინარჩუნებდა თუ არა კათედრა თავის პროფილს და გააგრძელებდა იმ გზას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პროფ. ალ. ნამორაძემ და პროფ. გივი კილურაძემ, თუ გადაუხვევდა არჩეული კურსიდან, რისი ალბათობაც ძალიან დიდი იყო. ხანგრძლივი დავის შემდეგ გამონახეს კომპრომისული გამოსავალი. ეს სწორი ნაბიჯი იყო. 1980 წელს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას გამოეყო აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას კი სათავეში ჩაუდგა ალ. ნამორაძის მოწაფე პროფ. კოტე ანთაძე. პროფ. ალ. ნამორაძის და პროფ. გ. კილურაძის მიერ დაწყებული საქმე გაგრძელდა, არ ჩაითვარფლა, რისი საშიშროებაც, უეჭველად, არსებობდა [10].

პროფ. კოტე ანთაძე თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას. მისი კათედრის გამგეობას ორი მკვეთრად გამოკვეთილი პერიოდი გააჩნია: საბჭოთა ხანა და პოსტსაბჭოთა პერიოდი. უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ თუ კათედრას აღარ ჰქონდა „პროფესორ-მასწავლებელთა“ კათედრის იმიჯი, ამაში „ლომის წილი“, უმთავრესად, სწორედ პროფ. კოტე ანთაძეს მიუძღვის. ამ თვალსაზრისით, 80-იანი წლები საკმაოდ ნაყოფიერი ხანა აღმოჩნდა. 1981 წლის 10 იანვარს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა გივი ბოლოთაშვილმა, 1984 წლის 3 ივლისს – გია მჭედლიშვილმა, 1984 წლის 14 დეკემბერს – ნინო ნამორაძემ, 1986 წლის 25 ოქტომბერს – ნაირა მამუკელაშვილმა, 1987 წლის 24 ივნისს – გიორგი ბეჟუაშვილმა, 1988 წლის 9 მარტს – მერაბ კალანდაძემ, 1990 წლის 30 მარტს – ლალი ფირცხალავამ, 1990 წლის 28 ნოემბერს – ცირა ჩიკვაძემ, 1990 წლის 26 დეკემბერს – ნინო კილურაძემ. ეს პროფ. კოტე ანთაძის, როგორც კათედრის

გამგის, მოღვაწეობის ერთი მხარე იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა პერიოდი. პირველ რიგში, აღნიშვნის ღირსია კათედრის ჩართულობა ახალი ტიპის მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერის საქმეში. დაიწყო მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისაგან გაწმენდის პროცესი. ამ ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები. ლალი ფირცხალავამ დაწერა სახელმძღვანელო ისტორიის მეცნიერების შესავალში. შეიქმნა სახელმძღვანელოები დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების – გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიაში. ამ საგნებში დაიწერა სასწავლო პროგრამა. პროფ. ვაჟა თვალავაძემ დაწერა სახელმძღვანელო ახალ ისტორიაში. არც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იქნა მივიწყებული. საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ წმინდა მსოფლიო ისტორიის თემატიკის კვლევა კიდევ უფრო გაძნელდა. ახლა უკვე იმასაც ვეღარ იტყოდი, რომ საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა არის ახალიო. ამ არგუმენტს უკვე ყავლი გაუვიდა. ამ რთული ვითარებიდან კათედრის გამგეს პროფ. კ. ანთაძეს მიუძღვის. ის ორი მიმართულებით წავიდა: პირველი, ეს იყო პედაგოგიკის განხრა, ისტორიის სწავლების მეთოდიკა და მეორე, გააღრმავა ქართული კონტექსტი და მასში ახალი თემა შემოიტანა – დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა. საქართველოში XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, ეს იყო საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის შესწავლა. ეს თემა სრულად შეუსწავლელი იყო და ასეთი ნაბიჯი გამართლებული ჩანდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი მეცნიერ-კონსულტანტობით დაცული ორი სადოქტორო დისერტაცია. ეს მისი, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის წარმატების ზენიტია. 1994 წელს ნაირა მამუკელაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისტორიის სწავლების მეთოდიკაში – „ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“, ხოლო 1999 წელს მერაბ კალანდაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისტორიოგრაფიაში „დასავლეთ ევ-

როპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. აქვე დავძენთ, რომ 90-იან წლებში და ცოტა შემდეგ, წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები: თამარ რუხაძემ, გურანდა ჭელიძემ, თეიმურაზ პაპასქირმა, ზაზა ბურკაძემ, მადონა მიქელაძემ და სხვებმა. მეცნიერული გამოკვლევებიდან უნდა გამოვყოთ პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი ნაპოლეონზე.

2003 წლის მაისში პროფ. კოტე ანთაძემ დატოვა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობა და მუშაობა გააგრძელა კათედრის პროფესორად. 2003-2006 წლებში კათედრას განაგებდა დოც. გივი ბოლოთაშვილი. იმ დროისათვის კათედრაზე თერთმეტი თანამშრომელი ირიცხებოდა. ესენი იყვნენ: პროფ. კ. ანთაძე, პროფ. ნ. მამუჯაძაშვილი, პროფ. ვ. თვალაგაძე, პროფ. მ. კალანდაძე, დოც. ნ. ნამორაძე, დოც. გ. ბოლოთაშვილი, დოც. ლ. ფირცხალავა, დოც. ე. მექმარიაშვილი, დოც. ც. ჩიკვაიძე, დოც. ნ. კილურაძე, დოც. ვ. კაჭარავა. კათედრაზე შეთავსებით მოწვეული იყო პროფ. ნ. კიკვაძე. უფრო ადრე კათედრაზე შეთავსებით იყვნენ მოწვეულები პროფ. ილია ტაბალუა და პროფ. უშანგი სიდამონიძე.

ასე მივუახლოვდით უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვან, ავადსახსენებელ 2006 წელს. მან ღრმა კვალი დატოვა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ რეფორმის გატარება აუცილებელი იყო და ამის წინააღმდეგი არც არავინ გახლდათ. განათლების სისტემა საჭიროებდა განახლებას, გაჯანსაღებას. ასეთი იყო საერთო აზრი. აქვე დავძენთ იმასაც, რომ არც ის იყო სწორი, თითქოსდა უნივერსიტეტის პროფესურას კონკურსების ჩატარების ეშინოდა. უნივერსიტეტის პროფესურას კონკურსის არაობიექტურად ჩატარების ეშინოდა. აღმოჩნდა, რომ ეს შიში საფუძველსმოკლებული სულაც არ ყოფილა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოსდა რეფორმას დადებითი მხარე არ ჰქონდეს. რა თქმა უნდა, დადებითი მომენტები, უეჭველად, არის, მაგრამ უარყოფითიც ბევრია და ხშირად ფარავს პოზიტივს.

რეფორმას მინუსებიც გააჩნდა და პლუსებიც. სახელმწიფოს ჩარევას უნივერსიტეტის საქმეში და უნივერსიტეტის ხელოვნური გაახალგაზრდავების პროცესი მისაღები არასოდეს იქნება. უნივერსიტეტმა და მათ შორის, ცხადია, მსოფლიო ისტორიის მიმართულებამ მძიმე საკადრო დანაკლისი განიცადა. ამა თუ იმ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო უნივერსიტეტის მიღმა აღმოჩნდნენ თვალსაჩინო სპეციალისტები: პროფ. გრანი ქავთარია, პროფ. გივი გამრეკელი, პროფ. გურამ კუტალია, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. ნოდარ კიკვაძე, პროფ. ვაჟა თვალავაძე, დოც. გივი ბოლოთაშვილი. ეს იყო მეტად ძლიერი დარტყმა. თითქმის ყველა დარგმა გამოკვეთილი ლიდერები დაკარგა. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთ კვალიფიცირებულ სპეციალისტებს ევროპის ნებისმიერ უნივერსიტეტში ან სამეცნიერო დაწესებულებაში ხელისგულზე ატარებდნენ. ჩვენ კი ასე ადვილად შეველიეთ. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ასეთი ფუფუნების უფლება არ გააჩნია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ასაკობრივ დისკრინიმაციას შეეწირა უნივერსიტეტის ნა-ლები. თაობათა შორის წყვეტა ამის ლოგიკურ შედეგად მიგ-ვაჩნია. ყველაფერი ეს არც სასწავლო პროცესს და არც სა-მეცნიერო-კვლევით საქმიანობას სასიკეთოდ არ წადგომია. რამდენად გამართლებული იყო კათედრების გაუქმება? ასეთ რას აშავებდნენ ისინი? ალბათ, არც არაფერს. დღეს ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი. დღეს ეს მიმართულება ცოტა გონს მოდის, ფერიანდება და ფეხზე დგება. ამჟამად ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებაზე ექვსი თანამშრომელია: პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, ასოცირებული პროფესორები: ია ხუბაშვილი, ფატი შეყლაშვილი და მერაბ კალანდაძე, ასისტენტ-პროფესორები: თამარ ანთაძე და ზაალ გოგენია.

უნივერსიტეტს, მათ შორის მსოფლიო ისტორიის კათედრას, რომლის განაყოფიც არის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეპოქაში მოუწია ფუნქციონირება: დამოუკიდებელი საქართველო – 1918-1921

წლები, საბჭოთა პერიოდის საქართველო 1921-1991 წლები და პოსტსაბჭოთა საქართველო 1992 წლიდან დღემდე. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის პერიოდიზაცია. პირველი თაობა იყო ამ დარგის ფუძემდებელი: პროფ. გრ. ნათაძე, პროფ. ალ. ნამორაძე, პროფ. ნ. დუბრივსკი. მეორე თაობა არის მათი მოწაფეები: პროფ. გ. კილურაძე, პროფ. ვ. დონაძე, პროფ. ილია ტაბაღუა, პროფ. კ. ანთაძე, პროფ. ნ. კიკვაძე. მესამე თაობას მათი მოწაფეები წარმოადგენენ: პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. ვაჟა თვალავაძე, პროფ. მერაბ კალანდაძე, დოც. ვასილ კაჭარავა, დოც. ნინო ნამორაძე, დოც. გივი ბოლოთაშვილი, დოც. ელენე მექმარიაშვილი, დოც. ლალი ფირცხალავა, დოც. ცირა ჩიკვაძე, დოც. ნინო კილურაძე. ხოლო რაც შეეხება მეოთხე თაობას, ის სამოღვაწეო ასპარეზზე სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა და ყველაფერი წინ აქვს.

მსოფლიო ისტორიის კათედრის განვითარება მისი გაფართოების ისტორიას წარმოადგენს. მაშ ასე, 1919-1930 წლებში იყო მსოფლიოს ისტორიის კათედრა, რაც კვალიფიცირებული კადრების დეფიციტით იყო გამორვეული. 1930-1934 წლებში არ-სებობდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის კათედრა. 1934-1980 წლებში მას ეწოდება ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. 1980 წლიდან 2006 წლამდე ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. 2006 წელს ის გადაკეთდა მიმართულებად, ხოლო 2013 წლიდან კვლავ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. აი ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა მსოფლიო ისტორიის კათედრამ: მის ბაზაზე ყალიბდება ოთხი ახალი კათედრა: ქველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი და უახლესი ისტორიის და სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრა.

ლიტერატურა

1. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970.
2. ლ. ფირცხალავა, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია. – კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
3. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე. – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. თბ., 1959.
4. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 1920.
5. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები), თბ., 1920.
6. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
7. გ. კუტალია, თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ისტორია – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაკვეთი VI, თბ., 2004; იხ. აგრეთვე: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღნერილობა 22, საქმე 17, ფურცელი 1.
8. მ. კალანდაძე, ნიკოლოზ დუბროვსკი მოგონებებში. – კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
9. კ. ანთაძე, გივი კილურაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა. თბ., 1983.
10. პროფ. კ. ანთაძის პირადი არქივი.

თავი II

სათავეებთან

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიის საკითხებით სერიოზული დაინტერესების გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა არა საბჭოთა ეპოქის საქართველოში, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში, 1918-1921 წლებში. ეს მონაკვეთი, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ფაქტობრივად ელიმინირებული, ამოღებული იქნა ამ დარგის განვითარებიდან, თითქოს არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა. ასეთი იყო ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პოლიტიკური ნება. რეალობა სულ სხვაგვარი გახლავთ [1; 2].

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში მსოფლიო ისტორიის ჯეროვანად სწავლებას, პოპულარიზაციას და შესწავლას სათანადო ყურადღება ექცეოდა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროის მცირე მონაკვეთში რაღაცის გაკეთება მაინც მოასწრეს და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

უნინარესად, უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ, მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, მაინც მოასწრო სწორი ნაბიჯების გადადგმა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. პირველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უმთავრესად დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, დიდი ყურადღება მიექცა მსოფლიო ისტორიის სათანადო დონეზე სწავლებას. ამ მიზნით მან უნივერსიტეტში მოიწვია ამ დარგის კვალიფიცირებული

სპეციალისტები სიმონ ავალიანი და გრიგოლ (გიგო) ნათაძე. მეორე სწორი ნაბიჯი იყო მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ამ სფეროში დამოუკიდებელ საქართველოს მესვეურთ სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ აღებული და თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საქართველოს გასაბჭოება, ეს ხაზი აუცილებლად გაგრძელდებოდა და უფრო ხელშესახები შედეგები დაიდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს ისტორიული განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობის საქმეში ჩართულობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ და ეს მის წარმატებად გვევლინება. მსოფლიო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი არ შეიძლება მოვწყვიტოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრას. ის იზოლირებულად არ მიმდინარეობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის ორი წევრი სიმონ ავალიანი და გრ. ნათაძე აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ მათ დაწერეს ოთხი სახელმძღვანელო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ცოტა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უნივერსიტეტის პროფესორები გახდნენ აგრეთვე ამ სახელმძღვანელოს სხვა ავტორები: აკად. დიმიტრი უზნაძე, პროფ. ალექსანდრე წერეთელი, პროფ. ვარლამ დონდუა. აქედან პროფ. ალექსანდრე წერეთელი ხანგრძლივად მოღვაწეობდა ჯერ მსოფლიო ისტორიის, შემდეგ კი ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე, პროფ. ვარლამ დონდუა საქართველოს ისტორიის საკითხებს ასწავლიდა, ხოლო აკად. დიმიტრი უზნაძე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გახდა და ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას შორს გაუთქვა სახელი. მათი

ასეთი ჩართულობა სავსებით მართლზომიერი იყო, ვინაიდან იმჟამინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახლდათ აკუ-მულირებული. უნივერსიტეტი აქტიურად იყო ჩართული მსოფ-ლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესში და დამოუკიდებელი საქართველოს ამ მიღ-წევაში მსოფლიო ისტორიის კათედრამ თავისი წონიანი სიტყვა თქვა. ეს თემა, ვფიქრობთ, სწორედ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მკითხველს შევახსენებთ ამ სახელმძღვანელოებს: დ. უზნაძე – პირველყოფილი კულტურის ისტორია; დ. უზნაძე – ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა; გრ. ნათაძე – პირველყოფილი კულტურა; დ. უზნაძე – ძველი ისტორია; წიგნი 1. ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი; დ. უზნაძე – ძველი ისტორია, წიგნი 2. ძველი რომი; ალ. წერეთელი – მსოფლიო ის-ტორია, წიგნი 1. ძველი ისტორია; ვ. დონდუა – საშუალო საუ-კუნეთა ისტორია; ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. II. საშუალო საუკუნეები; ა. ვულფიუსი – საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელო; დ. უზნაძე, ი. გველესიანი – ახალი ისტორია, ორ ნაწილად; ს. ავალიანი – მსოფლიო ისტორია, ახალი პერიოდი, ორ ნაწილად; თ. ჭუმბურიძე – ახალი ისტორია; ალ. წერეთელი – მსოფლიო ისტორია, ნაწ. III. ახალი ისტორია; გრ. ნათაძე – ინგლისის მოკლე ისტორია [3].

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობა. ეს იყო სწორი ნაბიჯი. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელი იყო და საძირკველი ჩაეყარა ერთ კარგ წამოწყებას. ეს არ იყო პატარა საქმე. ამიტომ ამის გვერდის ავლას, წაყრუებას, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება ჩადიოდა, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო და არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. ეს სახელმძღვანელოები თანდათან მივიწყების სქელმა მტვერმა დაფარა. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების რეანიმაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ეს სახელმძღვანელოები უნდა დავუბრუნოთ ქართულ

ისტორიოგრაფიას და მას ამ დარგის განვითარების ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მოვუნახოთ. ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ერთი ხანმოკლე, მაგრამ საემაოდ საინტერესო, მონაკვეთი, რომლის ელიმინირება, ამოღება, ამ სფეროს განვითარების საერთო სურათზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის [4, 3, 5, 31-39; 6, 42-55; 7, 7-19; 8, 233-234].

დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაცია მეცნიერულ ელეფტერ იძენს, რაც ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს სახელმძღვანელოები, ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიის შესწავლის პოპულარიზაციიდან მეცნიერულ მიდგომაზე გადასვლის პროცესში გარდამავალ რგოლად შეიძლება მივიჩნიოთ. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს პრიმიტიული, მიამიტური მსჯელობა ქართულ რეალობაში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გააზრების პირველ მცდელობად გვევლინება და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. იკვეთება მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების მეცნიერული გაშუქების პირველი კონტურები, წანამძღვრები. მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ მსოფლიო ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ არჩეული და უპირატესად ისტორიის მრავალვარიანტულ მიდგომაზე და პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებული, რომელ-საც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების არც აპოლოგეტური შეფასება და არც განქიქება, მინასთან გასწორება არ ივარგებს. საჭიროა უფრო დაბალანსებული მიდგომა. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს არ იყო მარტო სასკოლო სახელმძღვანელოები, თუმცა არც ესაა ცოტა. მათ კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, მსოფლიო ისტორიაში მშობლიურ ენაზე უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებით არათუ მაშინ, დღესაც არა ვართ განებივრებული, ეს სასკოლო სახელმძღვანელოები ამავე დროს დროებით უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ითავსებდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოწვეული კარგი ცხოვრებით.

ამრიგად, საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა არა საბჭოთა პერიოდის საქართველოში, როგორც ამას დიდი ხნის მანძილზე გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამიტომ ეს მონაკვეთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის საქმიანობის პირველ პერიოდად მიგვაჩინა. მსოფლიო ისტორიის კათედრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დროის ამ მცირე მონაკვეთისა, ორი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწრეს: 1. მათ საფუძველი ჩაუყარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ სწავლებას; და 2. აქტიურად იყვნენ ჩართულნი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში. ამ პერიოდის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის ძირითადი ეტაპები. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საფაკულტეტო სამეცნიერო

კონფერენცია მიძღვნილი პროფ. გრიგოლ კიკნაძის 100 წლისთავისადმი. თბ., 2009.

2. მ. კალანდაძე, საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის ევოლუცია. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მეზუთე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. მიძღვნილი პროფ. გივი ქორდანიას 100 წლის იუბილესადმი, თბ., 2011.

3. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდზე. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის IV ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2011. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე ნაპოლეონზე. – „ჩვენი მწერლობა“ №23. თბ., 2012. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 12. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე იაკობიანთა ბელადებზე. – ქართული დიპლომატია, წელინდეული. 16. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე იაკობინთა დიქტატურაზე. – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №4. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი. – „ანალები“ №9. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები. – ქართველოლოგია, 5. თბ., 2013.

4. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.

5. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.

6. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართული ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.

7. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.

8. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი 1, თბ., 2011.

თავი III

მესაძირკვლები

1921 წელს საქართველოს გასაბჭოებამ კათედრის ისტორიაში ახალი მნიშვნელოვანი ფურცელი გადაშალა, რომელიც მისი საქმიანობის ყველაზე უფრო ხანგრძლივ პერიოდად გვევლინება. აქედან მოყოლებული ინუბა კათედრის ისტორიის მეორე პერიოდი – საბჭოთა ეპოქა. ის პირობით სამ ქვეპერიოდად შეიძლება დაყოს. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია: 1. საქართველოს გასაბჭოებიდან – 30-იანი წლების შუა ხანებამდე, როდესაც ეს დარგი იყო ჯერ მსოფლიო, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრის შემადგენელი ნაწილი. ის დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებდა. 2. 30-იანი წლების შუა ხანებიდან ახალი ისტორია გამოეყო დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრას და დამოუკიდებელ არსებობას შეუდგა. ეს არის მეორე მონაკვეთი – „სტალინური ხანა“ – 30-იანი წლების შუა ხანებიდან 50-იანი წლების შუა ხანებამდე. ი. სტალინის გარდაცვალებამდე. ეს იყო კათედრის ისტორიაში ყველაზე უფრო მძიმე და რთული წლები. 3. 50-იანი წლების შუა ხანებიდან, ი. სტალინის გარდაცვალებიდან – 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. კათედრის ისტორიაში საბჭოთა ეპოქა დასრულდა.

20-30-იანი წლების დასაწყისში ახალი ისტორია ჯერ მსოფლიო ისტორიის, შემდეგ კი დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. ის ცალკე არ არსებობდა. 30-იანი წლების შუა ხანებიდან მან დაიწყო დამოუკიდებელი

ფუნქციონირება. ამით მთავრდება კათედრის ისტორიის ერთი ქვეპერიოდი და იწყება მეორე.

დასავლეთ ევროპის ისტორიის კათედრის ბაზაზე ყალიბდება სამი ახალი კათედრა: შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი და უახლესი ისტორიის და რუსთის (სსრკ ხალხთა) ისტორიის. ფაქტობრივად, სწორედ აქედან იწყება ახალი ისტორიის კათედრის ისტორიაც. ის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას შეუდგა.

საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეულებად ცნობილი ისტორიკოსები პროფ. გრიგოლ (გიგო) ნათაძე (1878-1951), პროფ. ალექსანდრე ნამორაძე (1890-1958) და პროფ. ნიკოლოზ დუბრივსკი (1874-1943) უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ უნივერსიტეტის განვითარებამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. თუ აქამდე სახელმწიფო არ ერეოდა უნივერსიტეტის საქმეებში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა და სახელმწიფო აქტიურად ერევა უნივერსიტეტის საქმეში. უნივერსიტეტის განვითარების ვექტორმა მკვეთრი სახეცვლილება განიცადა, რასაც გამოკვეთილად პოლიტიკური სარჩული გააჩნდა.

უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე უფრო მძიმე გასული საუკუნის 30-40-იანი წლები – ე. ნ. სტალინური ხანა აღმოჩნდა, როდესაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა უნივერსიტეტს თავს დაატეხა სასტიკი რეპრესიები, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში ანალოგი ძნელად მოეძებნება. ამ რეპრესიების კულმინაციად დიდი ქართველი მეცნიერის და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის დევნა-შევიწროება მიგვაჩნია. მსგავსი ფაქტის დაძებნა მრავლისმნახველ ისტორიაში ადვილი საქმე არ ჩანს. მართალია, 1935 წელს ნაცისტებმა ბერლინის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს დიდი გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მაინეკე, მაგრამ ის უნივერსიტეტის დამაარსებელი არ ყოფილა. უნივერსიტეტის დამაარსებლის მოკვეთა, ალბათ, ერთ-ერთი უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში.

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, უნივერსიტეტის ძნელ-ბედობის ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნას 1926 წლის ივნისში უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი იგანე ჯავახიშვილის გათავისუფლება [1a, 41; 1b, 309; 1g; 281]. ეს არ იყო ერთი ჩვეულებრივი რექტორის ჩვეულებრივი გათავისუფლება. ფაქტობრივად, ბოლშევიკებმა ხელყვეს და ფეხქვეშ გათელეს უნივერსიტეტის ავტონომია. ეს არნახული მკრეხელობა გახლდათ. ასე შემოაბიჯებინეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტში უვიცობას, არაკომპეტენტურობას, უსამართლობას, პროტექციას და კორუფციას. დღეს მნიშვნელოვანნილად, სწორედ ამის ნაყოფს ვიმკით. ბოლშევიკებს თვალში ეკალივით ესობოდათ ქართული სულიერების და, ეროვნულობის ისეთ კერა, როგორიც უნივერსიტეტი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ებრძოდნენ მას. მათი შემდეგი ნაბიჯი იყო უნივერსიტეტის დაშლა ინსტიტუტებად და უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებლის და ფუძემდებლის, დიდი ივანე ჯავახიშვილის დათხოვნა. რექტორობიდან ხომ გაათავისუფლეს, ახლა უნივერსიტეტში აღარ გააჩერეს, როგორც კათედრის გამგე და ერთი ჩვეულებრივი ლექტორი. ამაზე მეტი მკრეხელობა რაღა გნებავთ. ივ. ჯავახიშვილი სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გადავიდა. მრავლისმეტყველი იყო 1930 წლის 13-17 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული სხდომა. ცხადია, კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ შირმა იყო. რეალურად, საქმე ეხებოდა ძველი ინტელიგენციის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა დევნას. ეს იყო წმინდა პოლიტიკური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა „ურჩ“ მეცნიერთა მოთვინიერებას, მათ განდევნას უნივერსიტეტიდან და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან. საბოლოო მიზანი კი მათი საზოგადოებისაგან იზოლირება იყო [2; 3, 29-115].

ამ ბინძური კამპანიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1936 წლის 23 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დისკუსია „საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“, რომელიც არსებითად წარმოადგენდა ბინძურ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ქართული ინტელიგენციის

საუკეთესო ნაწილის და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი აღიარებული თავკაცის და ლიდერის, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ [4; 3, 115-309]. ფაქტობრივად, ამ დისკუსიამ ივ. ჯავახიშვილის ფიზიკური განადგურების უვერტიურად გაიუდერა. 1937 წელს დახვრეტას ივანე ჯავახიშვილი გადაურჩა შემთხვევით, რადგან სტალინს დაჭირდა ივ. ჯავახიშვილი, რათა ეჩვენებინა, რომ სულაც არ იყო ისეთი ველური ერის შვილი, როგორც ამას მისი პოლიტიკური ოპონენტები, პირველ რიგში კი, ლევ ტროცკი, ირწმუნებოდა. 1940 წლის 18 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის უეცარი გარდაცვალება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მის წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ წარმოებული პერმანენტული დევნა-შევიწრების, მორალური ტერორის, ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ამიტომაც, ივ. ჯავახიშვილი სტალინის დიდი ტერორის მსხვერპლად მიგვაჩნია [5, 307-316]. თითქოსდა ამით დასრულდა ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე სულაც არ მოხდა. ის ისევ გაგრძელდა და უპირატესად იმით გამოიხატა, რომ ახლა ბოლშევიკები უნივერსიტეტიდან მისი საქმის განდევნას ცდილობდნენ.

როგორც ირკვევა, საბჭოთა ხელისუფლების რისხვას ვერც ამ დარგის დამაარსებლები – პროფ. გრ. ნათაძე, პროფ. ალ. ნამორაძე და პროფ. ნ. დუბროვსკი – გადაურჩნენ. კომუნისტური რეჟიმი არ ენდობოდა მათ და ფიზიკურ განადგურებას მხოლოდ იმიტომ გადაურჩნენ, რომ მათი შემცვლელი არ ჰყავდათ. ისინი, ხელისუფლების მიერ, ფაშისტური ორგანიზაციის წევრებად მოიაზრებოდნენ, რომელსაც სათავეში თურმე ივანე ჯავახიშვილი ედგა [6].

* * *

პროფ. გრ. ნათაძე ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მისი ინტერესების სფერო მხოლოდ მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებში ჩახედულებით არ ამოიწურებოდა და ყურადღებას მიაძყრობდა ისტორიის მეთოდოლოგიას და საქართველოს ისტორიის თემატიკას. კონკრეტულად ახალი ისტორიის საკითხებს პროფ. გრ. ნათაძემ შემდეგი შრომები მიუძღვნა: „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობის“, „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი“, „ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები“, „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, „ინგლისის მოკლე ისტორია“ და დოკუმენტების კრებული 1871 წლის პარიზის კომუნაზე.

დასვლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის საკითხში პროფ. გრ. ნათაძის დამსახურებად მიგვაჩნია შემდეგი: 1. გრ. ნათაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. 2. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნის მცდელობა. 3. პირველწყაროების პუბლიკაცია და მათ კვლევა. ამით მან ფაქტობრივად სათავე დაუდო დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლას საქართველოში. 4. კადრების აღზრდა. ალ. ნამორაძის თანადგომა და დაწინაურება. 5. პირველი ნაბიჯები გადადგა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე.

პროფ. გრიგოლ ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრედ გვევლინება და „ეკონომიკური მატერიალიზმის“ პოზიციაზე დგას. ის ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქ-სიზმისკენ ევოლუციას. ამის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ხელში ჩაგვიდებს მისი მსოფლმხედველობის გასაღებს. მნიშვნელოვანნილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პროფ. გრ. ნათაძე თავის მრავალრიცხოვან

შრომებში, როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს ისტორიაში, დიდ ყურადღებას უთმობდა სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკის განხილვას, ხოლო პოლიტიკური ისტორია, კულტურა, ზემო-ჩვეულებები და სხვა საკითხები წარმოჩენილია შედარებით მკრთალად, სუსტად. ამგვარი მიდგომა ცალმხრივია და წარსულის ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის.

პროფ. გრ. ნათაძის მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა მისმა უმცროსმა კოლეგამ პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის საქმეში. იგი საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის საკითხებში, რაც მის გამოკვლევებს მტკიცე მეცნიერულ საძირკველს უყრიდა.

განსაკუთრებით ფასეულია მისი შრომები დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში ან, კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საფრანგეთის ახალ ისტორიაში. ახალი ისტორიის პრობლემების დამუშავება მან რამდენიმე მიმართულებით წარმართა: 1. ძველი რეჟიმი საფრანგეთში. ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ – XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნეში. 2. სათემო მიწების განაწილება საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. 3. მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის საქმეში და ეს საქმე კიდევ უფრო წინ წასწია.

მის მთავარ ნაშრომს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სოლი-დური გამოკვლევა „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII-XVIII სს.“ ეს იყო მისი საუკეთესო ნაშრომი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი დამსახურება და ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ პრობლემით მისი დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის, პროფ. პავლე

არდაშვის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი იყო. ეს წიგნი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელმაც თვით აკად. ევგენი ტარლეს ყურადღება მიიპყრო. მისი დადებითი შეფასება ქართული ისტორიოგრაფიის, სახელმძღვანელოს, ალ. ნამორაძის მონოგრაფიის, დიდი აღიარება იყო. ლვანლმოსილი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს პროფ. ალ. ნამორაძის გამოკვლევის შემდეგ ღირსებებზე. პირველ ყოვლისა, ის საზს უსვამს თემის აქტუალობას. მას ძალიან მოეწონა ნამრობის ბიბლიოგრაფია და დასძენს, რომ ავტორი ამჟღავნებს საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის, წყაროების საფუძვლიან ცოდნას. მას განსაკუთრებით მოეწონა ადმინისტრაციული მეურვეობის პერიოდიზაცია. ალ. ნამორაძე ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორიაში ორ პერიოდს გამოყოფს და მათ შორის მიჯნად 1692 წელი ესახება. ამიერიდან, ქართველი ისტორიკოსის აზრით, ადმინისტრაციული მეურვეობა მკვეთრად გამოკვეთილად ფისკალურ ხასიათს იღებს, მანამდე კი ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ე. ტარლეს აზრით, ასეთი დაყოფა იყო ახალი და მეცნიერული თვალსაზრისით საკმაოდ ღირებული. რუსი მეცნიერის ინტერესი გამოიწვია ქალაქებისადმი აბსოლუტიზმის, ფისკალური პოლიტიკის შედეგების ავტორისეულმა ანალიზმა. და ბოლოს, აკად. ე. ტარლეს მიზანშეწონილად მიაჩნია პროფ. ალ. ნამორაძის მონოგრაფიის რუსულ ენაზე გამოქვეყნება. ეს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმატება იყო [7]. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აკად. ევგენი ტარლე საკმაოდ მაღალი აზრის ბრძანებოდა პროფ. ალ. ნამორაძის შრომებზე და ეს გამოხატა თავის წერილში უნივერსიტეტისადმი, რომლის კვალს წავაწყდით არქივში და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში [8; 9].

ადმინისტრაციული მეურვეობის ქრონიკლოგიური ჩარჩოების დაზუსტება, შემდგომი დახვენა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. პირველ ყოვლისა, ნაადრევად მიგვაჩნია ადმინისტრაციული მეურვეობის დაწყება XIII საუკუნიდან ლუი IX-ის მეფობიდან (1226-1270). ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ ამ მონაკვეთს აღვიქ-

ვამდით, როგორც ადმინისტრაციული მეურვეობის შესავალს, წინაისტორიას, ხოლო საკუთრივ ადმინისტრაციული მეურვეობის ათვლა უნდა დავიწყოთ XV საუკუნის მიწურულს, სახელდობრ, ლუი XI (1461-1483) მმართველობით.

ეს იყო ერთი კარგი საქმე, რომელიც პროფ. ალ. ნამორაძემ გააკეთა. მეორე კარგი საქმე, რომელიც მის სახელთან გახლავთ დაკავშირებული, არის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების საკითხი. თემა არის აქტუალური და თვით იმ პერიოდის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად იყო დამუშავებული. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, პროფ. ალ. ნამორაძე გულმოდგინედ სწავლობდა აღნიშნულ საკითხს და უზარმაზარი საკვლევი სამუშაო შეუსრულებია, მაგრამ მხოლოდ ორი ნაშრომის გამოქვეყნება მოუხერხებია. ესენია: 1. „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს“, რომელიც დაიბეჭდა 1949 წელს, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების მეცხრე წლის; 2. „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი სამიწათმოქმედო კომიტეტში 1792 წელს“, რომელიც დაიბეჭდა 1954 წელს, უნივერსიტეტის შრომების 55 წომში. დანარჩენის კვალს არქივში წავანყდით და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში [9]. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მას ამ თემაზე სოლიდური მონოგრაფიის დაწერა უნდა ჰქონოდა განზრახული, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო. მას საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გლეხობის დიფერენციაციის საკითხში საკუთარი, განსხვავებული, პოზიცია გააჩნდა და ეკამათება რუს ისტორიკოსებს ს. კუნისკის და ვ. პოზნაკოვს. ეს საკითხის ისტორიოგრაფიაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს [1. 63-121].

როგორც აღვნიშნეთ, პროფ. ალ. ნამორაძემ თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის

საქმეში. ყურადღებას იპყრობს მისი შრომები: „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, ფრანგ განმანათლებელზე შარლ ლუი მონტესკიეზე, ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქზე ბენჯამინ ფრანკლინზე და 1848 წლის რევოლუციაზე. ამ ორი უკანასკნელი ნაშრომის გამოქვეყნება, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, მას ძალიან ბევრი უცდია, მაგრამ ვერ მოუხერხებია და მის კვალს არქივში წავაწყდით [10].

დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ალ. ნამორაძეს „ლომის წილი“ მიუძღვის საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების თუ ახალი და უახლესი ისტორიის ქართველ ახალგაზრდა მკვლევართა ნიჭიერი თაობის აღზრდის და დაწინაურების საქმეში. მან შეძლო ქართულ ისტორიოგრაფიაში შეექმნა თავისი გუნდი, რომელმაც ამ დარგში საკუთარი სიტყვა თქვა. ამ სფეროში პროფ. ალ. ნამორაძის დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ჩვენი ღრმა რწმენით, პროფ. ალ. ნამორაძის მდიდარი მეცნიერული პოტენციალი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ბოლომდე რეალიზებული ვერ იქნა. მნიშვნელოვანნილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა შედარებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. მას გაცილებით უფრო მეტის გაკეთება ხელენიფებოდა. დასასრულს, უნდა დავძინოთ, რომ როგორც თვითმხილველები იგონებენ, პროფ. ალ. ნამორაძე ყოფილა შესანიშნავი ლექტორი. ის ჩინებულად კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიაში, ატარებდა სპეცურსს 1848 წლის რევოლუციაზე საფრანგეთში.

1932 წელს საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა უფროსი თაობის გამოცდილმა სპეციალისტმა პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკიმ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის გვერდით ამოუდგა პროფ. გრ. ნათაძეს და პროფ. ალ. ნამორაძეს. ეს, უეჭველად, სერიოზული საკადრო შენაძენი გახლდათ. ის კითხულობდა

ლექციებს დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიაში.

პროფ. ნ. დუბროვსკის შეექმნა ისეთი იმიჯი, რომ ის იყო ძალიან კარგი ლექტორი, მაგრამ თითქოს მეცნიერულ შრომებს არ წერდა. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ჩვენ მივაკვლიეთ პროფ. ნ. დუბროვსკის ოთხ ნაშრომს და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს შრომები იყო: „XIV საუკუნის ფლორენციელი პუბლიცისტი“, „ნ. კარევის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა“, „ივლისის რევოლუცია და ბურჟუაზია“ და „ოფიციალური მეცნიერება პოლონეთის სამეფოში (პირადი მოგონებები ვარშავის უნივერსიტეტზე)“. ჩვენ პირველად გამოვეცით მისი ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ ეს შრომები უმეტესად დაწერილია 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე. საბჭოთა პერიოდში, რამდენიმე რეცენზიის გარდა, მას ფაქტობრივად, არაფერი დაუწერია. ეს იყო შინაგანი ემიგრაცია. ამიტომ ჩვენამდე ნ. დუბროვსკის შრომებმა შეურყვნელი სახით მოაღწიეს. მას არ უხდებოდა ლავირება, ეზობეს ენაზე საუბარი. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ მასთან პოლემიკა უმთავრესად მეცნიერულ ხასიათს ატარებს.

ბუნებრივია, ამ პერიოდის მკვლევართა შეფასებისათვის კრიტერიუმად არ გამოგვადგება, თუ რა მოგვცეს მათ ახალი ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებთან შედარებით. ამგვარი მსჯელობა ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია და ამ ისტორიოსების წვლილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში როდი დაგვეხმარება. მათ მოღვაწეობა მოუხდათ ყველაზე უფრო რთულ პირობებში, სტალინურ ხანაში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმი იმყოფება თავისი ძლიერების ზენიტში. სახელმწიფო ცდილობს ძალად მოახვიოს თავს მეცნიერს მისთვის სასურველი იდეოლოგია, ევროპის არქივებში დაცულ მასალაზე ძნელად მიგინვდება ხელი, ჭირს ევროპის ისტორიის კვლევა. ის, რაც პროფ. გრ. ნათაძემ, პროფ. ა. ნამორაძემ და პროფ. ნ. დუბროვსკიმ გააკეთეს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის სწავლების, საკვანძო საკითხების

პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში, დიდ პატივს მიაგებს ამ თვალსაჩინო მეცნიერებს. ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ მათ ფასდაუდებელი ღვანწლი მიუძღვით ამ დარგის გადარჩენის და წინსვლის საქმეში. მარქსიზმთან კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე გაგვაჩინია. ეს იმ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. უარესსა და ცუდს შორის უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელს მიენიჭა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს [11].

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ პირველი თაობის დანარჩენ წევრებზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, რაც იმით შეიძლება ავხსნათ, რომ, ეტყობა, ისინი თავიანთი შედარებით ცნობილი კოლეგების ჩრდილში მოექცნენ. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ვინმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცია მათი საქმიანობისთვის და ეს თეთრი ლაქა არ გვექნებოდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენოთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ქალბატონი ანასტასია (ტასო) კასრაძე. იგი დაიბადა 1904 წლის დეკემბერში გორში. ჰუმანიტარული ტექნიკურის დასრულების შემდეგ, 1923 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. მისი სამსახურებრივი საქმიანობა მთლიანად უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას, სადაც მან მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში 1924 წელს. 1929-1937 წლებში ის სათავეში ედგა პერიოდიკის განყოფილებას. 1930 წელს წარჩინებით დაამთავრა საბიბლიოთეკო ერთწლიანი კურსი. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი. 1941 წელს ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი მსოფლიო ისტორიაში. ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური მეტა-მორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, პირველ ყოვლისა, პროფ. ალ ნამორაძის გავლენით შეიძლებოდა ყოფილიყო.

განპირობებული. 1947 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში“. 1948 წელს ის, უმთავრესად პროფ. ალ. ნამორაძის ინიციატივით, მიწვეული იქნა ახალი ისტორიის კათედრაზე ჯერ საათობრივი ანაზღაურების წესით, ხოლო 1949 წლიდან ჩაირიცხა ნახევარ შტატში, სადაც ის, როგორც ჩანს, მუშაობდა 1953 წლამდე. სიცოცხლის ბოლომდე ის მუშაობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. დაწერილი აქვს ოცდაერთი ნაშრომი. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია. მეორე ნაწილი იყო ხელნაწერის სახით და, შესაძლოა, დაკარგულია. ამას გადამოწმება ჭირდება. ეს შრომები უმთავრესად ეხება ბიბლიოგრაფიის, მსოფლიო ისტორიის და საქართველოს ისტორიისა საკვანძო საკითხებს. რატომღაც მისი შრომების ჩამონათვალში გამოტოვებულია მის მიერ შედგენილი პროფ. გრ. ნათაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც, ეტყობა, უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან. ამიტომ, მისი შრომების რაოდენობა იქნება არა ოცდაერთი, არამედ ოცდაორი [12].

ის პროფ. ალ. ნამორაძის მარჯვენა ხელი იყო. უნინარესად უნდა ითქვას, რომ ის იყო შესანიშნავი ბიბლიოგრაფი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მის მიერ შედგენილი გრ. ნათაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელსაც წავანყდით პროფ. ა. ნამორაძის პირად არქივში და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს არის მეტად საინტერესო მასალა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის პროფ. გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებულ შრომებზე. მან ძალიან გაგვიადვილა პროფ. გრ. ნათაძის შემოქმედების შესწავლა. ამიტომ ის ამართლებს თავის დანიშნულებას. როგორც ჩანს, პროფ. ა. ნამორაძემ, როდესაც ის წერდა ნაშრომს თავის უფროს კოლეგაზე – პროფ. გრ. ნათაძეზე, სთხოვა ქალბატონ ტასოს, შეედგინა მისი შრომების ბიბლიოგრაფია, რაც მას შეუსრულებია კიდეც. ასე აღმოჩნდა ეს მასალა პროფ. ალ. ნამორაძის საქმეებში [13. 13].

1947 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები

საქართველოში“. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარე-მოებაზე. იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ნაკლებად შესწავლილი იყო და დოც. ა. კასრაძის ნაშრომი აღნიშნული თემის დამუშავების ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს მისი მთავარი ნაშრომია, რომელსაც აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. აქ თავმოყრილ მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მას ბევრი მკვლევარი იყენებს [14, 21]. დოც. ა. კასრაძის ნაშრომი, „რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში“ იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მის კოლეგაზე, ამ თაობის კიდევ ერთ წარმომადგენელზე, პროფ. ერმ. ბურჭულაძეზე მცირე ინფორმაციას წაგანებდით პროფ. გივი კილურაძის წიგნში „ახალი ისტორია“ [15, 363]. პროფ. ე. ბურჭულაძის მთავარი ნაშრომია „საქართველოს დაყოფის და დამონქირის ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა“. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, კონკრეტულად საფრანგეთის ახალი ისტორიის, მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი შრომები XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, 1848 წლის რევოლუციების ადგილზე მსოფლიო ისტორიაში. დღეს ეს შრომები უკვე მოძველებულია, მაგრამ აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მის შესახებ სხვა რამ უფრო ხელშესახები ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ [16].

ამ თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი ბრძანდებოდა ბ-ნ ს. ყალიჩავა. ფაქტობრივად, მის საქმიანობაზე არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. მხოლოდ ერთს ვიტყოდით. პროფ. კოტე ანთაძე იგონებდა: „ბ-ნ ალექსანდრე მასზე მაღალი აზრის ბრძანდებოდა, მაგრამ მან თავისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის სათანადო რეალიზება რატომლაც ვერ შეძლო“. ის

დაიბადა 1909 წლის 6 იანვარს სამეგრელოში, ჩხოროწყუში, კარგად იცოდა გერმანული და რუსული ენები. მისი კვალიც გაქრა, ჩაიკარგა. მივიწყების ბინდში გაეხვია [17].

უფროსი თაობის ისტორიკოსებიდან ერთხანს ახალი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა პროფ. ალ. ნამორაძის კიდევ ერთი ასპირანტი დოც. სერგო ბოკუჩავა. ის დაიბადა 1912 წლის 15 დეკემბერს. მისი საქმიანობის შესახებ მეტად მნირი ინფორმაცია შემოგვრჩა და მეტს ბევრს ვერაფერს ვიტყვით [18]. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ის შემდეგში მუშაობდა კონსერვატორიაში, ასწავლიდა პარტიის ისტორიას. იყო პროფ. გივი კილურაძის საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

არსებითად, 50-იანი წლების შუა ხანებში მთავრდება საბჭოთა ეპოქაში ახალი ისტორიის კათედრის ისტორიის მეორე ქვეპერიოდი. ეს იყო ყველაზე უფრო რთული და ძნელი მონაკვეთი – ე. წ. „სტალინური ხანა“. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი იდეოლოგიური და პოლიტიკური ზენოლისა, როდესაც სახელმწიფო ცდილობს ძალით მოახვიოს ისტორიკოსს მისთვის სასურველი იდეოლოგია, პირველი თაობის ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაინც მოახერხეს რაღაც პოზიტიურის გაკეთება და შეძლებისადაგვარად წინ წასწიეს საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმე. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ დარგის მესაძირკვლეულის – პროფ. გრ. ნათაძის, პროფ. ალ. ნამორაძის და პროფ. ნ. დუბროვსკის მთავარი დამსახურება ამ მიმართულების წინსვლის და განვითარების საქმეში, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონ-მდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე. გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს? – საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012. მ. კალანდაძე, საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადაისრიალა. – საისტორიო ძიებანი, X-XI. თბ., 2008. მ. კალანდაძე, დიდი მეცნიერი დიდი ტერორის მსხვერპლი. – საქართველოს რესპუბლიკა. 7 ივლისი, 2000. მ. კალანდაძე, თანამედროვე საქართველოს არასახარპიელო მემკვიდრეობა. – ახალი 7 დღე, 11-17 მარტი, 2005 6. მ. კალანდაძე, მოგონებები შალვა ნუცუბიძეზე. – ჩვენი მწერლობა, 8-15 დეკემბერი, 2002.

2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1.

3. ივანე ჯავახიშვილი ტირანის სამსჯავროს წინაშე. – გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩინაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბ., 2004.

4. „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღწერა 19, საქმე 4 და 5.

5. მ. კალანდაძე, გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს? – ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი 5. თბ., 2012.

6. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, „ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერ-მუშავების დახასიათება“, ფონდი 14, საქმე 7817, ფურც. 15. ამ საკითხზე იხ. გ. ციციშვილი, დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები. – „სახალხო განათლება“, №3, 1990, 17 იანვარი. გ. ციციშვილი, საიდუმლო დოკუმენტი, „ერი“, №9, 1991, 27 თებერვალი.

7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 2079, ანაბეჭდი 1, საქმე 183; ფონდი 2079, ანაბეჭდი 1, საქმე 186; ფონდი 2079, ანაბეჭდი 1, საქმე 214, ფურც. 8.

8. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 2079, ანაბეჭდი 1, საქმე 230.

9. აღ. ნამორაძე, „ეროვნული კონვენციი და სათემო მიწები“. – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა), ფონდი 2079, ან. 1. ს. 28. ფ. 2. აღ. ნამორაძე, მარენის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ ლექსისლატივში 1792 წელს. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 10, ფ. 20. აღ. ნამორაძე, ფაბრიის მოხსენება და პროექტი. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 14, ფურც. 45. აღ ნამორაძე, სამეფო და საეკლესიო მიწების აღწერილობა საფრანგეთში. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 24, ფურც. 32. აღ. ნამორაძე, სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების განანილების შესახებ. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 9, ფურც. 51. აღ. ნამორაძე, ავანელის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში, ნარდგენილი საკანონმდებლო კრებაში 1792 წელს. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 10.

10. აღ. ნამორაძე, ბენჯამინ ფრანკლინი. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 17, ფურც. 56. აღ. ნამორაძე, საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია. – სუიცა, 2079, ან. 1, ს. 5, ფურც. 228.

11. აღ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959. კ. ანთაძე, ალექსანდრე ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. – ქართული ისტორიოგრაფია, ნან. II, თბ., 1971. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. Н. Дубровский, Труды: Научный редактор М. Каландадзе, Тб., 2004. М. Каландадзе, У истоков изучения истории западной Европы в Грузии. – В кн. Н. Дубровский, Труды, Тб., 2004, М. Каландадзе, Александр Георгиевич Наморадзе (1890-1958). – «Новая и новейшая история» №4, 1998. M. Kalandadze, Die Anfänge des Studiums der Mittelalterlichen und neueren Geschichte Westeuropas in Georgien. – “Georgica”, №23, 2000. მ. კალანდაძე, ფუძემდებელი. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის დაბადების 100 წლისთავი (სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1990.

12. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1. ანანერი 1, შესანახი ერთეული 143, ნუსხა 255.

13. ჭ. კასრაძე, პროფესორ გრიგოლ იასონის ძე ნათაძის შრომების ბიბლიოგრაფია. – სუიცა, ფ. 2079, ან. 1, ს. 262.
14. ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს), თბ., 2009.
15. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1970.
16. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაბეჭდი 1, შესანახი ერთეული 173, ნუსხა 255.
17. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაბეჭდი 1, შესანახი ერთეული 962, ნუსხა 255.
18. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაბეჭდი 1, შესანახი ერთეული 916, ნუსხა 255.

თავი IV

მემკვიდრეობი

50-იანი წლების შუა ხანები, კონკრეტულად, ი. სტალინის გარდაცვალება, მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. ამით მთავრდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობის ერთი ყველაზე უფრო რთული და ძნელი მონაკვეთი – სტალინური ხანა. ეს იყო საბჭოთა პერიოდში კათედრის ფუნქციონირების ერთი პერიოდი. პირველი თაობა, რომელსაც განუზომლად დიდი წვლილი მიუძღვის ამ დარგის ფეხზე დადგომის და გადარჩენის საქმეში, ნელ-ნელა უთმობს ასპარეზს მეორე თაობას, რომელიც მათ მეცნიერულ მემკვიდრებად გვევლინებიან და რომლის გაზრდის და აღზევების საქმეში უდიდესი წვლილი სწორედ უფროს თაობას მიუძღვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დასაფასებელია პროფ. ალ. ნამორაძის ღვაწლი, რომლის მონაფერებიც იყვნენ საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის წამყვანი სპეციალისტები. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მათი კიდევ ერთი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა. მათი მოღვაწეობა უმთავრესად ე. წ. „დათბობის პერიოდს“ და „უძრაობის ხანას“ ემთხვევა და არსებითად საბჭოთა ეპოქაში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობის მესამე ქვეპერიოდს წარმოადგენს. სტალინურ ხანასთან შედარებით ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი. სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლამ შედარებით იყლო. ცხადია, ეს დიდი შვება

იყო. ხელისუფლება უკვე აღარ ცდილობდა ყოვლისშემძლეობას, მაგრამ ზიანის მიყენება ყოველ ნაბიჯზე შეეძლო და ხელსაყრელ შანსს არ უშვებდა. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წე.)“ ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟი მიგვაჩნია [1].

* * *

მეორე თაობის უფროსი წარმომადგენლები იყვნენ პროფ. ვარლამ დონაძე (1907-1989) და პროფ. გივი უორდანია (1911-2001). ამიტომ ამ თემაზე საუბარს მათი საქმიანობის მოკლე მიმოხილვით გავაგრძელებთ.

პროფ. ვარლამ დონაძე ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. ის კრგად იყო ჩახედული არა მარტო დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებში, არამედ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალურ პრობლემებში. მისი წვლილი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ამით არ ამოინურებოდა და მან თავისი სიტყვა თქვა ქართველოლოგის, საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლის დროს. ის საკმაოდ ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მის კალამს ეკუთვნის 13 მონოგრაფია, 7 ბროშურა, 10 სახელმძღვანელო (აქედან ხუთი თანაავტორობით) და 64 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაკვევები. ეს საკმაოდ სოლიდური რიცხვია, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად.

პროფ. ვარლამ დონაძე ცნობილი ისტორიკოსის ნიკოლოზ დუბრივსკის მონაფე იყო, რომელიც ერთ ხანს განაგებდა კოლონიური ქვეყნების კათედრას. მას სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, ნ. დუბრივსკის დამსახურებად უკვე ეს იკმარებდა.

პროფ. ვარლამ დონაძის მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენს 1942 წლის 3 მარტს დაცული საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შავი ზღვის სრუტეების (ბოსფორის და დარდანელის) პრობლემა იმპერიალიზმის ეპოქაში“. მეცნიერებაში პირველი სერიოზული ბარიერი წარმატებით იქნა დაძლეული. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ათვისების გზაზე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცოტა მოგვიანებით 1983 წელს ვ. დონაძემ თავისი საკანდიდატო დისერტაცია გამოსცა მონოგრაფიის სახით „ბოსფორი და დარდანელი“. ამ ნაშრომში გაშუქებულია არა მარტო ახალი ისტორიის საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო თემები არამედ იგი მეტად საყურადღებოა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის დასამუშავებლად [3. 8].

პროფ. ვარლამ დონაძის სადიოქტორო დისერტაცია ეხება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში. როგორც აღვნიშნეთ, ეს თემა მას თვით აკად. ევგენი ტარლემ შეურჩია. ეს მრავლისმეტყველი უნდა იყოს. აკად. ე. ტარლეს გულის მოგება, ცხადია, ასეთი ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ ქართველმა ისტორიკოსმა თავისი შრომისმოყვარეობით მოახერხა ამის გაკეთება. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ პროფ. დონაძის ნაშრომმა უმაღ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და დადებითი შეფასება დაიმსახურა. პროფ. იასე ცინცაძის აზრით, „მასალა სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად შესწავლილია საფუძვლიანად და კრიტიკულადა განხილული არა ერთი საკითხი. მთლიანობაში ნაშრომში არ შეინიშნება ზედაპირული მსჯელობა და დასკვნები“. პროფ. იასონ ხუციშვილის შეხედულებით, „დისერტანტის სასახელიდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით დაძლია მის წინაშე მდგარი სიძნელეები და საინტერესო, ფაქტობრივად, მდიდარი მონოგრაფია დაწერა. მას უხვად გამოუყენებია მემუარები, პირველწყაროები და საარქივო მასალა, რევოლუციამდელი რუსი და უცხოელი ისტორიკოსების გამოკლევები. ორიგინალობის და სიახლის მხრივ

ყურადღებას იპყრობს დოც. ვ. დონაძის მიერ წამოყენებული მო-
საზრებები მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის ჩაბ-
მის მიზეზები, ნაპოლეონის და პავლე I-ის ურთიერთობაში
მომხდარი შემობრუნება, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების
ხელისშემშლელი ზოგიერთი უცნობი ფაქტორის თაობაზე, ინ-
დოეთის მიმართულებით საფრანგეთ-რუსეთის ერთობლივი
ლაშქრობის შესახებ, საქართველოს საკითხის როლის შესახებ
რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობებში“. ფაქტობრივად, პროფ.
ვ. დონაძის მონოგრაფია წარმოადგენდა აღნიშნული პრობლემის
სპეციალური, საგანგებო შესწავლის პირველ სერიოზულ მცდე-
ლობას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. იმ პერიოდის ისტორიოგ-
რაფიის გადასახედიდან ეს სერიოზული სიახლე იყო. მან სცადა
შეძლებისდაგვარად წინ წაენია აღნიშნული პრობლემის შესწავლა
და თავისი სიტყვა თქვა ამ საქმეში. დოც. გივი კილურაძეს
მიზანშეწონილად მიაჩნდა პროფ. ვ. დონაძის მონოგრაფიის
რუსულ ენაზე გამოქვეყნება [2].

ნაშრომის ირგვლივ გამოთქმული შენიშვნებიდან ყურად-
ღებას იპყრობს აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება. „მოსკოვის
არქივებში დაცული მასალებიდან ჩანს საფრანგეთის რევოლუ-
ციას გარკვეული კავშირი ჰქონდა საქართველოს ბედის გადაჭრის
საქმესთან XVIII საუკუნის მიწურულს. ამ თემას ავტორი ტო-
ვებს გარკვევის გარეშე“ [2]. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ
კონკრეტულად რა მასალას გულისხმობდა ღვანძლმოსილი მეც-
ნიერი, ძნელი სათქმელია და კარგად არ ჩანს. ამას აქვს მნიშვნე-
ლობა და ართულებს ამ საკითხის შესწავლას.

პროფ. ვ. დონაძის მონოგრაფია „რუსეთ-საფრანგეთის ურ-
თიერთობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე“ იმ პერიოდის ქარ-
თული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და მას
აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. ვარლამ დონაძის
კიდევ ერთ დამსახურებას წარმოადგენს სახელმძღვანელოების
შექმნა აზითა და აფრიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტო-
რიაში. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაწერა

სახელმძღვანელო ამ ქვეყნების ისტორიაში. ეს მისი კიდევ ერთი წარმატება იყო. ამავე დროს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მეორე პერიოდის (1870-1918) სახელმძღვანელოს დაწერის საქმეში და იყო მისი თანაავტორი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე თავი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე დაწერილ საინტერესო ნარკევს წარმოადგენდა, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. ის იყო უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თანაავტორი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს მისი წვლილი ქართველოლო-გიაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი შემდეგი შრომები: „ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები“ (1962), „ქართველი სამოციანელები და ახალი დროის მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები“ (1970), „ახალი ისტორიის პრობლემები ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში“ (1970), „საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მე-2 ნახევარი)“ (1978), „ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები“ (1986), „ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებები“ (1987). შეიძლება, პროფ. ვ. დონაძე აჭარბებდა აღნიშნულ საკითხზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა შეხედულებების რადიკალიზმს და ხაზს უსვამდა მათი ნააზრევის რადიკალურ-დემოკრატიულ ხასიათს. ჩვენი ღრმა რწმენით, მსოფლიოს ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების შეფასების დროს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი, ძირითადად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე გახლდათ ორიენტირებული. ეს, ვფიქრობთ, არ აკნინებს მათი თვალსაზრისის პროგრესულობას და არანაირ ჩრდილს არ აყენებს მათი ნააზრევის მნიშვნელობას. პროფ. ვ. დონაძე კითხულობდა ლექციებს აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში, ევროპისა და ამერიკის ახალ ისტორიაში (1870-1918), ევროპისა და ამერიკის უახლეს ისტორიაში, ატარებ-

და სპეცუალურსებს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე [3].

უაღმრესად ფართო იყო პროფ. გივი უორდანიას მეცნიერული ინტერესების არეალი. ის დიდი ყურადღებით სწავლობდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის კვლევას XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, პროფ. ბორის პორშნევის და პროფ. ალექსანდრა ლიუბლინსკაიას შემდეგ, ამ ეპოქის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი იყო. ეს მისი მთავარი ნაშრომი გახლდათ. ეს სოლიდური მონოგრაფია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, მან წარმატებით დაიცვა 1960 წლის 19 ოქტომბერს, როგორც სადიდეტორო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს დადებითი შეფასება მისცა ამ ეპოქის ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმა, როგორიც გამოჩენილი ისტორიკოსი პროფ. ბორის პორშნევი იყო. ეს მეტად პრესტიული გახლდათ და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აღიარებაა. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, სწორი არ იქნებოდა. იმ პერიოდის გადასახედიდან ეს საკავშირო აღიარება იყო, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან საერთაშორისო აღიარებაა. ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა კარდინალ რიშელიეს ეკონომიკური შეხედულებების განხილვა, რომელიც თვით იმდროინდელ ფრანგულ ისტორიოგრაფიაშიც შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. მხოლოდ 1944 წელს ფრანგმა ისტორიკოსმა, სორბონის უნივერსიტეტს პროფესორმა, ანრი ოზემ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, მაგრამ ამ თემის პირველადმომჩენი სახელმოხვეჭილი ფრანგი ისტორიკოსი კი არა, არამედ ჩვენი თანამემამულე გივი უორდანია გახლდათ. მან უკვე 1937 წელს, ანრი ოზეს ნაშრომის გამოსვლამდე დიდი სწირით ადრე, დაწერა ნაშრომი „კარდინალ რიშელიეს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა“, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ამ ნაშრომის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ასე გახდა ამ საკითხის პირველადმომჩენი ფრანგი ისტორიკოსი ანრი ოზე და არა ჩვენი თანამემამულე გივი უორდანია.

საინტერესო პაექრობა გაჩაღდა დისერტანტს და მის ოფიციალურ ოპონენტს პროფ. ბ. პორშნევს შორის. ეს აზრთა სხვა-დასხვაობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და უმთავრესად იმით გახლდათ განპირობებული, რომ დისერტანტი მთავარ აქცენტს 1629 წელს დ'ეს დე კურმენის მისიაზე აკეთებდა, ხოლო პროფ. ბ. პორშნევის ყურადღების ცენტრში კი შარნასეს მისია იდგა. ორივე მკვლევარი მტკიცედ იცავდა საკუთარ პოზიციას. აქ დავა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ამაში გასაკვირი არაფერია. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“.

პროფ. გ. უორდანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დ'ეს დე კურმენის მისია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სავაჭრო ინტერესებით. ამით რიშელიეს სურდა თვალი აქცია თავისი მტრებისთვის, პირველ ყოვლისა კი – პოლონეთისთვის და მას მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. მან დააჩქარა რუსეთ-პოლონეთის ომის დაწყება 1629 წელს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპისთვის, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, საფრანგეთის, კერძოდ კი რიშელიესათვის. საქმე ისაა, რომ ჰაბსბურგები, რომლებსაც ებრძოდა რიშელიე, მოკავშირის გარეშე დარჩნენ. რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რიშელიეს პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად გვევლინება. მას სურდა, რუსეთის გზით შეეღწია სპარსეთში და იქედან გამოეძევებინა ესპანეთი. ჰაბსბურგები დაკარგავდნენ შემოსავლის წყაროს, რომელიც დარჩებოდათ რუსეთს და საფრანგეთს.

პროფ. გივი უორდანიას მეცნიერული ინტერესების სფერო დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით არ შემოფარგლებოდა. ის საკმაოდ ჩახედულებას იჩენდა საქართველოს ახალი ისტორიის საკვანძო პრობლემებში. ამ თვალსაზრისით საკმაოდ ფასეული ჩანს მისი გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, რომელზეც ის დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა და მხოლოდ დვანლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა, და პროფ. ზ. გა-

მეზარდაშვილთან ერთად რუსულ ენაზე დაწერილი სოლიდური, ფუნდამენტური გამოკვლევა „რომაულ-კათოლიკური მისია და საქართველო“, რომელიც 1994 წელს გამოვიდა. 1983 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა პროფ. გ. უორდანიას საინტერესო წიგნი „დაბრუნებული საუნჯე“. პირველ წიგნში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. უნინარესად ასეთად მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოსდა, დიდი ილიას მკვლელობა დაგეგმილი იქნა ბახვში ტერორისტულ ორგანიზაციათა შეკრებაზე. ნუუუ ასე არაკონსპირირებული იყო მათი მოქმედება? ძნელი საფიქრებელია, რომ ტერორისტები ასე საჯაროდ აწყობდნენ თავიანთ გეგმებს.

1969 წლის შემდეგ პროფ. გივი უორდანია სათავეში ჩაუდგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას და მთელი თავისი ენერგია და უზღვავი ერუდიცია საქართველოში ამ დარგის წინსვლას და განვითარებას მოახმარა. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების ისტორიაში მისი სალექციო კურსის გამოქვეყნება ვერაფრით ვერ მოხერხდა.

დასასრულს უნდა შევეხოთ მის კიდევ ერთ ნაშრომს, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვას, სახელდობრ კი ზღვარის – დადგენას შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის, რომლის განსაზღვრა მარქსისტულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი იყო და ხან XVIII საუკუნის მიწურული, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდი რევოლუცია სახელდებოდა, ხან კიდევ XVII საუკუნის შუა ხანები, კერძოდ, ინგლისის რევოლუცია. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. გ. უორდანიას, რომ მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია გადასინჯვას მოითხოვს. უპირველესად, ეს ეხება ზღვარს შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. ახალი ისტორიის დაწყება XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლუციით, როგორც ამას აკეთებდა ი. სტალინი, ანდაც კიდევ XVII საუკუნის შუა ხანებით, ინგლისის რევოლუციით, როგორც ეს

იყო მიღებული ო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ძალზე დაგვიანებული ჩანს, მიუღებელია და არ შეესატყვისება საერთაშორისო სტანდარტებს. მის ნაშრომში „შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებზე“, რომელიც დაიბეჭდა უნივერსიტეტის გაზეთში 1991 წლის 29 ნოემბერს, გატარებულია შემდგომი აზრი: საკუთრივ ახალი ისტორია შეიძლება დავიწყოთ XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციით, ხოლო მონაკვეთი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე გარდამავალ ხანას წარმოადგენს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს და საკამათოდ მიგვაჩინია. ამგვარი მიდგომა სტალინური პერიოდიზაციის რეანიმაციად გვევლინება. გარდამავალი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები ხელოვნურადაა გაჭიმული და სამ საუკუნეს მოიცავს. რეალურად ეს გახლავთ ადრეული ახალი დრო, რომელიც ორ პერიოდადაა გაყოფილი: XV საუკუნის მიწურული – XVII საუკუნის შუა ხანები და XVII საუკუნის შუა ხანები – XVIII საუკუნის მიწურული, სახელდობრ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი [4, 73-75]. პროფ. გ. უორდანია ატარებდა ლექციებს ახალი ისტორიის მეორე პერიოდზე (1870-1918 წწ.) და შუა საუკუნეების ისტორიაზე. ატარებდა სპეციურსებს შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე.

პროფ. გივი უორდანიას მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი და ელის თავის მკვლევარს. ვიმედოვნებთ, რომ მისი მოწაფეები საკუთარ მასწავლებელს უყურადღებოდ არ დატოვებენ და მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ერთ საინტერესო წიგნს აუცილებლად დაწერენ. ეს მათი მოვალეობაა [5].

ნინამორბედების მიერ დაწყებული საქმის ღირსეულ გამგრძელებლად მოგვევლინა პროფ. ალ. ნამორაძის ერთ-ერთ საყვარელი მოწაფე პროფ. გივი კილურაძე (1922-1978).

ქართველი ისტორიოგრაფიის ნინაშე მას ბევრი დამსახურება, აქვს: 1. პროფ. გივი კილურაძის სახით საქმე გვაქვს საფრან-

გეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევართან არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, კონკრეტულად, საბჭოთა კავშირში. ის საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა არამხოლოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში, არამედ კარგად იცნობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას და წყაროთმცოდნეობას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და მტკიცე საძირკველს უქმნის მის მეცნიერულ გამოკვლევებს. მათი წარმატების გასაღები, სწორედ, აქ ძეგს. 2. პროფ. გივი კილურაძე საკმაოდ დიდ დაინტერესებას იჩენდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საკითხებით. თემა იყო აქტუალური და მისი დამუშავება XX საუკუნის შუა სანებში პირველ ნაბიჯებს დგამდა როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ქართველი ისტორიკოსის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ ის შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავების საქმეში. 3. პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა და-სავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, ისტორიოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა. 4. პროფ. გივი კილურაძე ყურადღებას მიაპყრობს საქართველოს და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის, ურთიერთობების ისტორიას. ამ პრობლემატიკას მან რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა.

მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად. განხილვა დავიწყოთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებით. პროფ. გივი კილურაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრობლემების დამუშავებას ცენტრალური ადგილი უჭირავს. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ პროფ. გივი კილურაძის შრომების უდიდესი ნაწილი სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკას ეძღვნება. მას ამ საკითხზე დაწერილი აქვს ორი სოლიდური მონოგრაფია, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია

და ათამდე საინტერესო ნაშრომი, სადაც ის შეეცადა, წინ წამოენია აღნიშნული საკითხების დამუშავება საქართველოში.

პროფ. გივი კილურაძის მთავარ ნაშრომს, რომელმაც მნიშვნელოვანნილად განსაზღვრა მისი ადგილი და დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, ცხადია, წარმოადგენს მისი სოლიდური გამოკვლევა „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)“, რომელიც მან 1967 წელს 1 ნოემბერს წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია. პროფ. გივი კილურაძის მონოგრაფია საქმაოდ სოლიდურად გამოიყურება როგორც მოცულობით, ისე შინაარსობრივად და 1086 გვერდია. იგი შედგებოდა შესავალის და ხუთი თავისაგან: პირველი თავი – წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა; პრობლემის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი, მეორე თავი – არმია რევოლუციის დასაწყისში, მდელვარება არმიაში; მესამე თავი – არმიის პრობლემა დამფუძნებელი კრების საქმიანობაში; მეოთხე თავი – არმიის პრობლემა 1792-1793 წლებში, იაკობინების ხელსუფლების სათავეში ჩადგომამდე; მეხუთე თავი – არმიის პრობლემა იაკობინთა დიქტატურის პერიოდში. პროფ. გივი კილურაძის სადოქტორო დისერტაციის პირველი მონაკვეთი – 1982 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ამ მონოგრაფიის მეორე ნაწილი გამოქვეყნებული არ გახლავთ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გამოცემა.

ფრანგი ისტორიკოსის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, მარსელ რენარის თქმით, რევოლუციის დროს არმია შესწავლილი იყო უპირატესად სამხედრო თვალსაზრისით. პრობლემისადმი პროფ. გივი კილურაძის ახლებური მიდგომა იმაში გამოიხატა, რომ მან თავის მონოგრაფიაში საფრანგეთის რევოლუციის დროს არმია წარმოაჩინა სამოქალაქო ისტორიის ასპექტში. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვანნილად განსაზღვრა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან გამოიყენა რევოლუციის თანამედროვე ემერის არქივი, რომელზეც მას მიანიშნა ცნობილმა ისტორიკოსმა პროფ. ვ. დალინმა.

აღსანიშნავია, რომ პროფ. გივი კილურაძის მონოგრაფიას მაღალ შეფასებას აძლევდნენ არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროფ. გ. ტივაძე, პროფ. დ. ზავრიევი), არამედ მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით ფასეულია გამოჩენილი ისტორიკოსის პროფ. ბორის პორშნევის დადებითი აზრი. მისი შეხედულებით, „პროფ. გივი კილურაძე საკვლევ თემას მიუდგა არსებითად ახალი და ძალზე პროდუქტიული რაკურსით, როდესაც ყურადღების ცენტრში მოექცა არა ომების ისტორია და საერთაშორისო ვითარება, არამედ რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე არმიის და სამხედრო ორგანიზაციების როლის გარკვევა, როგორც რევოლუციური ბრძოლის ფაქტორის. ამგვარი თვალთახედვით ეს თემა სპეციალურად არასოდეს განხილულა და ეს უაღრესად საინტერესო სიახლე საშუალებას იძლევა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის უჩვეულო და ძალზე მნიშვნელოვან ასპექტში გააზრებისა“. პროფ. ბ. პორშნევს „ავტორის დიდ დამსახურებად მიაჩნია შეიარაღებული ძალების ოთხი სახის საფუძვლიანი გადმოცემა და ანალიზი, რამაც გაამდიდრა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლიტერატურა“. დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ბ. პორშნევს მიზანშეწონილად მიაჩნდა გ. კილურაძის მონოგრაფიის რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოცემა. პროფ. ბ. პორშნევის მაღალ შეფასებასთან ერთად ყურადღებას იპყრობს მეორე ცნობილი რუსი ისტორიკოსის ანატოლი ადოს დადებითი გამოხმაურება. ეს ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევის დიდი აღიარება იყო [6. 382]. პროფ. დ. ზავრიევის აზრით, „პროფ. გ. კილურაძემ სკურუპულობურად შეისწავლა თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, არ გამოუტოვებია პრობლემის გარკვევისათვის საჭირო თითქმის არც ერთი მომენტი. თავისი მონოგრაფიით გაამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო ისტორიოგრაფია“. პროფ. გივი კილურაძემ დამაჯერებლად ახსნა საფრანგეთის არმიის ტრიუმფალური წარმატებების, ან როგორც თანამედროვებს უყვარდათ თქმა, „სასწაულებრივი გამარჯვებების“ გამომწვევი ძირითადი მიზეზები; წარმოაჩინა ის სოციალ-ეკონომიკური და

პოლიტიკურ ვითარება, რომელმაც განაპირობა ახალი არმიის შექმნა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. ერთ-ერთი ამის მიზეზი გახლავთ აგრარული საკითხის გადაწყვეტა. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა. ახლა ის იცავდა სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებით პროფ. გ. კილურაძის დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, პირველ ყოვლისა, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფ. ალ. ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი გახლდათ. პროფ. გ. კილურაძემ აღნიშნულ პრობლემას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. მისი პირველი ნაშრომი იყო „საგლეხო მინათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ“. ის წაკითხულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე 1946 წლის აპრილში. მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფ. ალ ნამორაძე [7, 122-129]. ამას მოჰყვა მისი შემდგომი შრომები, რომელიც უმთავრესად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებშია გამოქვეყნებული. აი, ისინი: ინგლისის და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია (ტ. 56. თბ., 1955); „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან) (ტ. 69. თბ., 1958); საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში (რევოლუციური გამოსვლები რაინის ოლქში 1789-1793 წე.) (ტ. 77. თბ., 1959); წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინთა ბლოკს შიგნით (დანტონისტები) – (ტ. 87. 1960); საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963; „ცოფიანების“ მოძრაობის შეფასებისთვის (წაკითხულ იქნა სამეცნიერო კონფერენციაზე 1963 წელს და ეძღვნებოდა ღვაწლმოსილი მეცნიერის, პროფ. ალ. ნამორაძის გარდაცვალების ხუთი წლისთავს. გამოქვეყნდა მოხსენების თეზისები. პროფ. გ. კილურაძის ამ ნაშრომს მისი შრომების ნუსხაში ვერ ვხედავთ და ეტყობა, უნებლიერ გამორჩათ მხედველობიდან) [8, 38-39]; 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ (ტ. 107. თბ., 1964); უირონდისტები და „პროვანდისტური

ომის“ ლოზუნგი (ტ. 85 (148) თბ., 1972); მისი გარდაცვალების შემდეგ „ფრანგული წელიწეული“ („Французский Ежегодник“) დაიბეჭდა მისი ნაშრომი „არმიის გამოღვიძება“. ამ შრომებში პროფ. გ. კილურაძე ამჟღავნებს არა მარტო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის საფუძვლიან ცოდნას, არამედ საკამაოდ ჩახედული ჩანს საკითხის ისტორიოგრაფიაში და წყაროთმცოდნეობაში. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ყოველ ნაშრომში ამ თემატიკის მიმოხილვას სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი. ეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მისი შრომების ერთ-ერთი პლასია. პროფ. გ. კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში.

ბუნებრივია, ამ შრომებს ეტყობა იმ დროის კვალი. ის იძულებულია, ხარკი მოუხადოს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს. თავისი ნინამორბედების მსგავსად მან დაამუშავა სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გადაწყვეტა. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია „ცოფიანების“ მოძრაობის მაღალი შეფასება, რაც ნიშანდობლივი იყო მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის. ავტორი ხარკს უხდის ერთი მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის. ავტორი ხარკს უხდის ერთი მარქსისტული ისტორიოგრაფიის დიქტატს, მონოპოლიას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო „იაკობინოცენტრიზმი“, იაკობინთა დიქტატურის მაღალი შეფასება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. სახელმწიფო ცდილობს, თავს მოახვიოს ისტორიკოსს მისთვის სასურველი იდეოლოგია. ასეთია ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ხელწერა. ტერმინი „ბურჟუაზიული რევოლუცია“ პირველად გამოიყენეს ვ. ი. ლენინმა და ო. ბ. სტალინმა და ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ქართულ ისტორიოგრაფიას ის ძალით მოახვიეს თავს და მას არჩევანი არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვიწროკლასობრივი მიდგომა აკნინებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზოგადსაკაცობრივი მნიშვნელობას და ფრანგი ისტორიკოსების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ამრიგად, პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მისი შრომები საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ის შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ დარგში მისი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობს. მის ამ გამოკვლევებს საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. პროფ. გივი კილურაძე საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის და ისტორიოგრაფიის ნომერ პირველ სპეციალისტად მიგვაჩნია.

პროფ. გ. კილურაძე დიდ დაინტერესებას იჩენდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საკითხებით XX საუკუნის დასაწყისში. ეტყობა, ეს პრობლემები ძალიან იზიდავდა მის მეცნიერ-ხელმძღვანელს პროფ. ალ. ნამორაძეს და მან ურჩია თავის მოწაფეს ხელი მოეკიდა შემდეგი თემის დამუშავებისათვის: „მარკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წლებში“. მოგვიანებით, 1960 წელს გ. კილურაძემ თავისი საკანდიდატო დისერტაცია გამოსცა წიგნად „ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მარკოს პირველი კრიზისი)“. ორივე ოფიციალურმა ოპონენტმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა გ. კილურაძის ნაშრომს. დისერტაცის უხვად აქვს გამოყენებული როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე (გერმანული, ფრანგული) არსებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ზოგიერთი წყარო მას პირველად შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაშრომი პოლემისტური მუხტითაა გაჯერებული. მისასალმებელია გამოყენებული მასალის და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვა. დიდი ყურადღება ეთმობა საკითხის ისტორიოგრაფიას. დოც. ს. ბოკუჩავას აზრით, „დისერტაციას აღებული აქვს მეტად საინტერესო და ამავე დროს აქტუალური თემა, თანაც არც ისე

იოლად დასაძლევი. შრომაში დაყენებულ პრობლემას მაროკოს შესახებ მკვლევარისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ მაროკოს პირველი კრიზისი წარმოადგენდა იმ გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლთაგანს, რამაც გერმანიის იმპერიალიზმის სახით მოამზადა და გააჩალა პირველი იმპერიალისტური ომი“. პროფ. გ. გოზალიშვილს მიაჩნია, რომ „გ. კილურაძე დაუფლებულია კვლევითი მუშაობის მეთოდებს და შესწევს უნარი განაგრძოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. გ. კილურაძის სადისერტაციო ნაშრომი საგსებით აკმაყოფილებს საკანდიდატო ნაშრომის ყველა მოთხოვნას, რის გამოც შესაძლებლად მიმაჩნია შრომის ავტორებისათვის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება“. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა მეორე ოფიციალურმა ოპონენტმა დოც. ს. ბოკუჩავამ. [8; 8; 9, ფურც. 92 და 98].

გ. კილურაძე მიუთითებდა, რომ გერმანიას მაროკოს პირველი კრიზისის დროს ომის გაჩაღებაში, რომელიც შემდგომში მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა, ხელი შეუძლა რამდენიმე გარემოებამ: 1. გერმანიას ჯერ არ ჰყავდა ძლიერი ფლოტი და ამიტომ არ შეეძლო ზღვაზე გამკლავებოდა ინგლის. 2. გერმანიაში ადგილი ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, რაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შედეგი იყო. გერმანიის მთავრობას უნინარესად მუშათა გამოსვლების ჩახშობა ეწადა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდა დასაშევებად ომის გაჩაღება. 3. გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი ომისათვის მოუმზადებელი იყო. 4. პორტსმუთის ზავის შემდეგ რუსეთს კვლავ შეეძლო ევროპის საქმეებში ჩარევა.

XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობის ისტორის საკითხებით გ. კილურაძის დაინტერესების კულ-მინაციად, პიკად სწორედ მისი საკანდიდატო დისერტაცია – „მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წლებში“ გვევლინება. ეს ამ პრობლემატიკაზე დაწერილი მისი მთავარი ნაშრომი იყო. ამ თემატიკას მან კიდევ რამდენიმე ნაშრომი უძღვნა, რომლებიც უმთავრესად თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებშია დაბეჭდილი. ესენია: ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.) (ტ. 41, 1950); ბურების პრობლემა და გერმანია (ტ. 47, 1952); ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციისთან (ტ. 57, 1955).

პროფ. გ. კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი ახალი კვალიფიცირებული, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სახელმძღვანელოების შექმნას. ამ მხრივ მას მეტად დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ ის, რისი განხორციელებაც შესძლო, ცოტა არაა. პირველ ყოვლისა, ეს უნდა ითქვას ახალი ისტორიის სახელმძღვანელოზე. თავდაპირველად ახალი ისტორიის სახელმძღვანელო მას სამნანილად ჰქონდა ჩაფიქრებული. პირველი წიგნი წარმოადგენდა ახალი ისტორიის შესავალს და მთლიანად თეორიულ, ისტორიოგრაფიულ, ხასიათს ატარებდა. 1970 წელს გამოვიდა ახალი ისტორიის პირველი წიგნი. ამას უნდა მოჰყოლოდა მეორე წიგნი, სადაც განხილული იქნებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორია ინგლისის რევოლუციიდან საფრანგეთის რევოლუციამდე. ამ სერიალს კი დააგვირგვინებდა მესამე წიგნი, რომელშიც საუპარი იქნებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალ ისტორიაზე საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსის ომამდე. პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ მან დაიწყო მუშაობა მეორეზე, მაგრამ, ეტყობა, იმდენად გაიტაცა ინგლისის რევოლუციის ისტორიამ, რომ მასზე საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია გამოაქვეყნა ორ წიგნად. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას განზრახული ჰქონდა, ასეთი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები დაეწერა ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლაზე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციაზე ევროპაში. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ამ განზრახვის განხორციელება

ვერ შეძლო და მხოლოდ ინგლისის რევოლუციაზე წიგნის დაწერა მოასწრო, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა ორ წიგნად (პირველი 1979 წელს, ხოლო მეორე 1983 წელს). პროფ. გ. კილურაძის ძალისხმევით და მისი თანაავტორობით ახალი ისტორიის კათედრამ გამოსცა ახალი ისტორიის მეორე პერიოდის (1870-1918) სახელმძღვანელო ორ წიგნად და ქრესტომათია ახალ ისტორიაში (პირველი მონაკვეთი), რომელიც შეეხებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალ ისტორიას ინგლისის რევოლუციიდან საფრანგეთის რევოლუციამდე. მისი მთავარი რედაქტორები იყვნენ პროფ. გ. კილურაძე და მ. მამფორია. გ. კილურაძის მიერ თანაავტორობით დაწერილი შრომების ჩამოათვალში ქრესტომათიას ვერ ვხვდებით და როგორც ჩანს, უნებლიერ გამორჩათ მხედველობიდან [8, 37].

სახელმძღვანელობიდან ყველაზე უფრო ფასეულად მიგგაჩნია ახალი ისტორიის პირველი წიგნი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად თეორიულ, წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. „ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე შეძლო ერთიან, მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, ისტორიკოს-სტუდენტებისათვის რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლებისა და ცალკეულ ისტორიკოსთა კონცეფციებისა, რომელიც წარმოშვა ახალი ისტორიის შესწავლისას ევროპისა და ამერიკის ისტორიოგრაფიაზ“ [8, 14].

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. გ. კილურაძემ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიას: საქართველო-იტალიის ურთიერთობანი (მნათობი, №9, 1961); საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი (მნათობი, №1, 1971); პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოება (მნათობი, №3, 1972, პროფ. ვ. დონაძესთან ერთად);

Парижская коммуна и передовая грузинская общественная мысль второй половины XIX века (Литературная Грузия, №3, 1971). Еს ნაშრომი დაიბეჭდა აგრეთვე ავტორიტეტულ ისტორიულ ორგანოში „ფრანგულ წელიწელეულში“ 1971 წელს. სტატიების ამ ციკლიდან საუკეთესოდ „პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოება“ მიგვაჩინია. აქ კარგადაა ნაჩვენები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკის თვალსაჩინო ნარმომადგენელთა – ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე – ნააზრევი პარიზის კომუნაზე.

განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩინია ის გარემოება, რომ მან ბოლომდე ვერ მოასწრო, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა, თავისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის რეალიზება და ის ნაადრევად, პირველივე ნაბიჯებზე წყდება. მისი ხელმძღვანელობით გადადგეს პირველი ნაბიჯები მერაბ კალანდაძემ, ნაირა მამუკელაშვილმა, ვასილ კაჭარავამ, გიორგი ბეჟუაშვილმა, კოტე ბოჭორიშვილმა. პროფ. გ. კილურაძე კითხულობდა ახალ ისტორიას და ორატორულ (სალექციო) ხელოვნებას, რომელსაც უკითხავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორადი ფაკულტეტის საერთაშორისო მიმომხილველთა სპეციალობის მსმენელებს [8, 10].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მოღვაწეობა პროფ. ილია ტაბაღუამ (1918-2004). ის პროფ. ალ. ნამორაძის მოწაფე იყო. მუყაითმა და შრომისმოყვარე ყმაწვილმა უმაღლ მიიპყრო გამოჩენილი მეცნიერის ყურადღება და ის პროფ. ალ. ნამორაძის რეკომენდაციით ჯერ დატოვებულ იქნა ასპირანტურაში, ხოლო ასპირანტურის დასრულების შემდეგ კი მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ალ. ნამორაძე. 1949 წელს ი. ტაბაღუამ, პროფ. ალ. ნამორაძის ხელმძღვანელობით, ნარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ“. ნაშრომი არქივებში მრავალი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკურ შედეგს

წარმოადგენს. ის ზედმინევნით კარგად იცნობს აღნიშნული საკითხის შესახებ არსებულ მრავალფეროვან პირველწყაროებს და მდიდარ საკვლევ ლიტერატურას, როგორც ქართულ და რუსულ, ისე უცხოენოვან, განსაკუთრებით ფრანგულ ლიტერატურას. ფრანგულის ცოდნა მისი, როგორც ისტორიკოსის, პლუსია. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა თემის არჩევანი. ი. ტაბალუას მონოგრაფია „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთბა პირველი მსოფლიო ომის წინ“ იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და წინ წასწია აღნიშნული თემატიკის შესწავლა.

60-იანი წლების დასაწყისში ი. ტაბალუა იძულებული გახდა დაეტოვებინა უნივერსიტეტი. ეს იყო დიდი დანაკარგი უნივერსიტეტის, კათედრისა და სტუდენტებისათვის. კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა. ის დროებით ჩამომორდა კათედრას. მოგვიანებით, 80-იან წლებში ეს შეცდომა გასწორდა და მაშინდელი კათედრის გამგის, პროფ. კ. ანთაძის ძალისხმევით კათედრაზე შეთავსებით დაბრუნდა პროფ. ი. ტაბალუა.

უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ ი. ტაბალუამ სულ ცოტა ხანში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბდა ევროპის ისტორიის განყოფილება, რომელსაც ის უნარიანად ხელმძღვანელობდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ზუსტად ამაზეა ნათქვამი: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში დასავალეთ ევროპის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის მეორე მძლავრ ცენტრს, რომელიც გვერდში ამოუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სამწუხაროდ, 2006 წლის შემდეგ ამ განყოფილებამ არსებობა შეწყვიტა. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იყო. ისტორიის ინსტიტუტში უნდა არსებობდეს ევროპის ისტორიის განყოფილება, რომელსაც პროფ. ი. ტაბალუას სახელი უნდა ეწოდოს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს მასზე. დაშლა ადვილია, აღდგენა – ძნელი.

პროფ. ი. ტაბალუამ დიდ ამაგი დასდო საქართველოს და დასავალეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიის შეს-

წავლას, რომელიც მაშინ ფეხს იდგამდა, პირველ ნაბიჯებს დგამდა. ის ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. 1967 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში“. 1972 წელს მან გამოსცა მონოგრაფია „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“. ამას მოჰყვა დოკუმენტების პუბლიკაცია: საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი). დიდი ენერგია შეალია მან დასავლეთ ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოზე დაცული მასალების მოძიებას და გამომზეურებას: საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XV სს.). წიგნი 1. თბ., 1984; საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (1600-1623 წწ.). წიგნი 2. თბ., 1986; საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (1623-1633 წწ.). წიგნი 3. თბ., 1987; „საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“ (1979), საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში“ (1974) და სხვა.

პროფ. ი. ტაბაღუას ინიციატივით და ძალისხმევით გამოდიოდა კრებული „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები“. სულ რამდენიმე კრებული გამოვიდა. ამ კრებულებმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში, ნინ წასწიეს ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის კვლევა.

პროფ. ილია ტაბაღუამ თავისი სიტყვა თქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან არაერთი კარგი საქმე გააკეთა. მას ფას-დაუდებელი წვლილი მიუძღვის საქართველოს და ევროპის ქვეყნების ურთიერთობების მეცნიერული დამუშავების საკითხში. ის ამ თემატიკის შესწავლის ერთ-ერთ ინიციატორად მოგვევლინა. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეს შრომები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

აღნიშნული პრობლემების გაშუქების დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთსულოვნება არ სუფევს და გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, არაფრით არ აქნინებს, არანაირ ჩრდილს არ აყენებს პროფ. ი. ტაბაღუას ნაღვანს. მას აქვს წარსულის საკუთარი ხედვა. მან მოგვცა წარსულის საკუთარი ვერსია. მთავარი ეს იყო. ი. ტაბაღუა უნივერსიტეტში ასწავლიდა უახლეს ისტორიას, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას.

განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პროფ. ი. ტაბაღუას მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე შეუსწავლელია და ელის თავის მკვლევარს. ნაწილობრივ ამ ხარვეზის შევსება ვცადეთ ჩვენს სტატიაში – „პროფესორ ილია ტაბაღუას გახსენება“ [11, 265-277].

უფროს კოლეგებს ლირსულად ამოუდგა გვერდში და მათი დაწყებული საქმე გააგრძელა პროფ. ალ. ნამორაძის კიდევ ერთ-მა მონაცემ, პროფ. კოტე ანთაძემ (1929-2006). ის 1956 წლიდან, ჯერ საათობრივი ანაზღაურების წესით, ხოლო 1961 წლის ოქტომბრიდან კი – ძირითად შტატში, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. კ. ანთაძის დამსახურებად მიგვაჩნია: 1. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიისა და ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ის გვერდში ამოუდგა თავის უფროსს კოლეგებს პროფ. ალ. ნამორაძეს, პროფ. გ. კილურაძეს და გააგრძელა ის კარგი ტრადიცია, რომელსაც საძირკველი ჩაუყარეს მისმა წინამორბედებმა. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა. 2. მისი დაინტერესება მხოლოდ დასავლეთ ევროპის, სახელმძღვანელოს, საფრანგეთის ახალი ისტორიის საკითხების დამუშავებით არ შემოიფარგლება და ის წარმატებით სწავლობდა მშობლიურ ისტორიას, საქართველოს ახალ ისტორიას. ის კარგად იყო ჩახე-

დული საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის და ისტორიული გეოგრაფიის რთულ პერიპეტიებში და ამ თემატიკას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის, ერთი მონოგრაფია. 3. მან გადადგა პირველი ნაბიჯები პროფ. ალ. ნამორაძის და პროფ. გ. კილურაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის გზაზე. ფაქტობრივად, მან დაიწყო ამ დარგის ისტორიის წერა. შემდგომში ეს ხაზი გააგრძელა და კიდევ უფრო გააღრმავა თავის მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. 4. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის აქტუალური საკითხების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან ორ კარგ წამოწყებას დაუდო სათავე. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებო ყურადღება გაამახვილა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის საკითხებზე და ამ თემას რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მას აინტერესებდა აგრეთვე ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის ზოგადი საკითხები. 5. მან დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ კუთხით მისი საქმიანობის მწვერვალს, პიკს წარმოადგენს ახალი და უახლესი ისტორიის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. ეს მისი მოწყობა იყო. განსაკუთრებით ფასეულია პოსტისაბჭოთა ხანაში დაწერილი მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოაყალიბა ანტისტალინური ფრთა. 6. პროფ. კ. ანთაძეს ლომის წვლილი მიუძღვის დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში. მათ დიდი ნაწილს სწორედ პროფ. კ. ანთაძის მონაცენები წარმოადგენენ.

პროფ. კ. ანთაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე სრულყოფილი წარმოდგენა რომ შევიქმნათ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის შრომები, რომელიც მან დაწერა, არამედ ის შრომებიც, რომლის რედაქტორი და მეცნიერებლმძღვანელი თვითონ ბრძანდებოდა. მასში მკვლევარი ისტორიკოსი და მეცნიერების ორგანიზატორი ორგანულად ერწყმის

ერთმანეთს. მისი შემოქმედების შესწავლის დროს ეს აუცილებლად უნდ გავითვალისწინოთ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის დროს პროფ. კ. ანთაძის მიდგომის მთავარ პლუსად საკითხის კომპლექსური შესწავლის მცდელობა გვევლინება. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ რევოლუციის ისტორიით. ის სცილდება წმინდა ემპირიზმის ჩარჩოებს და თეორიულ საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას. ის საკმაოდ კარგად ჩანს ჩახედული საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობაში, ისტორიოგრაფიაში, ისტორიაში, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ღირსებაა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებით კ. ანთაძის დაინტერესებამ ძალიან ადრე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იჩინა თავი. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფ. ალ. ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენით გახლდათ განპირობებული. მან უკვე სტუდენტობის დროს დაამუშავა ორი თემა: „რობერსპიერისტების ბრძოლა დანტონისტებთან“ და „მარატი 1792 წელს“, რომლებიც მან წაიკითხა სტუდენტთა მე-13 და მე-14 კონფერენციებზე 1951 და 1952 წელს. ხელმძღვანელი, ცხადია, პროფ. ალ. ნამორაძე იყო. სრულიად ლოგიკური იყო, რომ მან სადიპლომო თემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან შეარჩია. ეს იყო 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება.

მან ამ თემაზე მუშაობა განაგრძო ასპირანტურაში სწავლის დროს და 1956 წლის 4 აპრილს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც შესწორებული და შემოკლებული სახით 1978 წელს გამოსცა მონოგრაფიად.

კ. ანთაძემ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველად, საგანგებოდ, სპეციალურად, შეისწავლა 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება. იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო სიახლე. ფრიად ნიშანდობლივია, რომ სპეციალისტებმა – პროფ. გ. ტივაძემ და დოც. გ. კილურაძემ სადისერტაციო წაშრომს დადებითი შეფასება მისცეს. უნინარესად ყურადღებას იპყრობს სადისერტაციო წაშრომის მოცულობა. ის საკმაოდ სოლიდურად

გამოიყურება და მოიცავს 700 გვერდს. ის შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი მიზნად ისახავს წყაროებსა და ლიტერატურის მიმოხილვას. ის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა. მეორე თავი შეეხება ფრიად აქტუალურ თემას – „რევოლუციური კრიზისის შექმნა 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების წინ“. მესამე თავში კი ის ეხება კონკრეტულად 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას და მრავალფეროვან წყაროებზე და მდიდარ საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით მოგვითხრობს მოვლენათა მსვლელობაზე. აქ ის უკვე სულ სხვა ამპლუაში წარმოგვიდგება და საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ემპირიულ ისტორიაში.

პროფ. გ. ტივაძე აღნიშნავს: „კ. ანთაძის მაქსიმალურად გამოუყენებია ოფიციალური დოკუმენტების კრებული ფრანგულ ენაზე, საფრანგეთის პერიოდული პრესა, მემუარები, სხვადასხვა მიმოწერა, თანამედროვეთა შრომები, საერთო და სპეციალური ხასიათის შემდგომ დროინდელი ისტორიული ნარკვევები, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ ენებზე და სხვა. ამგვარად, სადი-სერტაციო ნაშრომის ავტორი მდიდარ ლიტერატურასა და პირველწყაროებზე დაყრდნობით ავლენს საღ მსჯელობას და მთელ რიგ შემთხვევებში ისტორიულ მოვლენათა სწორი ანალიზით ის იძლევა დამჯერებელ დასკვნებს“. მეორე ოპონენტი, დოც. გ. კილურაძე დასძენს: „დისერტაციანტმა ბეჭითი, თავდადებული შრომა გასწია, დაამუშავა თემის ირგვლივ არსებული კოლოსა-ლური მასალა, კრიტიკულად შეისწავლა ბურუუაზიულ ისტორიკოსთა მრავალი ნაშრომი, ყოველმხრივ გამოიყენა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევა და ამ საფუძველზე აგებული საინტერესო წარკვევი წარმოგვიდგინა“. დოც. გ. კილურაძის ლრმა რჩმენით, „ნაშრომი, უეჭველად, იმსახურებს დაბეჭდვას“ [12. 15-16.50].

დისერტაციის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ავტორის მცდელობა, დაადგინოს გამოჩენილი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს რომანის „ოთხმოცდაამეტის“ მთავარი გმირის – სიმურ-

დენის პროტოტიპი. მან გამოთქვა მეტად ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა, ის ყოფილიყო ქსავიე-ფრანსუა ოდუენი – ყოფილი აბატი, იაკობინი, შემდგომში კონვენცის პოლიტიკური კომისარი ვანდეაში.

ვფიქრობთ, სავსებით მართალი ბრძანდებოდნენ პატივცემული ოპონენტები, როდესაც ავტორს საყვედურობდნენ წვრილმანი დეტალებით მეტისმეტ გატაცებას. ეს შეეხება ნაშრომის როგორც ემპირიულ, ისე ისტორიოგრაფიულ ნაწილს.

ოპონენტების გამოთქმულ მოსაზრებებს, ჩვენი მხრივ, კი-დევ დავამატებით. ავტორი თავის სოლიდურ და საინტერესო ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში გვერდს უვლის აღნიშნული საკითხის გაშუქების საქმეში „რუსული სკოლის“ წარმომადგენლის, პროფ. ნ. კარევის წვლილს. შესაძლოა, ის არ იცნობს ნ. კარევის ნაშრომს და, ეფუძნა, მხედველობიდან გამორჩა, რაც ამ ვრცელი ისტორიოგრაფიული მიმოხილვის მცირე მინუსად მიგვაჩნია. 10 აგვისტოს რევოლუციაზე ლაპარაკი ცოტყა გადაჭარბებულ უნდა იყოს და, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ფა-სეულია კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფა-სება, რომელიც ეკუთვნის ორ ცნობილ ისტორიკოსს – პროფ. ალბერტ მანფრედს და პროფ. ანატოლი ადოს. მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დისერტაციის სამეცნიერო აპარატს, სადაც შეძლებისდაგვარადაა გათვალისწინებული ამ თემის ირგვლივ არსებული თითქმის ყველა პირველწყარო და საკვლევი ლიტერატურა. ეს ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების დიდი აღიარება იყო [13].

საქართველოს ისტორიის საკითხებისაკენ კ. ანთაძის შემობ-რუნება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, პირველ ყოვლისა, იმ სირთულეებით გახლდათ განპირობებული, რომე-ლიც დაკავშირებულია წმინდა ევროპის ისტორიის კვლევის სა-კითხებთან, როდესაც ქართველ მკვლევრებს ევროპის არქი-ვებსა და წიგნსაცავებში დაცულ მასალაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ. ეს იყო ძალზე სწორი და პრაგმატული ნაბიჯი,

რომელიც კათედრის გამგედ არჩევის დროს, მავანის მიერ არასწორად იქნა ინტერპრეტირებული და ამტკიცებდნენ, თითქოს ის არასპეციალისტი იყო. ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. კ. ანთაძის დამსახურება მხოლოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკვანძო საკითხების მეცნიერული დამუშავებით და პოპულარიზაციით არ ამონინურება, თუმცა, თავისთავად, არც ეს გახლდათ პატარა საქმე. მეორე სერიოზული თემა, რომელიც პროფ. კ. ანთაძემ, როგორც მკვლევარმა ისტორიკოსმა დაამუშავა, საქართველოს ისტორიის საკითხები იყო. საქართველოს ისტორიაში მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს სოლიდური გამოკვლევა „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“, რომელმაც, მნიშვნელოვანნილად, განსახლვრა მისი ადგილი და დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ისტორიულ-დემოგრაფიული თემატიკით დაინტერესება სავსებით კანონზომიერი იყო და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხებით მისი გატაცების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება.

1973 წლის შემოდგომაზე გამოვიდა მისი მონოგრაფია „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“, რომელიც მან სულ ცოტა ხანში, 1974 წლის 10 აპრილს წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. სამივე ოფიციალური ოპონენტი ნაშრომზე მაღალი აზრის გახლდათ. კ. ანთაძის გამოკვლევის დადებითი შეფასების მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ისტორიკოსი პროფ. ირაკლი ანთელავა მოგვევლინა. აღსანიშნავია, რომ მან არა მარტო დაცვის დროს გამოთქვა თავისი დადებითი მოსაზრება კ. ანთაძის მონოგრაფიაზე, არამედ ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა მეტად თბილი რეცენზია [14]. განსაკუთრებით ფასეული უნდა იყოს პროფ. ვახტანგ ჯაოშვილის რეცენზია, რომელიც XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის დემოგრაფიის საკითხებში საკმაოდ ჩახედული ბრძანდებოდა

და საქართველოში ამ საკითხების ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი იყო. საინტერესოა ის პოლემიკა, რომელიც მათ შორის გაიმართა. ეს აზრთა სხვადასხვაობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად ორი გარემოებით გახლდათ განპირობებული: 1. იმ რეალური სირთულეებით, რომელიც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს არსებობდა, მნირი წყაროთ-მცოდნეობითი ბაზის სახით; და 2. ავტორი თავის წყაროებს უფრო საიმედოდ მიიჩნევს, ხოლო ოპონენტი კი თავის წყაროებს ეყრდნობოდა. აქ დავა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ეს კამათი მეცნიერული პაექრობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. „კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომის მთავარ დადებით მხარედ ჩვენ ის მიგვაჩინია, რომ მრავალრიცხოვანი სტატისტიკური, საარქივო და ლიტერატურული წყაროების ანალიზის და შეჯერების შედეგად წიგნში მოცემულია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტების ცდები ცალკეული ეროვნებათა მიხედვით – 1801, 1832, 1864, 1873 წლებისთვის ანუ განუხორციელებია იმ ხარვეზის შევსება, რაც დღემდე არსებობდა ქართულ ისტორიულ-დემოგრაფიულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორმა ეს საკმაოდ რთული საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მრავალი უცნობი მოვლენის გარკვევასთან, უკვე საბოლოოდ გადაჭრა, მაგრამ ამ მიმართულებით მან გადადგა, უდავოდ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი და თავისთვად, ეს ფაქტი დადებით შეფასებას იმსახურებს“. პროფ. კ. ანთაძის გამოკვლევას დადებითი შეფასება მისცა მესამე ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ზაქარია შველიძემ. ასევე დადებითი იყო წამყვანი დაწესებულების დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს პროფ. შოთა ლომსაძე. ნაშრომის შესახებ დადებითი აზრის ბრძანდებოდნენ სხვა სპეციალისტებიც: პროფ. მამია დუმბაძე, პროფ. გრ. მარგიანი, პროფ. ვ. მაჭარაძე და სხვები. სრულიად განსხვავებული პოზიცია გააჩნდა ნაშრომის მიმართ პროფ. აბელ კიკვიძეს. მისი დამოკიდებულება კ. ანთაძის გამოკვლევისადმი „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“ მკვეთ-

რად ნეგატიური იყო. ის ფიქრობდა, რომ კ. ანთაძის ნაშრომი სუსტი იყო და მას პლაგიატში სდებდა ბრალს, რადგანაც მითითებული არ იყო საკუთრივ ა. კიკვიძის ნაშრომი. კ. ანთაძის ნაშრომის მიმართ გარკვეული შენიშვნები გამოთქვეს სპეციალისტებმა, მაგრამ პლაგიატში მისთვის ბრალის დადება არავის მოსვლია აზრად, გარდა პროფ. აბელ კიკვიძისა. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ საბოლოოდ პროფ. ა. კიკვიძე იზოლაციაში აღმოჩნდა [15].

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ უკმარობის განცდას, რომელსაც კ. ანთაძის საინტერესო მონოგრაფიის შესავალი ტოვებს. ის ამ სოლიდური გამოკვლევის აქტევსის ქუსლად მიგვაჩნია და შესავალს კი არა, წინასიტყვაობას უფრო წარმოადგენს. მას სულ რაღაც ორი-სამი გვერდი აქვს დათმობილი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. მისი სისუსტე ცალკეული პერსონალიებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში კი არ მდგომარეობს, ამის გამოსწორება ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა, არამედ იმაში, რომ ნაშრომს ასეთი ისტორიოგრაფიული ნარკვევი არ აქვს. მან ამ თემას საერთოდ გვერდი აუარა. როგორც ჩანს, მან ამ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი ვერ გამოძებნა. არადა, ასეთი ისტორიოგრაფიული მიმოხილვის დაწერა მას სავსებით ხელებიფებოდა.

ამრიგად, პროფ. კ. ანთაძის მონოგრაფია „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“ იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მას ამ საკითხით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს.

საქართველოს ისტორიის საკითხებით პროფ. კოტე ანთაძის დაინტერესება ამით არ შემოიფარგლება. მან საქართველოს ისტორიაზე კიდევ დაწერა რამდენიმე ათეული ნაშრომი, რომელთა შორის განსაკუთრებით ფასეულია ისტორიულ-გეოგრაფიულ თემატიკაზე დაწერილი შრომების სერიალი. მათი დიდი ნაწილი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის

სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში 50-იანი წლების მიწურულს და 60-იანი წლების დასაწყისში. ესენია: აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, ტ. XIV. 1961, „ზემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“ (ტ. XI. 1959); „ქვემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“ (ტ. XIII. 1960); „რაჭა-ლეჩხეუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“ (ტ. XIV. 1961); „აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“ (ტ. I. XIX. 1962). აქ ორ გარემოებაზე მივაპყრობთ ყურადღებას. ამ სერიალიდან საუკეთესოდ აფხაზეთზე დაწერილი ნარკვევი მიგვაჩინა, რადგან ის ეხება საკმაოდ რთულ და აქტუალურ თემას, რომელსაც პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. მეორე, ამ საკითხების დამუშავების დროს თავი იჩინა ისტორიულ-დემოგრაფიული თემატიკით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა. პროფ. გიორგი გველესიანის აზრით, კ. ანთაძე „ეთილ-სინდისიერად და მაღალ მეცნიერულ დონეზე ასრულებდა ყველა დავალებას. ის იყო ავტორი რეგიონალური გამოკვლევების, სადაც მან სრულიად დამოუკიდებლად დაამუშავა თემები, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება“ [15, 66].

პროფ. კ. ანთაძემ გადადგა პირველი ნაბიჯი ამ დარგის ისტორიის დაწერის საქმეში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ორი ნაშრომი. პირველი ეძღვნება მის მასწავლებელს პროფ. ალ. ნამორაძეს და დაიბეჭდა „ქართული ისტორიოგრაფიის“ მეორე ნაკვეთში 1971 წელს, ხოლო მეორე გამოვიდა 1983 წელს ბროშურის სახით და ეხება მის უფროს კოლეგას – პროფ. გ. კოლურაძეს. ეს ორი ნაშრომი საუკეთესო ნიმუშია იმის, თუ როგორ შეიძლება დაინტერის ისტორიოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი. მან გააკეთა ამ ორი ისტორიკოსის შეხედულებების დამაჯერებელი გარეგანი ანალიზი. ეს ხაზი მან კიდევ უფრო გააღრმავა თავის მონაფეებთან მუშაობის დროს. ამიტომ აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის შრომები, რომელიც მან დაწერა, არამედ ის შრომებიც, რომლის მეცნიერ-ხელმძღვანელი თავად ბრძანდებოდა.

პროფ. კ. ანთაძემ თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევ-
როპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების პოპუ-
ლარიზაციისა და შესწავლის საქმეში. მან ორი კარგი საქმე
გააკეთა. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ
დაამუშავა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის
საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ორი ნაშრომი –
„ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს
შესახებ“, რომელიც მან წაიკითხა ასპირანტთა სამეცნიერო
კონფერენციაზე 1954 წელს და „ისტორიული წყაროები საფრან-
გეთში პირველი რესპუბლიკის წანამძღვრების შესახებ“, რო-
მელიც დაიბეჭდა 1977 წელს თბილისის უნივერსიტეტის
შრომებში (ტ. 184). ის წლების განმავლობაში თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ახალი
ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსს. მისი ნაშრომი „წყაროთ-
მცოდნეობის სწავლების გამოცდილებიდან“, რომელიც დაიბეჭდა
ავტორიტეტულ ისტორიულ ჟურნალში „ახალი და უახლესი
ისტორია“ („Новая и новайшая история“) (№2, 1963), დაგროვილი
გამოცდილების გაზიარების მცდელობად გვევლინება. მას ამ
დარგის თვალსაჩინო სპეციალისტად მოიაზრებდნენ არა მარტო
საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში. ეს ამ სფეროში
ქართული ისტორიოგრაფიის აღიარება იყო.

პროფ. კ. ანთაძე დიდი ყურადღებას უთმობდა დასავლეთ ევ-
როპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციას. ამ მიმართულებით
მისი საქმიანობის პიკს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის სახე-
ლმძღვანელოების შექმნა. ამ პროცესში ის საკმაოდ აქტიურად
იყო ჩაბმული, როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში.
პოსტსაბჭოთა პერიოდში პროფ. კ. ანთაძის ერთ-ერთ მთავარ დამ-
სახურებად მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის ქართული სასკოლო
სახელმძღვანელოების დაწერა მიგვაჩინია. იმდროინდელი ქართული
ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახალი
სასკოლო სახელმძღვანელოები მსოფლიო ისტორიის საკვანძო
საკითხების კლასობრივი და ფორმაციული კუთხით გაშუქებიდან
ცივილიზაციურ მიდგომაზე გადასვლის პირველ მცდელობად

შეიძლება მივიჩნიოთ. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოაყალიბა ახალი ანტისტალინისტური ფრთა.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ალ. ნამორაძის მსგავსად, პროფ. კ. ანთაძეს „ლომის წილი“ მიუძღვის დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევართა ახალი თაობის აღზრდის და დაწინაურების საქმეში. დღეს ამ დარგში ამინდს, უმთავრესად, სწორედ მისი მოწაფეები ქმნიან. მან შეძლო თავისი გუნდის ჩამოყალიბება.

დასასრულს, ორიოდე სიტყვას დავძენთ პროფ. კ. ანთაძეზე, როგორც ლექტორზე. ის კითხულობდა ლექციებს ახალ ისტორიაში, ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში, საფრანგეთის ისტორიაში [16].

ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი კვალი დატოვა ცნობილ-მა ქართველმა ისტორიკოსმა, პროფ. ალ. ნამორაძის კიდევ ერთ-მა მოწაფემ, პროფ. ნოდარ კიკვაძემ (1928-2008). ის იმ არაჩვეულებრივად განათლებული, ერუდირებული თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი და უკანასკნელი მოპიკანი ბრძანდებოდა. ის არ იყო მხოლოდ უაღრესად ერუდირებული ისტორიკოსი. ის იყო ძალზე მრავალმხრივ განსწავლული, განათლებული პიროვნება. ეს მისი, როგორც ისტორიკოსის, ერთ-ერთი პლუსი იყო. ბუნებრივია, მან უმაღლი მიიპყრო ცნობილი ისტორიკოსის პროფ. ალ. ნამორაძის ყურადღება და მისი რეკომენდაციის საფუძველზე ის დატოვებულ იქნა ასპირანტურაში. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა თავის მოწაფეს საინტერესო და აქტუალური საკითხი შეურჩია – „გერმანიის იმპერიალიზმის აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში“. ის უნივერსიტეტში მუშაობდა 1961-1973 წლებში, შემდგომ იყო პარტიულ სამუშაოზე, 1978 წელს კი ის ისევ დაუბრუნდა მეცნიერებას და დაინიშნა ინფორმატიკის ინსტიტუტის დირექტორად. 1989 წელს პროფ. კ. ანთაძის ძალისხმევით ის დაუბრუნდა უნივერსიტეტს და შეთავსებით მუშაობდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე. 1992 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1968 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ნ. კიკვაძის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ამ საკითხების ცნობილმა მკვლევარმა გ. ბონდარევსკიმ და მას „გერმანული კოლონიალიზმის ჭეშმარიტი ენციკლოპედია“ უწოდა. ნ. კიკვაძის გამოკვლევა „გერმანიის იმპერიალიზმის აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“ იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. პროფ. ნ. კიკვაძის სახით საქმე გვაქვს XIX-XX საუკუნეების გერმანიის ისტორიის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევართან არა მარტი საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ის იყო თანაავტორი ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოსი და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული პუბლიცისტური წერილი, რომელიც თანამედროვე საქართველოს ყოფაზე გულისტკივილითაა გაჯერებული. უნივერსიტეტში ის კითხულობდა ლექციებს უახლეს ისტორიაში, გერმანიის ისტორიაში, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში [17].

დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, რომელსაც იმხანად განაგებდა პროფ. გივი კილურაძე, 70-იანი წლების მიწურულს მცირე ხნით მოღვაწეობდა ცნობილი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე (საშა) ჩიკვაძიება. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე 1978 წლის 1 ივნისს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ფაქტობრივად, ეს იყო მისი მეცნიერული საქმიანობის კულმინაცია, რომელიც მტკიდროდ იყო დაკავშირებული აღმა მატერიან, ჩვენს უნივერსიტეტთან, სახელმწიფო კი ახალი და უახლესი ისტორიის კათედრასთან. ამიტომ ამ გარემოებაზე ყურადღების შეჩერება მიზანშენონილად ვცანით.

1976 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა მისი სოლიდური გამოკვლევა „ინგლისის კაბინეტი მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1978 წლის 1 ივნისს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ წიგნის რედაქტორი ბრძანდებოდა პროფ. გ. კილურაძე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ ამ ნაშრომს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ კლიშეებს და სტერეოტიპებს ჩამოვაშორებთ, რომლებიც უნდა ვიფიქროთ, რომ უმთავრესად თვალის ახვევას ისახავდა მიზნად, ხელში დაგვრჩება მეტად სერიოზული გამოკვლევა ინგლისის უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხზე, რომელიც იმ პერიოდის არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევდნენ დარგის ცნობილი სპეციალისტები პროფ. ვლადიმერ ტრუხანოვსკი და პროფ. ილია ტაბაღუა. ფაქტობრივად, ეს ნაშრომის საერთაშორისო აღიარება იყო.

მონოგრაფიაში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს და საინტერესოა ისტორიოგრაფიული ნაწილი. ის, იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის ფონზე, გარკვეულ ნინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მან უკმარიბის გრძნობა მაინც დაგვიტოვა. ეს ნაშრომში მის ადგილს შეეხება და არა შინაარსს. ის ერთგვარად განცალკევებით დგას – არც შესავალში შედის და არც პირველ თავში. ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ თემის განხილვა შესავალში ან ცალკე თავად მისი გამოყოფა.

პირველი თავი ეხება მიუნხენის პოლიტიკას და ჩეხოსლოვაკიის დაკავებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე საკვანძო საკითხზე: მიუნხენის წინაისტორია, მიუნხენის შემდგომი განმუხტვა, უაიტჰოლის რეაქცია ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაკავებაზე, დაბნეულობის და შიშის პერიოდი. მეორე თავია „ინგლისის კაბინეტი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების დროს“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ საკითხზე: დიპლომატიური თამაში და უაიტჰოლის ფარული მიზნები და მოლაპარაკებების აგონია და დასასრული. მესამე თავი – „ომის წინ“. აქ განხილულია ასევე ორი თემა: მიუნხენები მოქმედებდნენ ზურგს უკან და ომისწინა ბოლო კვირები.

ამ თემაზე საუბარს აქ დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება. ხშირად გაიგებთ განცხადებას, თითქოსდა საქარ-

თველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა, კვლევა არ შეიძლება. შეუძლებელი, რა თქმა უნდა, ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ, აღბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ძალზე ძნელია. ამ სკეფსისის გასაბათილებლად, ვფიქრობთ, ეს დისერტაციაც იქმარებდა. მას საფუძვლად უდევს 70-იანი წლების დასაწყისში საიდუმლობამოხსნილი ინგლისის კაბინეტის ოფიციალური დოკუმენტები და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები, რომლებსაც ავტორი ახლოს გაეცნო და დაამუშავა ინგლისში ყოფნის დროს. მსოფლიო ისტორიის ნორმალურად კვლევას ნორმალური პირობები ესაჭიროება. მაშინ მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში კიდევ უფრო ნაყოფიერ ხასიათს მიიღებს.

60-იან წლებში ახალი ისტორიის კათედრაზე თავი მოიყარა ნიჭიერი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა, რომელთა დიდი ნაწილი პროფ. ალ ნამორაძის მოწაფეები იყვნენ. ესენი არიან გერმან სიმონიძე (1925-1986), რევაზ ლასკარი (1928-1988), ვლადიმერ (ვოვა) ივანოვი (1929-1992). ამ ჯგუფიდან ცოტათი ცალკე დგას არაჩვეულებრივი პიროვნება, რაფინირებული ინტელიგენტი, დიდი ბიბლიოფილი და ერუდიტი ბ-ნ მიხეილ მამფორია (1901-1974). ცოტა ცალკე დგას-თქო, იმიტომ ვთქვი, რომ ის, ჯერ ერთი, უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო და მეორეც, ის ახალ და უახლეს ისტორიას კი არ ასწავლიდა, არამედ ლექციებს კითხულობდა „ისტორიის სწავლების მეთოდიკაში“. ის ამ დარგში საქართველოში ერთ-ერთ კომპეტენტურ სპეციალისტად გვევლინება.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არავითარი სამეცნიერო რეგალიები არ გააჩნდა, თუმცა თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, ერუდიციით, თუ არ აღემატებოდნენ, არც ერთ პროფესორს არ ჩამოუვარდებოდნენ. რით იყო გამოწვეული მათი ასეთი პასიურობა, ძნელი სათქმელია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ზედაპირზე ძეგს და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დიქტატისადმი სკეპტიკური და-

მოკიდებულება გახლავთ. შესაძლოა, მათ ხელს უშლიდა სხვა მიზეზებიც, მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ ვარაუდია და ჭეშმარიტი მიზეზი, ალბათ, მაინც მათ ადამიანურ ხასიათში უნდა ვეძიოთ. მათი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული სამეცნიერო-ორგანიზატორულ და სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე. ისინი, როგორც მკვლევარი ისტორიკოსები, რაღაცნაირად, ჩრდილში მოექცნენ და მათი მეცნიერული მემკვიდრეობა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება [18].

ლიტერატურა

1. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004. M. Kalandadze, Uschangi Sidamonidze – ein Opfer des totalitären rezimes – „Georgica“, 28. 2005.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აზანერი 19, საქმე 3324.
3. ვ. თვალავაძე, ვარლამ დონაძე, თბ., 1993. მ. კალანდაძე, პროფესორი ვარლამ დონაძე. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 4. თბ., 2009. მ. კალანდაძე, ლვანლმოსილი ისტორიკოსი, ამაგდარი პედაგოგი. – ისტორიული ვერტიკალები, №20, 2009.
4. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
5. გ. კუტალია, თსუ შუა საუკუნეების კათედრის ისტორია. – კრებულში „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები VI, თბ., 2004. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხები XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 7, თბ., 2010. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწ. 1. თბ., 2011. M. Kalandadze, Probleme der neuen Geschichtsschreibung Westeuropas in der georgischen Historiographie des 20. Jahrhunderts. –

„Georgica“, 32. 2009. მ. კალანდაძე, მასწავლებელი და მეცნიერი. – გაზ. „თბილისი“, 1992 წ. 10 იანვარი.

6. A. Manfred, A. Ado. Французская буржуазная революция конца XVIII века (историография). – В кн.: Советская историческая энциклопедия, т. 5, М., 1974.

7. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.

8. კ. ანთაძე, გივი კილურაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.

9. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანანერი 19, შესანახი ერთეული 1182.

10. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე. – კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359. თბ., 2005, M. Kalandadze. Ein Georgischer Erforscher der neuen Geschichte Westeuropas. – Georgica, 30, 2007.

11. მ. კალანდაძე, პროფესორ ილია ტაბალუას გახსენება. – გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №3, თბ., 2012.

12. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფონდი 471, აღნერა 19, საქმე 2410.

13. იხ. პროფ. კ. ანთაძის პირადი არქივი.

14. ირ. ანთელავა, ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა. – დროშა, №7. 1975.

15. ამონანერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საჯარო სხდომის ოქმიდან 1974 წლის 10 აპრილს – ინახება პროფ. კ. ანთაძის პირად არქივში.

16. მ. კალანდაძე, პროფესორი კონსტანტინე ანთაძე, თბ., 2014.

17. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ნოდარ კიკვაძე ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 5. თბ., 2009. ბ-ნ ნოდარზე არსებობს მშვენიერი მოგონებების წიგნი „ნოდარ კიკვაძე“, თბ., 2009.

18. მ. კალანდაძე, მიხეილ მამურია პედაგოგი და ერუდიტი. – კრებული მიძღვნილი მიხეილ მამურიას და გერმან სიმონიძის

ხსოვნისადმი. თბ., 2005. მ. კალანდაძე, გერმან სიმონიძე – ჭეშმარიტი ინტელიგენტი. – კრებული მიძღვნილი მიხეილ მამფორიას და გერმანე სიმონიძის ხსოვნისადმი, თბ., 2005. მ. კალანდაძე, ვლადიმერ ივანოვი, დიდი ბიბლიოფილი და ერუდიტი. – კრებული, მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, თბ., 2007 წ., მ. კალანდაძე, რეზო ლასკარი. – კრებული, მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი. თბ., 2007.

თავი V

პათედრა პოსტსაბჭოთა პერიოდში

90-იანი წლების დასაწყისი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია. საბჭოთა კავშირი დაიშალა. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის, დიქტატის ხანა გასრულდა. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. დასრულდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობის ერთი, უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდი – საბჭოთა ხანა. კათედრის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. იწყება მისი ფუნქციონირება პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ეს არის კათედრის ისტორიის მესამე პერიოდი, თანამედროვე ეტაპი, რომელიც დღესაც გრძელდება. მას მკვეთრად გამოკვეთილი ზღვარი გააჩნია და ორ ქვეპერიოდად იყოფა. მათ შორის მიჯნა, ცხადია, 2006 წელია – რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. პირველი ეტაპის მთავარ ლაიტმოტივს წარმოადგენს ძველი თაობის და ახალგაზრდობის შერწყმა, შეხამება. არსებითად შეიცვალა სურათი მეორე ეტაპის რეფორმის შემდეგ, როდესაც რეფორმატორებმა კურსი გაახალგაზრდავებაზე აიღეს. მთავარი ამოსავალი წერტილი იყო არა პროფესიონალიზმი და გამოცდილება, არამედ ასაკი, ახალგაზრდობა. ასეთი ხელოვნური გაახალგაზრდავების პროცესი სასიკეთო შედეგებით არ მთავრდება. მეცნიერება გამონაკლისს არ წარმოადგენს. გამოცდილი სპეციალისტების წასვლით კათედრამ, ცხადია, მძიმე დანაკლისი განიცადა. მოხდა თაობათა შორის წყვეტა. ყოველივე ამის

აღდგენას, ცხადია, ესაჭიროება დრო. დღეს კათედრა თანდათან გონს მოდის, ფეხზე დგება და სწორი გზის არჩევას ცდილობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მოკლედ გადავავლოთ თვალი კათედრის საქმიანობას პოსტსაბჭოთა ხანაში. ეს ამ ნაშრომის დასკვნითი აკორდი იქნება.

* * *

70-80-იან წლებში კათედრამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მას რამდენიმე წევრი გამოაკლდა. ისინი ძალიან ადრე წავიდნენ, როდესაც შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში იმყოფებოდნენ. არც ერთი მათგანი 60 წელზე მეტი ხნის არ იყო. აქ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვყავს პროფ. გივი კილურაძე. ის უეცრად გარდაიცვალა 56 წლის ასაკში და მრავალი განუხორციელებელი ჩანაფიქრი დარჩა. ეს აუნაზღაურებელი საკადრო დანაკლისი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ 1989 წლის 6 სექტემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა კათედრის უხუცესი და პატივსაცემი წევრი პროფ. ვარლამ დონაძე. შეიძლება ითქვას, რომ ამ რთული სიტუაციიდან კათედრამ შეძლო მოენახა გამოსავალი, რაც, უმთავრესად, იმით გახლდათ განპირობებული, რომ კათედრა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ახალ-გაზრდა თაობასთან მუშაობას. ხვალინდელ დღეზე ზრუნვა არასოდეს არ მდგარა უკანა პლანზე და ის ყოველთვის იყო პროფ. ალ. ნამორაძის, პროფ. გ. კილურაძის, პროფ. ვ. დონაძის, პროფ. კ. ანთაძის მთავარი საფიქრალი. ეს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ლაიტმოტივად გვევ-ლინება. უფროს კოლეგებს პროფ. – კ. ანთაძეს, დოც. გ. ბო-ლოთაშვილს, დოც. ვ. თვალავაძეს, დოც. ნ. ნამორაძეს, დოც. ე. მექმარიაშვილს – გვერდში ამოუდგნენ უმცროსი კოლეგები: დოც. ვ. კაჭარავა, დოც. ნ. მამუკელაშვილი, დოც. მ. კალანდაძე, დოც. ლ. ფირცხალავა, დოც. ც. ჩიკვაძე, დოც. ნ. კილურაძე. კათედრამ გარდაქმნის და ცვლილებების ხანაში საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა შეაბიჯა.

პოსტსაბჭოთა ხანაში დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ერთ-ერთ მთავარ წარმატებად ახალი ტიპის მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა მიგვაჩნია. ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელი და მოთავე კათედრის გამგე პროფ. კ. ანთაძე გახლდათ. ასე შეიქმნა მსოფლიო ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების სერიალი. მათი ავტორები იყვნენ: ქ. თვალიაშვილი, ც. ჩიკვაიძე (ძველი ისტორია), კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა (შუა საუკუნეების ისტორია), კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი (ახალი ისტორია), გ. ბოლოთაშვილი, ნ. კილურაძე, ე. მექმარიაშვილი (უახლესი ისტორია), მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი, ლ. ფირცხალავა (ისტორია, X კლასი); გ. ბოლოთაშვილი (მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია). ყველა ამ სახელმძღვანელოს რედაქტორი, ცხადია, პროფ. კ. ანთაძე ბრძანდებოდა. კათედრის საქმიანობა მარტო სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერით არ შემოიფარგლებოდა, თუმცა მათ დაწერას, ხოლო შემდგომ დაწერილის სრულყოფას, დიდი დრო მიჰეროდა და კათედრის მთავარ საზრუნავად რჩებოდა, ვიდრე არ დადგა 2006 წელი. რეფორმის შემდეგ სკოლაში ისტორიის სწავლება სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებზე უარი თქვეს და დაინტეს სრულიად განსხვავებული სახელმძღვანელოების შექმნა. ეს უკვე სულ სხვა გზა იყო.

სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად კათედრა ინტენსიურად მუშაობდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებზე. ამ თვალსაზრისითაც კათედრის საქმიანობა ყურადსალები ჩანს. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ფირცხალავამ დაწერა სახელმძღვანელო „ისტორიული მეცნიერების შესავალში“. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა სახელმძღვანელოები დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიაში: „გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, „ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“. პირველად სტუდენტებისათვის შეიქმნა

სასწავლო პროგრამა ამ საგნებში. დოც. ვ. თვალავაძემ ორ ნაწილად გამოსცა სახელმძღვანელო ახალ ისტორიაში. პირველი ნაწილი მოიცავდა პერიოდს ინგლისის რევოლუციიდან – ვენის კონგრესამდე, მეორე ნაწილი იყო ვენის კონგრესიდან საფრანგეთ-პრუსიის ომამდე.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის აქტივს უნდა მიეკუთვნოს ისიც, რომ გამოვიდა ექვსი კრებული, რომელიც ეძღვნებოდა კათედრის გარდაცვლილი წევრების ხსოვნას. შემდგომში, უმთავრესად მატერიალური ხელმოკლეობის გამო, იძულებული ვიყავით, უარი გვეთქვა ამ კრებულების გამოცემაზე.

კათედრის საქმიანობის ყურადღების ცენტრში იდგა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ის არასოდეს არ გადასულა უკანა პლანზე. ამ მიმართულებით განეული შრომის კულმინაციად პოსტსაბჭოთა ხანის პირველ ნახევარში დაცული სამი სადოქტორო დისერტაცია გვევლინება. ამ თვალსაზრისით პირველი მერცხალი იყო ნ. მამუკა შვილის დისერტაცია „ისტორიის სწავლება საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში“. ამას მოჰყვა მეორე სადოქტორო დისერტაცია. მერაბ კალანდაძემ 1999 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიოგრაფიაში – „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. ორივე ამ დისერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი პროფ. კ. ანთაძე იყო. კათედრის მესამე წევრმა, დოც. ვ. თვალავაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ახალ ისტორიაში – „სამტრედიის რეგიონი 1870-1914 წლებში“. კათედრას შეემატა სამი პროფესორი. ეს სოლიდური შევსება იყო. ამავე დროს კათედრაზე დაცული იქნა მრავალი საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა მეცნიერ-ხელმძღვანელი, უმთავრესად, პროფ. კ. ანთაძე იყო. მათი ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებდით, რადგან უნებლიერ შეიძლება ვინმე გამოგვრჩეს. ეს გამოკვლევები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეული წინსვლა იყო. ისინი ახალი ისტორიის საკანდიდო საკითხების გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში

დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ. მათი მეცნიერული მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

* * *

ახლა ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ პერსონალიებზე, კა- თედრის ცალკეულ წევრზე. ეს ამ დარგში კათედრის საქმიანობის კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ სურათს დაგვიხატავს.

დღეს ამ დარგში მოქმედი სპეციალისტები პირობით სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: უფროსი თაობა – გივი ბოლოთაშვილი, ვაჟა თვალავაძე, ნინო ნამორაძე, ელენე მექმარიაშვილი. საშუალო თაობა: ნაირა მამუკელაშვილი, მერაბ კალანდაძე, ვასილ კაჭა- რავა, ლალი ფირცხალავა, ცირა ჩიკვაიძე და ნინო კილურაძე. ახალი თაობა: თემურაზ პაპასქირი, ფატი შეყლაშვილი, თამარ ანთაძე, ზაალ გოგენია.

დავიწყოთ უფროსი კოლეგებით. პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ დოც. გივი ბოლოთაშვილი. ის იმ არაჩვეულებრივად ერუდირებული, უაღრესად განათლებული თაობის ტრადიციების ერთ-ერთი ღირსეული გამგრძელებელი იყო. ის საქართველოში უახლესი ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტია. ჩინებული საერთაშორისო მიმომხილველია. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია მისი, როგორც საერთაშორისო ურთიერ- თობების ექსპერტის დუმილი. მას ბევრი საინტერესო რამის თქმა შეუძლია მსმენელისათვის, მკითხველისათვის.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის დამსახურებად მიგვაჩნია მისი მთავარი ნაშრომი „სოციალისტური რევოლუციის დაცვის თეორია და პრაქტიკა“. კუბის ისტორიული ტრადიცია და გამოცდილება“. ეს ნაშრომი ემპირიისა და თეორიის შერწყმის, შეხამების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მან ეს ნაშრომი 1981 წლის 10 იანვარს წარმატებით დაიცვა, როგორც საკანდიდატო დისერტაცია, რომელსაც სპეციალისტების დი- დი მოწონება ხვდა წილად. ეს იმ პერიოდის ქართული ისტო-

როიგრაფიის წარმატება იყო. დოც. გ. ბოლოთაშვილის სახით საქ-
მე გვაქვს საქართველოში ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალი
და უახლესი ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტთან.
ის აპირებდა ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებას, მაგ-
რამ 90-იან წლებში შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მისი,
როგორც მკვლევარი-მეცნიერის გეგმებში თავისი კორექტი-
ვები შეიტანა. ეს ახასიათებს მიმდინარე ისტორიას. ის ძალ-
ზე დინამიურია. პროცესები სწრაფად იცვლება. რამდენად სა-
ინტერესო და ორიგინალურია მიმდინარე პროცესებზე წერა,
იმდენად სარისკოა. ეს ბ-ნ გივიმ კარგად გამოსცადა. საბჭოთა
პერიოდში მან კიდევ ერთი კარგი ჩანაფიქრის განხორციელება
მოახერხა. ეს იყო ახალი ისტორიის მეორე პერიოდის და უახლესი
ისტორიის პირველი ნაწილის ერთ-ერთი თანაავტორი. ის იყო
უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი რედაქტორი
პროფ. კ. ანთაძესთან ერთად. პოსტსაბჭოთა პერიოდში მის
მთავარ დამსახურებას წარმოადგენს ახალი ტიპის ქართული
ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნაში ჩართულობა. მან
სრულიად ახლებურად დაწერა 6. კილურაძესთან და ე. მექმა-
რიაშვილთან ერთად უახლესი ისტორიის სახელმძღვანელო
და მაღალი კლასებისთვის შექმნა სრულიად ახალი სახელმძღ-
ვანელო „მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია“, რომელსაც
ქართულ რეალობაში ანალოგი არ მოეძებნება. ამიტომ ამ სა-
ხელმძღვანელოებზე ხელალებით უარის თქმა, ჩვენი აზრით,
სწორი არ იყო. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, არამარტო ამ წიგ-
ნებს, არამედ მთელს სერიალს მსოფლიო ისტორიის პირველი
სახელმძღვანელოებისა. ამავე დროს მას დაწერილი აქვს რამ-
დენიმე ათეული საინტერესო ნაშრომი, სადაც მან სცადა წინ წა-
ნია აღნიშნული საკითხების შესწავლა საქართველოში. თუ არა აქ-
ტიური პოლიტიკური საქმიანობა, ერთი ხანობა ის პარლამენტის
წევრი გახლდათ, დარწმუნებული ვართ, ის გაცილებით უფრო
პროდუქტიული იქნებოდა. 2006 წელს ის ჩამოაშორეს საყვარელ
საქმეს. კონკურსში ვერ გავიდა. სასაცილოა, სატირალი რომ არ
იყოს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად ფართო იყო მისი, როგორც ლექტორის საქმიანობის არეალი. ის კითხულობდა ლექციებს მრავალ დისციპლინაში: „დასავლეთ ევროპის და ამერიკის უახლესი ისტორია“, „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია“, „დიპლომატიის ისტორია“, „დაზვერვის ისტორია“ და სხვა მრავალი. დღეს ის საათობრივი ანაზღაურების წესით არის მოწვეული. ამით მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული ის შეცდომა, რომელიც დაუშვეს.

1989-2006 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა პროფ. ვარლამ დონაძის მონაფე პროფ. ვაჟა თვალვაძე. სიმბოლურია, რომ პროფ. ვ. დონაძის გარდაცვალების შემდეგ კათედრაზე სწორედ ვაჟა თვალვაძე მოიწვიეს. მან ესტაფეტა თავის მასწავლებლისაგან, პროფ. ვ. დონაძისაგან მიიღო და ღირსეულად გააგრძელა ის. საკანდიდატო დისერტაციის თემა მას თვალი პროფ. ვ. დონაძემ შეურჩია. ეს იყო საინტერესო პრობლემა – „გერმანიის ახალი ისტორიის საკითხები და ქართული საზოგადოებრივი აზრი“ (XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული პერიოდული პრესის მიხედვით). მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ რუსულ ენაზე გამოსცა მონოგრაფიის სახით. ამ შრომაზე ვრცლად არ შევჩერდებით, რადგან მაშინ ბ-ნ ვაჟა ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ილიას უნივერსიტეტში) მუშაობდა და ეს სცილდება ჩვენი ნაშრომის სიუჟეტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადოქტორო დისერტაცია მას დაცული აქვს საქართველოს ახალ ისტორიაში და არჩევანი მშობლიური კუთხის, სამტრედიის წარსულზე შეაჩერა. მან ყურადღება გაამახვილა მშობლიური მხარის წარსულის ერთ პატარა, მაგრამ საინტერესო მონაკვეთზე – სამტრედიის რეგიონის ისტორიაზე 1870-1914 წლებში. ეს წარმომი, როგორც ხედავთ, საქართველოს ისტორიას შეეხება და ამიტომ მასზე სიტყვას მეტს არ გავაგრძელებთ. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიას, აქ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მის მიერ დაწერილი ახალი ისტორიის სახელმძღვანელო. ის ორი ნაწილისაგან შედგება. დასავლეთ

ევროპის ახალი ისტორია ინგლისის რევოლუციიდან – ვენის კონგრესამდე (1640-1815) და ვენის კონგრესიდან – საფრანგეთ-პრუსიის ომამდე (1815-1870). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ საკითხებზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით განებივრებული არ ვართ, მაშინ ეს სახელმძღვანელო კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზის შევსების მცდელობად გვევლინება. სახელმძღვანელოს შინაარსობრივი გამდიდრება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საფრანგეთის ისტორიას ლუი XIV-ის დროს. მან დაწერა საინტერესო ბროშურა თავის მასნავლებელზე პროფ. ვ. დონაძეზე და მისი ხსოვნის წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა. პროფ. ვ. თვალავაძე პროფ. ვ. დონაძის გუნდის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრად მოიაზრება. მან დაწერა კიდევ რამდენიმე ათეული ნაშრომი დასავლეთ ევროპის ისტორიაზე საქართველოსთან კონტექსტში და შეეცადა წინ წაეწია ალნიშნული პრობლემების დამუშავება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალ ისტორიაში და ატარებდა სპეციურსებს. 2006 წელს ის ჩამოაშორეს საყვარელ საქმეს. კონკურსში ვერ გავიდა. წლების მანძილზე ის მოწვეული იყო საათობრივი ანაზღაურების წესით.

პროფ. ვ. დონაძის გუნდის კიდევ ერთ წევრად მოიაზრება პროფ. ალ. ნამორაძის ქალიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნინო (ნუნუ) ნამორაძე. მისი თემატიკა XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზრს დასტრიალებს და ეხება გაზეთ „დროებაში“ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქებას – „მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი საზღვარგარეთულ ევროპაზე (გაზეთ „დროების“ მიხედვით (1866-1885 წწ.)“. თემა არის აქტუალური და ამ კუთხით ის ისტორიულ ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა. მან ისტორიოგრაფიაში პირველად სცადა გამოერკვია გაზეთ „დროების“ დამოკიდებულება ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი, ეჩვენებინა მათი მიდგომის ძლიერი

და სუსტი მხარეები და აეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. 1984 წლის 14 დეკემბერს მან ამ თემაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ვფიქრობთ, სასურველი იყო ეს ნაშრომი ცალკე მონოგრაფიის სახით გამოეცა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ თემაზე მას კიდევ გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი: „ახალი ისტორიის საკითხები გაზეთ „დროების“ ფურცლებზე“; „რუსეთ-თურქეთის 1877 წლების ომის გამუქება გაზეთ „დროებაში“; „გაზეთი „დროება“, წყაროთმცოდნებითი და ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ისტორიაზე გაზეთ „დროების“ პუბლიკაციების“; „გაზეთი „დროება“ ესპანეთზე“; „ინგლისის ახალი ისტორიის საკითხები გაზეთ „დროების“ ფურცლებზე“. ცალკე დგას და საინტერესოდ მიგვაჩნია მისი ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის წანაშიდვების პრობლემა თანამედროვე ინგლისურენოვან ისტორიოგრაფიაში“. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისტორიოგრაფიული ნარკევე უნებლიერ გამოვრჩა მხედველობიდან ჩვენს წიგნში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ და ახლა ვასწორებთ ამ შეცდომას. სტატიის მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განაპირობებს. ამ სახის შრომებით ქართული ისტორიოგრაფია განებივრებული არასოდეს ყოფილა და ყოველი ასეთი მცდელობა მისასალმებელი უნდა იყოს. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. წმინდა კონცეფტუალურად, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ეს ნაშრომი დღეს უკვე მოძველებულია, მაგრამ მასში თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა საინტერესოა და მას სულ სხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს. ის არის ერთ-ერთი თანაავტორი ახალი ისტორიის ქრესტომათიის, სადაც მან პროფ. კ. ანთაძესთან ერთად დაწერა ერთი მონაკვეთი – საფრანგეთი 1648-1789 წლებში, და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოსი, სადაც მას დაწერილი აქვს ორი ნარკევე, რომელიც საგსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნას. 1990 წელს მისი

რედაქტორობით გამოვიდა ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვარიანტი, რომელიც ამ ეპოქის მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისაგან განმენდის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ის იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის მეორე პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი საქართველოში. პოსტსაბჭოთა პერიოდში მან გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე ნაშრომი: „ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი თბილისში“; „ამერიკული უურნალი „ნაპოლეონი“. პროფ. კ. ანთაძის სამოცდათხუთმეტ წლისთავს ეხება ჩვენი ერთობლივი ნაშრომი „მეცნიერი და მასწავლებელი“.

ის კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში, ატარებდა სპეციურსებს. განსაკუთრებით თბილად და-მამახსოვრდა მის მიერ წაკითხული სპეციურსი 1973 წლის შემოდგომაზე, რომელიც ეხებოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ევროპის ახალი ისტორიის საკითხების გაშუქებას. 2006 წელს ის პენსიაში გავიდა.

ასპირანტურის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა პროფ. ვ. დონაძის კიდევ ერთმა მოწაფემ ქ-ნ ელენე (ლიკა) მექმარიაშვილმა. მან პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში, როგორც აფრიკანისტმა, სწორედ პროფ. ვ. დონაძის ხელმძღვანელობით გადადგა. 1980 წელს, როდესაც კათედრა გაიყო, მან მუშაობა გააგრძელა აზითა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, თუმცა 1996 წელს ის კვლავ დაუბრუნდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას. ბოლო წლებში ის მუშაობს ამერიკანისტიკის განხრით.

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, ფაქტობრივად, ის იყო პირველი აფრიკანისტი, რომელმაც 1978 წლის 22 მაისს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აფრიკის უახლეს ისტორიაში. სადისერტაციო ნაშრომი ეხებოდა ფრიად საინტერესო და აქტუალურ თემას და განიხილავდა თანამედროვე ნიგერიის სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს. ეს ნაშრომი ქართული

აფრიკანისტიკის მონაპოვარი იყო და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია, რომელსაც ამ პრობლემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. დოც. ე. მეძმარიაშვილის სახით საქმე გვაქვს აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტან, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი დამსახურება იყო.

მის მეორე დამსახურებად ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესება გვევლინება. ის წლების განმავლობაში მუშაობს ამერიკის შესწავლის ცენტრში და როგორც მკვლევარი-ისტორიკოსი, საკმაოდ ნაყოფიერად იღწვის. მან დაწერა რამდენიმე ათეული ნაშრომი ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში, განსაკუთრებით ინტერესდება ქალთა პრობლემებით აშშ-ში. ამ მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგს წარმოადგენს მისი მონოგრაფია „ქალი XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში“, რომელიც მზადდა გამოსაცემად. ბ-ნ ვასილ კაჭარავასთან ერთად წერს სახელმძღვანელოს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. ე. მეძმარიაშვილის სახით საქმე გვაქვს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტან საქართველოში.

აუცილებლად უნდა ითქვას მის ჩართულობაზე უახლესი ისტორიის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. ეს მისი კიდევ ერთი დამსახურებაა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მან სრულიად ახლებურად გააშექა აზიის დიდი სახელმწიფოების უახლესი ისტორია. ამის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩინია ის, რომ მან ძალები მოსინჯა ისტორიის კვლევის მეთოდიკაში და რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ამ დარგში, რომელიც მიზნად ისახავდა აზიის ქვეყნების უახლესი ისტორიის სწავლების დონის შემდგომ ამაღლებას თანამედროვე ქართულ სკოლაში. ეს კიდევ ერთი საშური საქმე იყო, რომელიც მან გააკეთა. 2008 წელს გამოვიდა მისი საუნივერსიტეტო

სახელმძღვანელო უახლეს ისტორიაში, რომელსაც საფუძვლად ედო მის მიერ წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული სალექციო კურსი. ის წლების მანძილზე წარმატებით ასწავლიდა უნივერსიტეტში აზისა და აფრიკის უახლეს ისტორიას, ევროპისა და ამერიკის უახლეს ისტორიას, სხვადასხვა სპეციურსებს. ამჟამად მუშაობს ამერიკანისტიკის განხრით და ლექციებს კითხულობს ამ სფეროში.

უფროსი თაობის ისტორიკოსებს სულ მალე გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები – პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. მერაბ კალანდაძე, დოც. ვასილ კაჭარავა. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ტალღა, ამას მოჰყვა მეორე ტალღა: დოც. ლალი ფირცხალავა, დოც. ცირა ჩიკვაძე, დოც. ნ. კილურაძე.

პროფ. ნ. მამუკელაშვილის სახელს რამდენიმე კარგი საქმე უკავშირდება. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მან ლირსეულად გააგრძელა ის ტრადიციები, რომელიც კათედრას გააჩნდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის დროს, რომელსაც საძირკველი ჩაუყარეს ამ დარგის ფუძემდებლებმა პროფ. გრ. ნათაძემ და პროფ. ალ. ნამორაძემ, შემდგომ კიდევ უფრო განავითარეს პროფ. გ. კილურაძემ და პროფ. კ. ანთაძემ. მისი საკანდიდატო დისერტაცია – „საფრანგეთის პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციისთვის ბრძოლა საფრანგეთში 1793 წლის პირველ ნახევარში“, ამ პრობლემის შესწავლის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი წარმატება იყო. აღსანიშნავია, რომ თემის შერჩევის საქმეში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ისტორიკოსმა პროფ. ანატოლი ადომ. ამ ასპექტში საკითხის განხილვა მისი რჩევა იყო, თორემ თავდაპირველად ჩანაფიქრი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ნ. მამუკელაშვილის ნაშრომს დადებითი შეფასება მისცა მისმა ერთ-ერთმა ოფიციალურმა ოპონენტმა, საფრანგეთის ისტორიის კომპეტენტურმა მკვლევარმა პროფ. გენადი კუჩერენკომ. ეს ამ სფეროში იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წვლილის კიდევ ერთი აღიარება იყო. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მისი

მონოგრაფიის სახით გამოცემა. რატომ შეიკავა თავი ავტორმა და მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა ამის გაკეთებისაგან ძნელი სათქმელია. ამ პრობლემატიკას შეეხება მისი რამდენიმე ნაშრომი, რომელიც მისი საკანდიდატო დისერტაციის ფრაგმენტებს წარმოადგენს. მან ნინ წასწია აღნიშნული საკითხის შესწავლა საქართველოში და თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

შემდგომ წლებში, ის უმთავრესად, პროფ. კ. ანთაძის ძალისხმევით, ისტორიის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე გადაერთო. ის საქართველოში ამ დარგის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ყალიბდება. ამ მიმართულებით მის მიერ განეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის ლოგიკური დაგვირგვინება იყო პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსხვავებულად, ახლებურად დაწერილი მერვე კლასის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. არსებითად ეს იყო პირველი მერცხალი მსოფლიო ისტორიის ახალი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების სერიალიდან. და მეორე, ეს იყო მისი სოლიდური გამოკვლევა ახალი ისტორიის სწავლებაზე ქართულ საბჭოთა სკოლაში, რომელიც მან 1994 წლის დეკემბერში წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია. აქ მან სრულიად ახლებურად გააშუქა ეს თემა და მისი მეცნიერული მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის წლების მანძილზე უნივერსიტეტში ასწავლიდა ახალ ისტორიას და ისტორიის სწავლების მეთოდიკას.

2006 წლის რეფორმა რისხვად დაატყვდა თავს უფროს და საშუალო თაობას. ერთ-ერთი მათგანი იყო პროფ. ნ. მამუკელაშვილი. ის უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩნდა. ეს დიდი უმაღლერობა გახლდათ.

თავის კოლეგებს გვერდში ამოუდგა პროფ. მერაბ კალანდაძე. ის რამდენიმე წამოწყების ინიციატორად მოგვევლინა:

1. უნინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ მან სცადა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის კომპლექსური გაშუქება. დასავლეთ ევროპის შუა

საუკუნეების და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. ამ თემატიკის დამუშავება მან სამი მიმართულებით წარმართა: 1. მან შეისწავლა და გაანალიზა ამ დარგის ფუძემდებლების პროფ. ნიკოლოზ დუბრივსკის, პროფ. გრ. ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის მეცნიერული მემკვიდრეობა. ამ თემას ეძღვნება მისი მონოგრაფია „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც მან 1999 წლის 20 ოქტომბერს დაიცვა საფლქტორო დისერტაციად. ამ პრობლემას მან კიდევ რამდენიმე გამოკვლევა უძლვნა. 2. მან გააგრძელა ამ თემაზე მუშაობა და დაიწყო მეორე თაობის ისტორიკოსების შემოქმედების შესწავლა, რომლებიც მათი მონაცემები იყვნენ. მისი მხრივ, ეს იყო მეტად კეთილშობილური ნაბიჯი, ვინაიდან ისინი მისი მასწავლებლები იყვნენ. 3. მან საგანგებო ყურადღება მიაპყრო საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების შესწავლას. ამ კუთხით ეს საკითხები ისტორიოგრაფიაში სრულიად დაუმუშავებელი იყო. მან ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით სრულ დავინუებას მიეცა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან სცადა აღედგინა საქართველოში მსოფლიო ისტორიით დაინტერესების საერთო სურათი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით გამრუდებული იყო. ამ თემატიკას ეძღვნება მისი რამდენიმე მონოგრაფია: „პროფესორი უშანგი სიდამონიძე“ (2004); „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგარარულ კანომდებლობის შესწავლა საქართველოში“ (2006); „მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში“ (2007); „ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ მნერლობაში“ (2008); „ქართული მედიევისტიკის სათავეებთან“ (2009); „ალექსანდრე ორბელიანი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე“ (2010); „პროფესორი კონსტანტინე ანთაძე“ (2014).

ამავე დროს მას ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო წაშრომი.

2. მან, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველმა თუ არა, ერთ-ერთმა პირველმა მაინც, კატეგორიულად უარყო მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და აღადგინა ევროპული მოდელი. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სიახლე იყო. მან თავისი საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: ა. შეიმუშავა, კ. ანთაძესა და კ. მეშველიანთან ერთად, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საერთო მოდელი. ბ. მან მოგვცა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ცალკეული ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია. გ. სცადა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია. დ. დაწერა წაშრომი ისტორიული აზროვნების პერიოდიზაციაზე. ე. ის შეეხო ახალი ისტორიის საკუთხობის, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის, პერიოდიზაციას. ვ. დაბოლოს, უნდა დავინიოთ, რომ საინტერესოა მისი წაშრომი საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაზე. მას ამ საკითხზე დაწერილი აქვს მონოგრაფია, ერთი სახელმძღვანელო და რამდენიმე ათეული წაშრომი.

3. ის დიდ დაინტერესებას იჩენდა და თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის სწავლების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ამ პრობლემატიკით მისი დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, როგორც თვითონ არაერთგზის აღუნიშნავს, პროფ. გ. კილურაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი გახლდათ. მას ამ პრობლემატიკაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული წაშრომი. ამ დაინტერესების დაგვირგვინებას წარმოადგენს მისი წიგნი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ (2011). მან თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. ქართული კონტექსტის მიმატება გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს და ამ ძიებებს უკვე მეცნიერულ ელფერს სძენს. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს სერიალი

აკად. ივ. ჯავახიშვილის თეორიულ ძიებებზე: „დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში“, „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში“, „ისტორიის თეორიის საკითხების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში“ და სხვა მრავალი.

4. მერაბ კალანდაძე დიდ დაინტერესებას იჩენდა ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკით. ამ პრობლემატიკით გატაცების ხერხემალს წარმოადგენს ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებების შესწავლა. შილერი როგორც ისტორიკოსი ქართული საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი და ის ამ თემაზე თავის შრომებში გააცნობს ქართველ მკითხველს ფრიდრიხ შილერის მოღვაწეობის ახალ წარმატებას. ამ საკითხს ეხება მისი საკანდიდატო დისერტაცია „ფრიდრიხ შილერის შეხედულებები ახალი ისტორიის პრობლემებზე“, რომელიც მან 1988 წლის 9 მარტს წარმატებით დაიცვა. ყურადღებას იპყრობს მისი ნარკვევები შილერზე, ბაირონზე, შექსპირზე, დიუმაზე. ამ თემატიკაზე მას რამდენიმე ათეული ნაშრომი აქვს დაწერილი.

5. მან თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. დაწერილი აქვს ოთხი სახელმძღვანელო და რამდენიმე ათეული ნარკვევი, რომლებსაც შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და დაკავალიანებს სტუდენტებს ამ რთულ საკითხში. ამდენად, ისინი ამართლებენ თავის თავს. მათი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს.

დასასრულს, უნდა ვახსენოთ ის სალექციო კურსები, რომლებიც მერაბ კალანდაძეს წაუკითხავს თუ ამჟამადაც კითხულობს: შუა საუკუნეების ისტორია და ისტორიოგრაფია, ახალი ისტორიის ისტორიას და ისტორიოგრაფია, დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიები, ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის კვლევის მეთოდები, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქა, რეფორმები და რევოლუცია და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ისტორიკოსი ვასილ კაჭარავა, პროფ. გ. კილურაძის ინიციატივით, რომელიც იმხანად განაგებდა ახალი ისტორის კათედრას, მივლინებულ იქნა მოსკოვში, მიზნობრივ ასპირანტურაში, ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში დასასპეციალიზებლად. ეს იყო სწორი ნაბიჯი. კათედრას არ ყავდა ამერიკანისტი, კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიის სპეციალისტი. ეს გადაწყვეტილებაც სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას ითვალისწინებდა. მოსკოვში მან ძალიან კარგი სკოლა გაიარა ისეთ ცნობილ ამერიკანისტებთან, როგორებიც იყვნენ ან განსვენებული პროფ. ნიკოლოზ სივაჩოვი და ან განსვენებული პროფ. ევგენი იაზეკოვი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო აზითსა და აფრიკის ქვენების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გადავიდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, რომელსაც იმხანად სათავეში ედგა პროფ. კ. ანთაძე. კათედრამ კვალიფიცირებული შეესება მიიღო. ახლა მას ჰყავდა ამერიკანისტი. დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის სერიოზული შესწავლა. ეს იყო ამ მიმართულებით გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი. ამას მოჰყვა მეორე ნაბიჯი. 1999 წელს ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრასთან, ვ. კაჭარავას ინიციატივით და ძალისხმევით ჩამოყალიბდა ამერიკის შესწავლის ცენტრი. ფაქტობრივად, ეს იყო ქართული ამერიკანისტიკის დაბადება. აქ უკვე დიდი ყურადღება ეთმობოდა არა მარტო ამერიკის ისტორიის საკითხების შესწავლას, არამედ სხვა თემების დამუშავებას. ამ მცირე ხნის მანძილზე ცენტრმა საკმაოდ ნაყოფიერად იღვანა და უკვე მოასწრო სუთი კრებულის გამოცემა. აქ გამოცემულმა შრომებმა შეძლებისდაგვარად წინ წასწიეს ქართული ამერიკის-მცოდნეობის სხვადასხვა დარგები. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ყოველწლიურად თბილისში იმართება ამერიკისმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც

ამ ქვეყნის ისტორიის ან გამოჩენილი პიროვნების მოღვაწეობას ეძღვნება. ეს მისი, როგორც ამერიკანისტის საქმიანობის ერთი ორგანიზაციული მხარე იყო. ის გახლავთ საქართველოში ამერიკის შესწავლის ასოციაციის პრეზიდენტი. მისი საქმიანობის მეორე მხარეა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მისი, როგორც მკვლევარი-ამერიკანისტის აქტივის უნდა მივაკუთვნოთ ორი საინტერესო გამოკვლევა, რომელიც თანამედროვე ქართული ამერიკანისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. 1994 წელს მან მონოგრაფიის სახით გამოსცა თავისი საკანდიდატო დისერტაცია „მშრალი კანონი ამერიკაში“, ხოლო 2008 წელს გამოვიდა მისი მეორე ნაშრომი, რომელიც მის მიერ ამ ეპოქის ამერიკის ისტორიის შესწავლის თავისებურ რეზიუმედ გვევლინება – „1920-იანი წლების ამერიკა“. 2011 წელს გამოვიდა მისი კიდევ ერთი წიგნი: ამერიკა 1950-იან წლებში. ამავე დროს მას ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული საინტერესო ნაშრომი, სადაც ის ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს და შეძლებისდაგვარად წინ ნასწილს ამ პრობლემის შესწავლა. მათი მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. დიდი ხნის მანძილზე ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებდა ლექციებს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უახლეს ისტორიაში, მიჰყავდა სპეციურსები. ამჟამად ის, როგორც ლექტორი, ლექციებს კითხულობს ამერიკანისტიკაში. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია, რომ არც მას და არც მის კოლეგას ქ-ნ ელენე მექმარიაშვილს თავის დროზე სადოქტორო დისერტაცია არ დაუცავთ. ხელსაყრელი შანსი ხელიდან გაუშვეს. მათი პოტენციალის ისტორიკოსს ეს სავსებით ხელენიფებოდა. დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ პირველი ტალღის დებიუტი ისტორიულ მეცნიერებაში პროფ. გივი კილურაძის ხელმძღვანელობით შედგა, ხოლო შემდეგ მათ მუშაობა უკვე პროფ. კ. ანთაძის გუნდში მოუხდათ.

ახალი თაობის პირველ ტალღას მეორე ტალღა მოჰყვა. ესენი არიან: დოც. ლალი ფირცხალავა, დოც. ცირა ჩიკვაიძე, დოც. ნინო კილურაძე. დოც. ლ. ფირცხალავამ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე დაიწყო

მუშაობა ჯერ ლაბორანტად, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ – მასწავლებლად. შემდგომში ის გახდა კათედრის დოცენტი. ლალი ფირცხალავა პროფ. ვ. დონაძის მოწაფეების ბოლო ტალღას ეკუთვნის. მას საკანდიდატო დისერტაციის თემა ბ-ნ ვარლამია შეურჩია და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელიც თვითონ იყო, თუმცა მან საკანდიდატო დისერტაცია ბ-ნ ვარლამის გარდაცვალების შემდეგ დაიცვა. პროფ. ვ. დონაძემ თავის მოწაფეს საინტერესო თემა შეურჩია „გაზეთი „ივერია“ ევროპის ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ“ (1886-1902). ამგვარი მიღვომა მეტად დამახასიათებელი იყო პროფ. ვ. დონაძისათვის, არა მარტო როგორც მკვლევრისათვის, არამედ როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელისათვის. აქ ის აგრძელებს იმ ხაზს, რომელიც მან დასახა ჯერ ვ. თვალავაძესთან, ხოლო შემდეგ ნ. ნამორაძესთან მუშაობის დროს. ლ. ფირცხალავას სადისერტაციო ნაშრომის წარმატების საქმეში პროფ. ვ. დონაძეს თავისი წვლილი მიუძღვის.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დოც. ლ. ფირცხალავას დამსახურებად მიგვაჩინია: 1. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ შეისწავლა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ევროპის ისტორიის აქტუალური საკითხები. ხაზი გაუსვა, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს გააჩნდა არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ ისტორიოგრაფიული დატვირთვა, თუ როგორ აფასებდა გაზეთი „ივერია“ ევროპის ისტორიის სხვადასხვა საქითხებს. მან ეს ნაშრომი 1990 წლის 30 მარტს წარმატებით დაიცვა, როგორც საკანდიდატო დისერტაცია. ეს იყო ერთი კარგი საქმე, რომელიც მან გააკეთა. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ამ ნაშრომის წიგნად გამოცემა. 2. მეორე კარგი საქმე, რომელიც მის სახელს უკავშირდება, გახლავთ ის, რომ მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაწერა სახელმძღვანელო ისტორიის მეცნიერების შესავალში. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, უმთავრესად პროფ. გივი კილურაძის ძალისხმევით, კათედრაზე იკითხებოდა ახალი საგანი – ისტორიის მეცნიერების შესავალი, რომლის ლექტორიც იყო შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი, ბრწყინვალე პიროვნება, პროფ. უშანგი

სიდამონიძე, მაგრამ სტუდენტებს არ ჰქონდათ ამ საგანში სახელმძღვანელო. დოც. ლ. ფირცხალავა შეეცადა, შეეცა ეს ხარვეზი. მისი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა. მან სტუდენტებს მოკლედ, ლაკონურად, შინაარსიანად მოუთხრო დამხმარე ისტორიულ დისციპლინებზე. ისტორია სულაც არ წარმოადგენს წარსულში იოლ გასეირნებას. წარსულში მომხდარი ფაქტის დადგენა ძნელია და ისტორიკოსისაგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დოც. ლ. ფირცხალავას სახელმძღვანელო „ისტორიის მეცნიერების შესავალი“ XX საუკუნის მიწურულს ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენი გახლდათ. წიგნის სატიტულო ფურცლებზე გაკეთებული განცხადება თითქოსდა ეს იყო მონოგრაფია, პრეტენზიულად ჟლერს და ამბიციურად მიგვაჩნია. 3. მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის სახელმძღვანელოების შედგენაში ჩართულობა კიდევ ერთი კარგი საქმე იყო, რომელიც მან გააკეთა. მან პროფ. კ. ანთაძესთან ერთად დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, ხოლო მერაბ კალანდაძესთან და პროფ. 6. მამუკელაშვილთან ერთად დაწერა X კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ ის დოც. ნინო კილურაძესთან ერთად სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში ახლაც აქტიურადაა ჩართული, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა გზაა და საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს. ის თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ყველაზე ღირებული მან შექმნა სწორედ პროფ. კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით. დოც. ლ. ფირცხალავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ახალ ისტორიაში, ისტორიის მეცნიერების შესავალში, დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიაში.

ანალოგიური გზა გაიარა ამ ტალღის მეორე წარმომადგენელმა დოც. ცირა ჩიკვაიძემ. მან ჯერ იყო და ლაბორანტის გამოთავისუფლებული ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა მასწავლებლად, მერე კი გახდა ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი.

მან ორი კარგი საქმე გააკეთა: 1. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს „ახალგაზრდა კონსერვატორები“ და პ. მაკმილანის მეორე მსოფლიო ომამდელი პოლიტიკური შეხედულებები“, რომელიც მან 1990 წლის 28 ნოემბერს წარმატებით დაიცვა, როგორც საკანდიდატო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ ეს თემა მას შეურჩია მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფ. ლევან სვანაძემ, რომელიც საქართველოში XX საუკუნის ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა. მან დისერტაცის გადასცა ის წყაროები, რომელიც მის მიერ იქნა მოძიებული ინგლისის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა სწორედ ამ საინტერესო მასალამ განაპირობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდად განსაზღვრა ნაშრომის წარმატება. ც. ჩიკვაიძის გამოკვლევა „ახალგაზრდა კონსერვატორები“ და პ. მაკმილანის მეორე მსოფლიო ომამდელი პოლიტიკური შეხედულებები“ XX საუკუნის მიწურულის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება, ხოლო მისი ავტორის სახით საქმე გვაქვს ინგლისის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო მკვლევართან საქართველოში. 2. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ მის ჩართულობას მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. მან ქალბატონ ქეთევან თვალიაშვილთან ერთად დაწერა ძველი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. მას ძალიან კარგად ეხერხება სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა და, შესაძლოა, ორგანიზატორმა დაჩრდილა მკვლევარი ისტორიკოსი. დოც. ცირა ჩიკვაიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უახლეს ისტორიას, ისტორიის სწავლების მეთოდიკას და სხვადასხვა სპეციურსებს.

უახლეს ისტორიაში მუშაობს ამ თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი დოც. ნინო კილურაძე. მისი საქმიანობის არეალი საკმაოდ ფართოა და გარდა უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემებისა, მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხებს და თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის ძიებებს. ყურადღებას იქცევს მისი საინტერესო გამოკვლევა „ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ: კაიზერის რაიხის

სტრუქტურული კრიზისი პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ წლებში”, რომელიც მან 1990 წლის 26 დეკემბერს, წარმატებით დაიცვა, როგორც საკანდიდატო დისერტაცია. მართალია, ძნელი სათქმელია, თუ რა იყო აქ ახალი თქმული იმ პერიოდის გერმანულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით? მაგრამ იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ეს ნაშრომი მართლაც არ იყო გარკვეულ სიახლეს მოკლებული და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ის სრულიად თავისუფალი იყო მარქსისტული შტამპების და სტერეოტიპებისაგან. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მისი მონოგრაფიის სახით გამოცემა. რატომ არ გააკეთა ავტორმა ეს, ძნელი სათქმელია. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება პერსპექტიული ჩანდა და მას შეეძლო დაეწერა საინტერესო ნიგნი გერმანიაზე XX საუკუნეში. აღნიშნულ პრობლემაზე მას გამოქვეყნებული აქვს კილევ რამდენიმე ნაშრომი, რომელიც მისი სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტებია.

მისასალმებელია ასევე მისი დაინტერესება ისტორიის თეორიული საკითხებით, ისტორიოგრაფიის საკითხებით. ამ თემატიკაზე ყურადღების გამახვილება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, ვფიქრობთ, ძირითადად გენეტიკურ ხასიათს ატარებდა. ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გივი კილურაძის ქალიშვილია. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ისტორიის თეორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. ის განსაკუთრებით დიდი ინტერესს იჩინს თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესების, ტენდენციების, ნოვაციებისადმი და ცდილობს ქართველ მკითხველს გააცნოს ევროპული ისტორიოგრაფიის სიახლეები. მას გააჩნია ძლიერი შემეცნებითი მუხტი, რომელიც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას. ამ თემაზე ქართულ ენაზე ძალიან ცოტა იწერება და აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, ცხადია, მისასალმებელია. ამ საკითხების უფრო სრულყოფილად, ამომწურავად წარმოჩენის თვალსაზრისით, აღბათ, ურიგო არ იქნებოდა, უახლესი რუსული ლიტერატურის გამოყენება. ასევე ძალიან კარგი იქნებოდა

ყურადღება დათმობოდა იმ მწირ ლიტერატურას, რომელიც ქართულ ენაზე არსებობს. ჩვენ არ უარვყოფთ მისი ამ შრომების შემეცნებით მნიშვნელობას და ამ პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში მის წვლილს კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებთ. ის, უეჭველად, კარგ საქმეს აკეთებს და აქტუალურ პრობლემებს სწავლობს. ამავდროულად, ეს შრომები უპირატესად აღწერით ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს კვლევას. სიახლეზე, მათ მეცნიერულ ლირებულებაზე აქცენტის დასმა, ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს და, ალბათ, უფრო მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. ერთია ამბიცია. რეალობა კი სულ სხვაა. ერუდიციის მტვერი რომ გაიფანტება ხელში რეალურად რა დაგრჩება? მისი პრეტენზია თითქოსდა ის არის საქართველოში ისტორიის თეორეტიკოსი და ცდილობს განავითაროს ეს დარგი, ამბიციურად მიგვაჩინა და, ჩვენი აზრით, ძალიან გადაჭარბებული უნდა იყოს. კვლავ გავმეორდებით და ვიტყვით. ამ თემატიკის პოპულარიზაციის საქმეში მის წვლილს არც არავინ უარყოფს. ამ საკითხზე მისი შრომების მნიშვნელობა, ვთიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს, მაგრამ პრიორიტეტი ენიჭება პოპულარიზაციას და არა კვლევას. ზედმეტი ამბიციები უადგილოა. სწორედ ამას მოჰყვა კონფლიქტური სიტუაციები მიმართულების თითქმის ყველა წევრთან.

კიდევ ერთი კარგი საქმე, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული, მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის სახელმძღვანელოების შექმნაში ჩართულობა გახლავთ. მან, გ. ბოლოთაშვილსა და ე. მექმარაიაშვილთან ერთად, დაწერა მეცხრე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც სრულიად განსხვავებულად გააძუქა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხები. ის დღესაც აგრძელებს სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობას, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს სულ სხვა გზაა და საუბრის ცალკე თემაა. ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავგრძელებთ და უფრო ვრცლად იხილეთ პროფ. გურამ ყორანაშვილის წერილი „როგორ ისწავლება ისტორია სასკოლო დონეზე“ ლიტერატურული საქართველო“, 14 ნოემბერი, 2014 წ.).

დაბოლოს დავძენთ, რომ დოც. ნინო კილურაძე უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა რამდენიმე საგანში: დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები, ტოტალიტარული რეჟიმები, თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება და სხვა მრავალი.

* * *

2006 წელს გატარებულმა რეფორმამ თავისი კვალი დაამჩნია უნივერსიტეტს და მათ შორის, ცხადია, ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას. კიდევ ვიმეორებთ, რომ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ რეფორმის გატარება აუცილებელი იყო. რა ფორმით განხორციელდებოდა ეს? აი, რა იყო მთავარი საკითხი. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს რეფორმას დადებითი არაფერი ჰქონდა. პოზიტივი ნამდვილად არის და ამის დაუნახაობა, წაყრუება, სწორი არ უნდა იყოს. უნინარესად, ასეთად მიგვაჩნია მისაღები გამოცდების უმაღლესი სასწავლებლებიდან გატანა. შუალედური გამოცდები სემესტრის განმავლობაში, საგამოცდო წერა. სტუდენტებს მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდათ. ჩანყობამ და პროტექციამ მკვეთრად იკლო. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ნეგატივიც ბევრია. ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქს, ვოლტერს უყვარდა თქმა: „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე და-ვანგრიოთ“. რეფორმას რადიკალური ხასიათი მიეცა და მთელი სიმძიმით დაატყდა თავს უფროს და ნაწილობრივ საშუალო თაობას. ფაქტობრივად, განხორციელდა ასაკობრივი დევნა. უნივერსიტეტის მიღმა დარჩნენ ისეთი კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებსაც ევროპის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში ხელისგულზე ატარებდნენ და თვალის ჩინივით მოუფრთხილდებოდნენ. ჩვენ კი რა ვქენით! ისე ადვილად შეველიეთ, თითქოს არაფერი ყოფილაო. ხელოვნურ გაახალგაზრდავებას არც ერთ სფეროში სასურველი შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ეს ერთი. მეორე. უნივერ-

სიტეტის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევა სასიკეთოდ არასოდეს მთავრდებოდა. სახელმწიფოს თავისი ინტერესები გააჩნია, უნივერსიტეტს – თავისი. ისინი ყოველთვის არ ემთხვევა ერთ-მანეთს. უნივერსიტეტის ავტონომიას პატივი უნდა ვცეთ არა სიტყვით, არამედ – საქმით. უნივერსიტეტის ავტონომია ფიქცია არ უნდა იყოს. უნდა ვისწავლოთ მისი პატივისცემა. მას მოფრთხილება სჭირდება. ამგვარმა რადიკალიზაციამ პირდაპირ წელში გატეხა უნივერსიტეტი და მთელი რიგი დარგები, ყველაზე უფრო რბილად რომ ვთქვათ, უკან დასწია. გაუქმებულ იქნა კათედრები და ახლა მას მიმართულება დაერქვა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ასეთი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას ვერ ვხედავდით. განა ამით პრინციპულად რაიმე შეიცვალა? ვფიქრობთ, ბევრი არც არაფერი. დრომ აჩვენა კიდეც ამ გადაწყვეტილების სიმცდარე და 2013 წელს კათედრები აღდგენილ იქნა. აღდგა ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაც, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმოადგენს.

ცხადია, დიდი ზიანი მიადგა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას, მიმართულებას. ის ფაქტობრივად უფროსი თაობის გარეშე დარჩა, რომელსაც ამ რთულ სიტუაციაში, როგორც ხელენიფებოდა, დარგის ლიდერის როლი უნდა ეტვირთა. ისინი კი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. აქ მახსენდება რუსი მწერლის მიხეილ ბულგარივის სიტყვები: „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისათვის“. ახლა ხომ საბჭოთა კავშირში აღარ ვცხოვრობთ? რა შეიცვალა? დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის განხრას საკადრო დარტყმა მიადგა. გაუშვეს დარგის წამყვანი სპეციალისტები – პროფესორები ნოდარ კიკვაძე, ვაჟა თვალავაძე, ნაირა მამუკელაშვილი, დოც. გივი ბოლოთაშვილი. კიდევ გავიმეორებთ, თითოეულ მათგანს ევროპის ნებისმიერი უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მოუფრთხილდებოდა. ჩვენ კი ავიღეთ და ისე გავუშვით, ერთი მადლობაც არ გვითქვამს.

მართალია, შემდგომში ზოგიერთი მათგანი უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების წესით მოაბრუნეს, მაგრამ ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, თუ ასე ჭირდებოდა ისინი უნივერსიტეტს, მაშინ რატომ გაუშვეს? სად არის აქ ლოგიკა?

2006 წლის შემოდგომაზე ამ მიმართულებით დარჩნენ: ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, ასისტენტ-პროფესორები: ელენე მეძმარიაშვილი, მერაბ კალანდაძე და ფატი შეყლაშვილი. ფაქტობრივად, მიმართულებას სულ თავიდან მოუწია ფუნქციონირების დაწყება. ამ შემადგენლობით იღვანა მან 2008 წლამდე. 2008 წელს ასისტენტ-პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი საქმიანობას განაგრძობს ამერიკანისტი კის განხრით ასოცირებულ პროფესორად. იმავე წელს ასისტენტ-პროფესორის ადგილი დაიკავა გიორგი შუშუნაშვილმა. მომდევნო, 2009 წლის კონკურსში ასოცირებულ პროფესორად გავიდნენ მერაბ კალანდაძე და ნინო კილურაძე, ხოლო სრული პროფესორი გახდა თეიმურაზ პაპასქირი. ასე იყო 2012 წლამდე. დღეს ამ მიმართულების წევრები არიან: პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, ასოცირებული პროფესორები – ლეილა (ია) ხუბაშვილი, ფატი შეყლაშვილი და მერაბ კალანდაძე, ასისტენტ-პროფესორები – თამარ ანთაძე და ზაალ გოგენია. მიმართულება 2008 წლიდან მოყოლებული ყოველ-წლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას. სულ ასეთი ექვსი კონფერენცია გაიმართა. ეს ამ მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთი საზომია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია სამაგისტრო პროგრამა „ახალი და უახლესი ისტორია“, რომელიც კათედრის ბაზაზე 2008 წლიდან ხორციელდება. ამ წლების მანძილზე მაგისტრატურაში ამ პროგრამაზე სწავლა გააგრძელა 70-ზე მეტმა სტუდენტმა, რომელთა ნაწილი დღეს დოქტორანტია. ეს მომავალში ახალი კვალიფიციური კადრების გამოჩენის წინაპირობაა.

პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი ინტენსიურად მუშაობს XX საუკუნის ისტორიაში. მისი მეცნიერული ინტერესების ცენტრში დგას XX საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი რთული და აქტუალური საკითხი მეორე მსოფლიო ომის პრობლემა. მისი

სახით საქმე გვაქვს მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევართან არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მას ამ საკითხზე დაწერილი აქვს არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფია: 1996 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ 1941-1945 წნ. (დიპლომატიური ქრონიკა და საომარი მოქმედებები), რომელიც მისი სადიპლომო ნაშრომის გაფართოებულ ვარიანტს წარმოადგენს. მან განაგრძო ამ თემაზე მუშაობა და 1998 წელს, ასპირანტურაში სწავლის მეორე წელს, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამჯერად მისი კვლევის საგანი იყო „მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში 1941-1943“. 2002 წელს მან თავისი სადისერტაციო ნაშრომი მონოგრაფიის სახით გამოსცა. ამ თემატიკის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მისი მესამე წიგნი, რომელიც 2006 წელს გამოვიდა – „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944 წ. სექტემბერი – 1945 წ. მაისი“. 2010 წელს კი გამოვიდა ამ თემისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი წიგნი – „დიდი სამეულის“ კონფერენციები.“ მასში გაშუქებულია თეირანის, იალტისა და პოტსდამის სამიტები. ნაშრომში ერთმანეთთან შედარებულია აღნიშვნული კონფერენციების, ყველა პლენარული სხდომისა თუ მნიშვნელოვანი შეხვედრის ამსახველი ამერიკული და რუსული ჩანაწერების ტექსტები და შეძლებისდაგვარად, გამოვლენილია მათში ნებსით თუ უნებლიერ გაპარული უზუსტობები. გარდა ამისა, გამოთქმულია მოსაზრებები საკვლევი პრობლემის ცალკეულ საკითხებზე.“ პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ამ შრომების მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, სადაც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ამ თემატიკის შესახებ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არსებული თითქმის ყველა ხელმისაწვდომი მასალა. ეს ამ მონოგრაფიების პლუსია. ამ წიგნების კიდევ ერთი დადგებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მასში გათვალისწინებულია ამ საკითხებისადმი მიძღვნილი

მდიდარი საკვლევი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ბოლო ხანებში შეინიშნება რუსულენოვანი ლიტერატურისადმი ნიჭილისტური დამოკიდებულება, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხში ავტორს ობიექტური პოზიცია უჭირავს, რაც მისი მონოგრაფიების კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება. ნაშრომებში თავმოყრილი უხვი ფაქტობრივი მასალა ამის ლოგიკური შედეგია. მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში მას გააჩნია საკუთარი მოსაზრებები, ძირითადად კარგად დასაბუთებული. ეს გამოკვლევები მკვეთრად განსხვავდება მეორე მსოფლიო ომის საბჭოური ხედვისაგან და აღნიშნული პრობლემების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ის უმთავრესად ორიენტირებულია ამ სფეროში თანამედროვე ამერიკული და ევროპული ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებზე. უცხო ენების კარგი ცოდნა მისი, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსის დიდი პლუსია. ეს ასეც უნდა იყოს. მეორე მსოფლიო ომის საკითხებს მან მიუძღვნა კიდევ რამდენიმე ათეული ნაშრომი, სადაც შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია აღნიშნული საკითხის დამუშავება. მისი წიგნები და მრავალრიცხოვანი შრომები მეორე მსოფლიო ომზე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია, რომელსაც, ბუნებრივია, ექნება თავისი პლუსები და მინუსები. ამ გამოკვლევებს მეორე მსოფლიო ომის საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად გვერდს ვერ აუვლის. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, რომ პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად, სხვა თემებსაც მიქცეოდა ყურადღება. რაც მთავარია, მისი შრომები ორიგინალურია და კომპილაციურ ხასიათს არ ატარებს. მეორე კარგი საქმე, რომელიც მის სახელს უკავშირდება არის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. 2010 წელს გამოვიდა მისი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945“, ნაკვეთი პირველი. ის აგრძე-

ლებს სახელმძღვანელოებზე მუშაობას და ამზადებს სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთს, სადაც გაშუქებული იქნება ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1945 წლიდან დღემდე. განზრახული აქვს დაწეროს სახელმძღვანელო ამ ეპოქის ევროპის მცირე ქვეყნების ისტორიაზე. ეს ყველაფერი, ცხადია, ძალიან კარგია. სახელმძღვანელოს გამარტივება, მასალის უფრო სადად გადმოცემა, გამორიცხულად არ მიგვაჩინია. ის ატარებს ლექციებს შემდეგ საგნებში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია“ (ორ ნაწილად – 1945 წლამდე და 1945 წლის შემდეგ), ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები, საერთაშორისო ურთიერთობები ახალ და უახლეს პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის ისტორია. ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში 2005-06 წლებში მიჰყავდა სალექციო კურსი („მეორე მსოფლიო ომის ისტორია“) ვისკონსინის უნივერსიტეტში – ოკლერი (აშშ).

ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას. ბოლო ხანებში მან გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი: „მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში“ (2007); „ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“ (2008), „ქართული მედიევისტიკის სათავეებთან“ (2009), „ალექსანდრე ორბელიანი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე“ (2010), „ისტორიოგრაფიული ეტიუდები (ნაწილი პირველი), (2011), „პროფესორი კონსტანტინე ანთაძე“ (2014). გარდა ამისა, ის მუშაობს შემდეგ წიგნებზე: „აშშ-ს ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში“, „დიმიტრი უზნაძე და ისტორიული მეცნიერება“, „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები დამოუკიდებელ საქართველოში“. ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის კითხულობს ლექციებს დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში ორ ნაწილად – I. 1550-1789 წლები. II. 1789-1914 წლები, ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის კვლევის მეთოდები, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონი, რევოლუცია და რეფორმები, ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორია.

ასოცირებული პროფესორი ლეილა (ია) ხუბაშვილი ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებაზე 2012 წლიდანაა. მისი ინტერესების სფეროში შედის შუა საუკუნეების ისტორიისა და უახლესი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მისი შრომებია: „ბოკაჩის შემოქმედების ისტორიული ასპექტები“ (1996), „ვენეციის და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში“ (2004), „იეზუიტთა ორდენი“ (2008). აღნიშნული პერიოდის აქტუალურ საკითხებს მან მიუძღვნა კიდევ რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შემეცნებითი ღირებულება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ია ხუბაშვილი ლექციებს ატარებს შემდეგ დისციპლინებში: იტალიის ისტორია, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია XVI-XX საუკუნეებში. ხაზი უნდა გავუსვათ მის ორგანიზატორულ უნარს. ის ხშირად ატარებს სტუდენტთა კონფერენციებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

ასოცირებული პროფესორი ფატი შეყლაშვილი დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორიის, კონკრეტულად კი გერმანიის უახლესი ისტორიის საკითხებით ინტერესდება. 2006 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „გერმანიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში XX საუკუნის 30-40-იან წლებში“. ამ საკითხს შეეხება მისი კიდევ რამდენიმე ნაშრომი, ხოლო 2013 წელს გამოვიდა მისი წიგნი „დიპლომატიური პროტოკოლი“, რომელიც ფაქტობრივად მის მიერ მაგისტრატურაში წაკითხული ლექციების კურსს წარმოადგენს. გარდა ამისა, ის კითხულობს ლექციებს სხვადასხვა დისციპლინებში: გერმანიის ისტორია, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა.

ასისტენტ-პროფესორ თამარ ანთაძის მთავარი ნაშრომია „საბჭოთა ხელისუფლების 1941-1957 წლების ეროვნული პოლიტიკის შედეგები თანამედროვე საქართველოსთვის“. ამ თემაზე მან დაწერა კიდევ რამდენიმე ნაშრომი. მან თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის პოპუ-

ლარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი სტატიები უილიამ ორანელზე, გრაფ კაუნიცზე, მეტერნიხზე. ეს შრომები სტუდენტებს საერთო წარმოდგენას უქმნის მათ მოღვაწეობაზე. მან ყურადღება მიაპყრო ვარლამ ჩერქეზიშვილის ნააზრევს დასავლეთ ევროპის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ამ კუთხით ეს თემა თითქმის შეუსწავლელია.

ასისტენტ-პროფესორ ზაალ გოგენიას ყურადღების ცენტრში დგას უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემები, კონკრეტულად კი, ესპანეთის ისტორია XX საუკუნის 30-იან წლებში. მან ამ თემაზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი და გამზადებული აქვს დისერტაცია.

ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებას ჰყავს მრავალი დოქტორანტი, რომელთა შორის აღბათ კათედრის მომავალი წევრებიც არიან. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კათედრის ლაბორანტი მიხეილ ქართველიშვილი. მან კარგად იცის ფრანგული და გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი XX საუკუნის ფრანგულ ისტორიოგრაფიაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ ახალგაზრდების ეიმედება მიმართულებას და მის მომავალს, პერსპექტივას სწორედ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდების დაწინაურებასა და მოზიდვაში ვხედავთ. ეს ავანსია, რომელსაც ისინი, ვიმედოვნებთ, რომ გაამართლებენ, რაც საშუალებას მოგვცემს გადავლახოთ თაობათა წყვეტა. აი, ამ მაუროულ წოტაზე უნდა დავასრულოთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორიაზე საუბარი.

დასკვნა

XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემპრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ედვარდ კარი თავის წიგნში „რა არის ისტორია“ წერდა: „ისტორიის შესწავლამდე საჭიროა ჯერ თავად ისტორიკოსის შესწავლა... სანამ შევისწავლიდეთ ისტორიკოსის პიროვნებას, შეისწავლეთ მისი ისტორიული და სოციალური გარემო. ისტორიკოსი, გარდა იმისა, რომ პიროვნებაა, ამავე დროის ისტორიისა და საზოგადოების პირმშოა; და სწორედ ამ კუთხით უნდა მიუდგეს მას ისტორიის შემსწავლელი...“.

ქართული ისტორიოგრაფია ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. კათედრა ამ ორგანიზმის ერთერთი ნაწილია, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ ადამიანებს, პიროვნებებს, რომლებიც იმ ეპოქის და საზოგადოების პირმშოა, რომელშიც მათ უხდებათ მოღვაწეობა. ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ და ურთიერთკავშირში არიან.

რა თქმა უნდა, მეცნიერება არ წარმოადგენს ოაზისს. ის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ამიტომ სავსებით მართლზომიერი იყო, რომ კათედრის წარსულში, როგორც სარკეში, ისე აისახა მთელი ის ძნელებებობა, რომელიც დაატყდა თავს დედა უნივერსიტეტს და მთლიანად ჩვენს სამშობლოს – საქართველოს XX საუკუნის განმავლობაში. ალბათ, ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ იტყოდა ისე კარგად, როგორც დიდი გალაკტიონი – „საქართველოს ცაზე კაენის სულმა გადაისრიალა“. უნივერსიტეტსა და მათ შორის, ცხადია, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას, ისტორიისათვის ამ მეტად მცირე პერიოდის განმავლობაში რთული პოლიტიკური კატაკლიზმები გადახდა თავს და ერთმანეთისაგან

სრულიად განსხვავებულ ეპოქაში მოუხდათ ფუნქციონირება. თავდაპირველად, ეს იყო სუვერენული საქართველოს რესპუბლიკა, შემდეგ საბჭოთა ხანის საქართველო და ბოლოს, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველო. ერთ შემთხვევაში, კონკრეტულად კი, დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში, სახელმწიფო ძალად არ ახვევდა თავს ისტორიკოსს მისთვის სასურველ იდეოლოგიას და მას თავისუფალი არჩევანის საშუალება ჰქონდა. დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. სუვერენული საქართველოს მთავარ ღირსებად უნივერსიტეტის ავტონომიისადმი პატივისცემის გრძნობა გვევლინება. არსებითად სულ სხვა ვითარება გვაქვს საბჭოთა ეპოქის საქართველოში. აქ პირიქით იყო და სახელმწიფო ცდილობს ძალით მოახვიოს თავს ისტორიკოსს მისთვის სასურველი იდეოლოგია. თავისუფალი არჩევანი ძალზე შეზღუდული გახლდათ, ხოლო სტალინურ ეპოქაში, ფაქტობრივად, არც არსებობდა. სახელმწიფო უხეშად ერევა უნივერსიტეტის საქმეებში. სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში. მის მთავარ ღირსებად წარსულისადმი მრავალვარიანტული მიდგომის აღორძინება გვევლინება. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ყველაფერ ამის რეალიზებას აბრკოლებს, ხელს უშლის რთული მატერიალური პირობები. მნიშვნელოვანწილად კომუნისტურ წარსულზე ნოსტალგია სწორედ ამით აიხსნება. იდეოლოგიური ზენოლა დღეს უკვე აღარ იგრძნობა, მაგრამ ეკონომიკური წნევი ძალზე ძლიერია. მოხდა მეცნიერების კომერციალიზაცია. უმთავრესი აქცენტი კეთდება პოპულარულ გამოკვლევებზე, ხოლო სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები აღარ ფინანსდება, წამგებიანი ხდება. აუცილებლად უნდა მოიძებნოს ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერებაში რაიმე წინსვლაზე, პროგრესზე, ლაპარაკი ძალიან გაძნელდება და დავკარგავთ მეცნიერებას, თუ უკვე არ დავკარგეთ. სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ამ სფეროში 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წვლილის სრული გაბიაბრუება, უგულვებელყოფა, რასაც ფართოდ ნერგავდა საბჭოთა ხელისუფლება, სწორი არ იყო და კარგად გამოხატავდა მათ პოლიტიკურ ნებას. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დროის იმ მცირე მონაკვეთში ორი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწრეს. რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ დაიწყო მსოფლიო ისტორიაში პირველ ქართულ სასკოლო სახელმძღვანელობზე მუშაობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ დონეზე სწავლებას. ამ საშური საქმის მოთავეებად პროფ. სიმონ ავალიანი და პროფ. გრ. ნათაძე გვევლინებიან. შესაძლოა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე.

საქართველოში დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის მესაძირკვლეებად ცნობილი ისტორიკოსები და შესანიშნავი მოქალაქეები, პროფ. ნ. დუბრივსკი, პროფ. გრ. ნათაძე და პროფ. ალ. ნამორაძე გვევლინებიან. პრაქტიკულად, ეს იყო პირველი თაობა, რომელმაც გზა გაუკვალა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, პოპულარიზაციას და სწავლებას. უნდა ითქვას, რომ მათ მეტად მძიმე ბედი ხდათ წილად, რაც უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ ისინი გაიზარდნენ ლიბერალური აზროვნების გარემოში და მოღვაწეობა კი მოუწიათ სულ სხვა სამყაროში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, როდესაც თავისუფალი აზროვნების საშუალება არ იყო. ისინი შედარებით თავისუფალი სამყაროდან საპყრობილები აღმოჩნდნენ. ტოტალიტარული რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობის ერთადერთი აღტერნატივა ფიზიკური განადგურება იყო, რასაც სამივე მათგანი ძალიან კარგად გრძნობდა. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მათი მოღვაწეობის საუკეთესო წლები ტოტალიტარული რეჟიმის ზეობის პიკს, სტალინურ ხანას, ემთხვევა. თუ არა ეს გარემოება, ისინი, ალბათ, გაცილებით უფრო მეტის გაკეთებას ეცდებოდნენ. მათ

განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ დარგის გადარჩენის და განვითარების საქმეში. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს.

საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის პოპულარიზაციის და სწავლების საქმე გააგრძელეს პროფ. 6. დუბრივსკის, პროფ. გრ. ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის მოწაფეებმა და მათმა თანატოლებმა. ეს უკვე მეორე თაობა იყო. მათ მოღვაწეობა მოუწიათ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ისინი მარქსისტულ-ლენინური საბჭოური იდეოლოგიის წიაღში აღიზარდნენ. თუ პირველ თაობას ძალად მოახვიეს თავს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, მეორე თაობა ფაქტის წინ იყო დაყენებული. ვერ ვიტყვით, რომ ისინი თავგამოდებული მარქსისტები იყვნენ. აბსურდული იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ისინი ანტიმარქსისტები ყოფილიყვნენ. ყველაზე უფრო უპრიანი იქნება მათი მარქსიზმისადმი დამოკიდებულება ლოიალურად მივიჩნიოთ. მათი მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასება დიდ სიფრთხილეს და ტაქტს მოითხოვს. დღევანდელი გადასახედიდან მათი განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

მათ დაამუშავეს სერიოზული მეცნიერული პრობლემები და მოგვცეს მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ფაქტობრივად, ეს იყო არჩევანი უარესსა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. ეს იყო იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ ქართულ ენაზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც გაგვაჩნია. თუ ჩვენ ამ შრომებს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, აქ რჩება ღირებული და სწორედ ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ამ გამოკვლევებში თავმოყრილ მრავალფეროვან წყაროებს, უხვ ფაქტობრივ მასალას, მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ხოლო მარქსისტული ინტერპრეტაცია, რომელიც ძალად იყო

თავს მოხვეული, ცხადია, მოძველებული და მიუღებელია. წმინდა ემპირიზმის, ფაქტოლოგიის დონეზე, წინსვლა აშკარაა და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, სწორი არ იქნება. კონცეფტუალურად ეს ჩიხური გზაა. ისტორიას არ ხელენიფება საბოლოო ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასია. საბოლოოდ კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

90-იანი წლების დასაწყისში ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზული თვისებრივი ცვლილებები ხდება, რომელიც უშუალოდ პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა არსებობა შეწყიტა. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატის წერტილი დაესვა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ახალი ფურცელი იშლება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ალიდგინა სუვერენობა, დამოუკიდებელი ფუნქციონირება დაიწყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ეტაპს მეორე თაობის მხოლოდ რამდენიმე ისტორიკოსი მოესწრო. ამ ტეხილმა უმთავრესად მესამე თაობაზე გაიარა და მათი საქმიანობა ორ მკვეთრად გამოყოფილ პერიოდად გაყო. ისინი ძირითადად ნ. დუბრივესკის, გრ. ნათაძის და ალ. ნამორაძის მონაცეთა აღზრდილები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი შვილიშვილები არიან. რა თქმა უნდა, ამ თაობის ძირითადმა ნაწილმა თავისი პირველი მოკრძალებული ნაბიჯი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის წლებში გადადგა და, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ანბანი დედის რძესავით შეათვისებინეს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ თავიანთი შანსი გაუჩნდათ. ცხადია, ისინი შეეცადნენ, შეძლებისდაგვარად გამოეყენებინათ ეს მომენტი. მათი მრავალრიცხოვანი გამოკლევები მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატისაგან გათავისუფლების მცდელობად გვევლინება და დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ.

დაბოლოს, სულ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ახალ თაობას, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო აქტიურად გამოდის სამეცნიერო ასპარეზზე და ხმამაღლა ამბობს თავის სათქმელს მეცნიერებაში. მათი მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მათი ტვინის დანაგვიანებული არაა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით და ძირითადად წარსულისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე და თავისუფალ აზროვნებაზეა ორიენტირებული. ამიტომ სიახლეებისადმი ისინი კიდევ უფრო გახსნილები არიან. ეს სულ სხვა ორიენტირებია. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და საქართველოში ამ დარგის შემდგომი განვითარების, წინსვლის ერთ-ერთ საიმედო წანამძღვრად გვესახება. ვიმედოვნებთ, რომ თანდათანობით ყველაფერი დალაგდება, თავის ადგილზე დადგება და აქცენტი გაკეთდება არა მეცნიერული კვლევების რაოდენობაზე, არამედ მის ხარისხზე, ღირებულებაზე. ერთადერთი სწორი გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან სწორედ ამაში მდგომარეობს. სხვა გზა არ არსებობს.

სარჩევი

ავტორებისაგან	3
შესავალი.....	5
თავი I	
ზოგი რამ ისტორიიდან	7
თავი II	
სათავეებთან	23
თავი III	
მესაძირკვლეული	29
თავი IV	
მემკვიდრეები	46
თავი V	
კათედრა პოსტსაბჭოთა პერიოდში	84
დასკვნა.....	115

საგამომცემლო პრეზი

ეთერ ბაიდოშვილი
ლიპა სხირტლაძე
ილია ხელაია
ალექსანდრა ჯიქურიძე

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5. 225-05-22, 291-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge